

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ბ. ჯაფარიძის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მიხეილ სვანიძე

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
სოფლის მეურნეობა
XVI საუკუნეში



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1984

63 (c 41)
4 (2 I')
63.3 (47.922)
ს 451

ნაშრომში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“, სხვა წყაროებთან და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში.

დადგენილია წელიწადში საშუალოდ რამდენი მოჰყავდათ ხორბლეული და პარკოსანი კულტურები, ხორბლის მოსავლიანობა ერთ კომლზე და ერთ ჰექტარზე. შესწავლილია სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების დონე სამცხე-საათაბაგოში (მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მემტილეობა და სხვა), დადგენილია მესაქონლეობის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო საეარგულების ფართობი. ნაშრომში მითითებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი და ამის შედეგად გამოანგარიშებულია ცალკეული პროდუქტების წლიური ღირებულება და სხვ.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. ვ. გაბაშვილი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში, მან დიდი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, ცალკეული სამთავროების გაერთიანებაშიც. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის ისეთი სახელგანთქმული მოღვაწენი, როგორც იყვნენ: გიორგი ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, მიქელ მოდრეკილი, გიორგი შთაწმინდელი, სარგის თმოგველი, ეფრემ მცირე, იოანე შავთელი, ჩაჭრუხაძე, ოქრომკვედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები, კანონმდებლები ბექა და ალბულა ჭაყელები. ამ კუთხემ მისცა მსოფლიოს შოთა რუსთველი. დიდი მასშტაბებით წარმოებდა აქ ეკლესია-მონასტრებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობა. აგებული იყო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: ხანძთის, ოშკის, იშხანის, ბანას, ხახულის ტაძრები, კუმურდოს, საფარის, ვარძიის, აგარის, ზარზმის სამონასტრო ანსამბლები, აწყურის, ხერთვისის, ოცხის, ახალციხის, ახალქალაქის, ოქროსციხის, წრიოხის, თმოგვის ციხესიმაგრეთა მთელი სისტემა და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ ესოდენ დიდი მასშტაბებით მშენებლობა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ვერ განხორციელდებოდა, თუ ამისათვის არ იქნებოდა სათანადო ეკონომიკური პირობები. საფიქრებელია, რომ საქართველოს ეს კუთხე ეკონომიკურადაც საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ დაიწყო პირველად ბრძოლა საქართველოსაგან ცალკე სამთავროდ გამოყოფისათვის და XIII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეულ სამეფო-სამთავროებს შორის აქ პირველად იქნა შედგენილი კანონმდებლობის კოდექსი — ბექა-ალბულას სამართლის წიგნი, რაც, აგრეთვე, საათაბაგოს ფეოდალური საზოგადოების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

სამცხე-საათაბაგოს განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი უკეტავდა გზას სამხრეთიდან და სამხრეთ-

დასავლეთიდან მომხდურ მტერს. ამიტომ საქართველოსავე წამოსული ყოველი დამპყრობელი არბევდა და აოხრებდა სამცხე-საათაბაგოს.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან დაუმეზობლდა ახალი, მეტად საშიში და ძლიერი სახელმწიფო — ოსმალეთი. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილმა საქართველომ ვერ შესძლო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ძალების გაერთიანება. თანდათანობით ოსმალეთმა დაიწყო სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის დაპყრობა, 1579 წელს სხვადასხვა დროს დაპყრობილი ტერიტორიები გაერთიანდა და აქ ახალციხის ანუ ჩილდირის საფაშო დაარსდა, მაგრამ ოსმალეთს საბოლოოდ აქ გაბატონებისათვის კიდევ დიდი დრო დასჭირდა.

ოსმალები ენერგიულად შეუდგნენ აქ თავიანთი სოციალ-პოლიტიკური სისტემის („ოსმალობის“) დანერგვას, „ქართველობის“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) მოშლას. ამ მიზნით მათ ქვეყანა არაერთხელ აღწერეს და დავთრები შეადგინეს.

წინამდებარე ნაშრომში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“¹ ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში. გათვალისწინებულია ქართული მასალებიც.

ამ საუკუნის დამდეგს ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი: „ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში“². მასში ნაჩვენებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დავთრებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის შესასწავლად. ხანგრძლივი და ტიტანური შრომის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა 30-იანი წლების დამდეგს გამოაქვეყნა ფუნდამენტური გამოკვლევა „საქართველოს ეკონომიური ისტორია“³. მასში არა მარტო შესწავლილია საქართველოს ფეოდალური ხანის ეკონომიკა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგები, არამედ დასახულია გზები, თუ როგორ უნდა წარიმართოს ამ მიმართულებით შემდგომი კვლევა-ძიება. სწორედ ამ კაპიტალურ ნაშრომს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეო-

¹ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თურქული ტექსტი გამოსცა და თარგმნა ს. ჯიქიაშ, თურქული ტექსტი, წ. I, თბ., 1947; წ. II, თარგმანი, თბ., 1941; წ. III, თბ., 1958. გამოკვლევა, I. ხელნაწერის აღწერა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის. შემდგომ შემოკლებით დავთარი.

² ივ. ჯავახიშვილი, ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში, „მოამბე“, 1901, № 4, გვ. 1—17.

³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 1930, წ. II, თბ., 1934.

ბის საკითხების შესწავლის დროს, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ნაშრომში.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ უნიკალური წყაროა სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობის შესასწავლად. ეს „დავთარი“ ოსმალთა მოხელეებმა შეადგინეს სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) გადასახადების დაბეგვრის მიზნით. მასში ჩამოთვლილია თითოეული სოფლისა და დასახლებული პუნქტის მეურნეობის დარგები: მემინდვრობა, მესაქონლეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვ. მითითებულია გლეხებზე შეწერილი გადასახადები და გამოსაღებები, რომლებსაც ისინი იხდიდნენ ნატურით თუ ფულთ: ხორბალი, ქერი, ფეტვი, მუხუდო, სელი, ღვინო (შირა), თაფლი, კაკალი და სხვ. იქვე ნაჩვენებია ამ პროდუქტების ფულადი ღირებულება ახჩებში. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ რა ღირდა იმ დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტები. საყურადღებოა, რომ გადასახადელი პროდუქტების ღირებულება დადგენილი იყო სპეციალური კომისიის მიერ ადგილობრივი ბაზრის ფასების შესაბამისად. ამით აიხსნება, მაგალითად, ის, რომ „დავთარის“ მიხედვით ახალციხის ლივაში ერთი ქილა ხორბალი ღირდა 12 ახჩა, ქერი — 10 ახჩა, ხოლო ხერთვისის ლივაში ხორბალი — 10 და ქერი — 8 ახჩა და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გაწერილი გადასახადების ოდენობა დგებოდა სამი წლის საშუალო მოსავლის საფუძველზე. ასე, რომ „დავთარის“ მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ არა მარტო ამა თუ იმ პროდუქტზე გაწერილი გადასახადის რაოდენობა, არამედ საერთოდ, მისი საშუალო წლიური მოსავალიც.

„დავთარის“ მონაცემები სარწმუნო ჩანს, რადგან „დიდ დავთარს“ ადგენდა სპეციალური კომისია, რომელსაც მიცემული ჰქონდა მითითება ზუსტად აღერიცხა გადასახადელი ობიექტების შემოსავალი და თუ აღმოჩნდებოდა, რომ აღწერა არ იყო სწორად ჩატარებული, მაშინ დავთარი უქმდებოდა, ხოლო დამნაშავე ისჯებოდა. შემდეგ ინიშნებოდა ახალი კომისია ხელახალი აღწერის ჩატარების მიზნით⁴.

„დავთარი“, უპირველესად ყოვლისა, ჩვენთვის საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მისი ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ როგორი იყო იმ დროს სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ XVI ს-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (სამცხე-საათაბაგოში) სოფლის

⁴ ჩილდრის ვილაიეთის ქაბა დავთარი 1694—1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 40.

მეურნეობა საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. ერთი შეხედვით ეს შეიძლება საეკვოდ მოგვეჩვენოს. კარგადაა ცნობილი ამ მხარის ტრაგიკული ისტორია: „XI საუკუნიდან მოკიდებული, წერს ვ. გაბაშვილი; საქართველოში ისევე მწვავედ დგას „ელის საკითხი“... საქართველოს ტერიტორიაზე არაერთხელ შემოჭრილან აქ ჩამოსახლების მიზნით: თურქ-სელჩუკები (XI—XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII—XIV სს.), ჩობანია-ნები, ჯალაირები, მკირე აზიის თურქები, თურქმანები (XIV—XV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV—XVI სს.)“⁵. ეს მომთაბარე ტომები დამუშავებულ მიწას იჭერდნენ და იალაღებად აქცევდნენ. ინტენსიური სოფლის მეურნეობა ექსტენსიურით უნდა შეცვლილიყო. ეს საფრთხე განსაკუთრებით საშიში იყო საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეებისათვის. სპარსელები, არაბები, სელჩუკები, მონღოლები, თემურლენგის ურდოები და სხვა დამპყრობლები თავს ესხმოდნენ და არბევდნენ ამ მხარეს. სამცხე-საათაბაგომ შეძლო დაეცვა თავი ამ საფრთხისაგან. „დავთარში“ გატარებული კომლობრივი აღწერიდან მომთაბარე იურუქები აქა-იქ ჩანან და სამცხის სოფლის მეურნეობაზე რაიმე კვალის დამჩნევა არ შეეძლოთ.

XVI ს-ში, მიუხედავად ქართველი ხალხის თავგანწირული წინააღმდეგობისა, „ქვეყანა ურუმთ დარჩა“. განა ამდენი ომისა და თავდასხმის შედეგად მისი ეკონომიკური ცხოვრება არ მოიშლებოდა?

ამ კითხვას ამომწურავი პასუხი გაცა ნ. ბერძენიშვილმა. „...რაში იყო ის ძალა, აღნიშნავს მეცნიერი, რომლის წყალობითაც საქართველო; განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ-სამხრეთი ასეთი სიმედგრიფ უძლებდა ველის ხალხთა გამანადგურებელ შემოტევებს და აღდგომავანახლების დაუშრეტელ უნარს იჩენდა. სხვა პირობათა შორის ასეთი უნარიცა და თვით სპეციფიკაც ქართული ფეოდალური ურთიერთობისა მე ქვეყნის მეურნეობის ხასიათში, ქართულ მევენახეობა-მებაღეობაში და, კერძოდ, მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში მხატვრობდა... საქართველოს ფეოდალური წყობილების ხასიათის მეცნიერული შეცნობა შესაძლებელია მისი მიწათმფლობელობის ხასიათის გათვალისწინების ნიადაგზე, ხოლო მიწათმფლობელობის ხასიათი საქართველოში დიდად იყო დამოკიდებული მიწის მეურნეობის ხასიათისაგან: ამ უკანასკნელის საფუძველი კი იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობა (მევენახეობა-მეხილეობა, მებაღეობა, მეხორბლეობა), რომელიც... მნიშვნელოვნად მორწყვის მომენტს ემყარებოდა... ადვილი ასა-

⁵ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (მედარეობითი შესწავლის ცდა), თბ., 1958, გვ. 307, 308:

ხსნელია საქართველოს გაუტეხელობა. ეს გაუტეხელობა ქართული მეურნეობის მოუშლელიაშია, მის ადვილად აღსადგენლობაშია“⁶.

6. ბერძენიშვილის ეს დებულება სავსებით დასტურდება სამცხე-საათაბაგოს მაგალითზე. საათაბაგოში ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობა: მევენახეობა-მეხილეობა, მებაღეობა, მეხორბლეობა—მორწყვაზე დაფუძნებული. ყოველივე ამის შედეგად მას ახასიათებდა „მეურნეობის მოუშლელია“, „ადვილად აღდგომა-განახლების“ უნარი.

მართალია, XVI ს-ში ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრო, მაგრამ ქართული ფეოდალური წყობა ერთბაშად არ მოშლილა. რაც უფრო მეტად ნერგავდნენ ოსმალთა დამპყრობლები თავიანთ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, „ოსმალბას“, მით უფრო ირღვეოდა ქართული სამეურნეო წყობა. ქვეყანაში სამეურნეო განვითარების დონე შეჩერდა, ხოლო შემდგომ თანდათანობით დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა, რადგან ოსმალეთი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით გაცილებით უფრო დაბლა იდგა, ვიდრე საქართველო. მიუხედავად ამისა, სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის შედეგად ქართული სამეურნეო ტრადიციები ერთბაშად არ მოშლილა. ასე, მაგალითად, „დავთრიდან“ ირკვევა, რომ აქ ქართული სასოფლო-სამეურნეო წესები და ტრადიციები კვლავ ძალაში რჩებოდა. „დავთარში“ არაერთგან გვხვდება მითითებები: „ძველი დროიდანვე“, „დავთარში ასევე ჩაიწერა“, „მცოდნე პირთა გადმოცემით“, „ძველი წესის თანახმად“ და სხვ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებით და, განსაკუთრებით, მარცვლეულის ერთ ჰექტარზე მოყვანით საქართველო გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე ოსმალეთი. ასე, მაგალითად, საქართველოში ერთ ჰექტარზე საშუალოდ 10—12 ც მარცვლეული მოჰყავდათ და მოსავლიანობა 8 ჯერადი იყო, ანატოლიაში ამავე ფართობზე მოჰყავდათ 3—5 ც და მარცვლეულის მოსავლიანობა 3 ჯერადი იყო. ესოდენ დიდი განსხვავება მარცვლეულის წარმოების დარგში ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ მაღალი იყო საქართველოში სოფლის მეურნეობის კულტურის დონე. ამას ღრმა ისტორიული საფუძველი ჰქონდა.

ამრიგად, XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობის შესწავლა საყურადღებოა არა მარტო საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად, არამედ ოსმალთა ბატონობის უარყოფითი შედეგების წარმოსაჩენადაც.

⁶ ბ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 394, 395.

მარცვლეული კულტურები

1. ხორბლეულის წარმოება

საქართველო მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანაა. მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის ხორბლეულის წარმოებას ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ პურელის ცნობილი 19 სახეობიდან საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო 14 და მათი 130 სახესხვაობა. ზოგიერთი ჯიშის ხორბალი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გვხვდება. საქართველოს მხარეებს შორის მესხეთი უძველესი დროიდანვე განთქმული იყო მიწათმოქმედებით. ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერდა: „მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხები მარჯვე მიწის მუშები არიან“¹.

სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მემინდვრობას და, განსაკუთრებით, მარცვლეულის წარმოებას. სამცხე-საათაბაგო საქართველოს ხორბლეულის ბელელი იყო. მარცვლეული აქ ისეთი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ, ხოლო მოუსავლიანობისა და შიმშილის დროს საქართველოს სხვა რაიონებიდან აქ მოდიოდნენ პურის სასყიდლად. უამთაღმწერელის ცნობით: „ყმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვლიან, და უმრავლესი ერი ქართლისა წავიდა სამცხეს... სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად“².

სამცხე-საათაბაგოში მიწათმოქმედების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს XVI ს-ის დამდეგის ერთი თურქული დოკუმენტი³.

¹ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 127.

² უამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., გვ. 310.

³ Jean-Louis Bacqué-Grammont, Une description Ottomane du Satabago vers 1520. Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, V. XXXVI, Paris, 1978, pp. 146—166.

ვახუშტი შემდეგნაირად ახასიათებს საქართველოს ამ მხარის ბუნებრივ პირობებსა და სოფლის მეურნეობას: „არს სამცხე, შიგნით მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ხევ-კლდინი, მაგარი მთა-ბარითა სიახლითა, ვენახიანი, ხეხილიანი, მრავლადა. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ... ჰავით მშვენი და შემკული“⁴.

რუსი პოლიტიკური დამკვირვებლის ცნობით ახალციხის საფაშო (სამცხე-საათაბაგო) აზიის ერთ-ერთი ნაყოფიერი ქვეყანაა. აქ განსაკუთრებით უხვი რაოდენობით მოჰყავთ მარცვლეული⁵.

სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ, მარცვლეულის მოსავლისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მოიპოვება ჭავჭავთის ზეგანზე და ახალციხის ქვაბულზე. ჭავჭავთის ზეგანზე გავრცელებულია ნოციერი ნიადაგები, მაღალმთიანი შავმიწები. შავმიწების ეს სახე შედარებით მაღალ ჰიფსომეტრულ ზონაში გვხვდება ვულკანურ ქანებზე. ეს მიწები გამოირჩევა ჰუმუსის დიდი შემცველობით და გამოყენებულია მარცვლეულისა და სხვა მცენარეების მოსაყვანად. ჭავჭავთის გარდა აღნიშნული ნიადაგები გვხვდება, აგრეთვე, ახალციხის მხარის მაღალმთიან ზოლში. ახალციხის ქვაბულის ზოლში ახალციხის ქვაბულის ფსკერზე გავრცელებულია ალუვიურ-კარბონატული თიხიანი ნიადაგები, რაც ხელს უწყობდა მარცვლეულის მოსავალს.

მიწათმოქმედების თვალსაზრისით ყველაზე ინტენსიურად მუშავდებოდა ჭავჭავთის ზეგანი, ახალციხის ქვაბული და მის ირგვლივ მდებარე ადგილები, სადაც მარცვლეულის მოსავლისათვის ნიადაგი მეტად ხელსაყრელია.

სამცხე-საათაბაგოში ზომიერად მშრალი მთიანეთის კლიმატი, ცივი, მცირეთოვლიანი ზამთრით და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით. აქ ნალექები შედარებით მცირეა, 400—500 მმ წელიწადში. მარცვლეული კულტურების ვეგეტაციისათვის სითბური ჭამი აქ საკმარისია 1400—1500 მ-ის სიმაღლეზე. სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, დაბლობ ზონაში უმთავრესად ითესებოდა საშემოდგომო მარცვლეული, ხოლო ზედა ზონაში — საგაზაფხულო. საშემოდგომო მარცვლეულიდან უპირატესობა ენიჭებოდა ხორბალს, საგაზაფხულოდან — ქერს და სხვა მარცვლეულს⁶.

⁴ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 661.

⁵ О южных Закавказских провинциях и прилегающих к ним областях Азиатской Турции, Жур. Минист. Внутренних дел, М., 1836, № 8, с. 253.

⁶ დაწერილებით იხ. მ. კ ო რ ძ ა ხ ი ა. ვ. ნ ა ფ ე ტ ვ ა რ ი ძ ე. მესხეთის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრ., ტ. V, თბ., 1950, გვ. 65—87; მ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ნადავმოცოდნობა, თბ., 1970, გვ. 337—340; საქართველოს სამხრეთი ეკონომიკური რაიონი, თბ., 1976, გვ. 16—32 და სხვა.

სამცხე-საათაბაგოში მიწის ხენა-დამუშავებისა და მოსავლის აღება-დაბინავეების წესები ქართველი გლეხების მიერ შემუშავებული იყო საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიური შრომის, დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად და ოსტატურად იყო შეხამებული ადგილობრივ პირობებთან⁷.

საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული იყო რაციონალური საშუალებანი, რომელთა შემწევობით მიღებული იყო მაღალი მოსავლიანობა — ნიადაგის შერჩევა მისი თავისებურებების გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში მისი დასვენება, თესლბრუნვა, ნიადაგის გასუფთავება, ნაკელითა და საკეები ბალახებით განოყიერება, მარგვლა, თოხნა და სხვა. უხვი მოსავლის აღებას აპირობებდა დროულად და ხარისხიანად დათესვა, თესლის კარგად შერჩევა, მოსავლის დროზე და უდნაქარგოდ აღება და სხვა.

განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა ნიადაგის დამუშავებას. კარგი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, სახნავ-სათესი იარაღს. რაც უფრო კარგად იყო მიწა მოხნული და დამუშავებული, მით უფრო უკეთესი მოსავალი მოდიოდა. აქაური სახნავ-სათესი იარაღი შეფარდებული იყო ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებთან. სამცხე-საათაბაგოში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა დიდ გუთანს, ასეთი დიდი და მძიმე გუთანი 8—10 უღელს მოითხოვდა. ხეობებში და მთის ზოლის სახნავეებში უპირატესობა ენიჭებოდა მცირე ზომის გუთანს, რომელშიაც შებმული იყო 3—4 უღელი გამწევი საქონელი. აღსანიშნავია, რომ გუთანი ამიერკავკასიის ხალხებმა და აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა ქართველებთან კონტაქტების შედეგად შეითვისეს⁸, რაც ქართული სახნავი იარაღის მაღალი ღირსების დამადასტურებელია.

სამცხე-საათაბაგოში მთავორიანი რელიეფის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მზის განათებას. სახნავ-სათესი მიწები იყოფოდა მზისა და ჩრდილის მხარეებად, შესაბამისად ხდებოდა სათეს კულტურათა შერჩევა. ამის გამო მზისა და ჩრდილის შემცველი ტოპონიმები სამცხე-საათაბაგოში ფართოდ იყო გავრცელებული, რაც „დავთრიდანაც“ კარგად ჩანს⁹.

⁷ დაწვრილებით იხ. ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1973 გვ. 214; გ. ჭალაბაძე, მეზინდერობა მესხეთში, კრ. „მესხეთ-ქაჯახეთი“, თბ., 1972, გვ. 9—36; ნეჭად ჩიჭავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აქარაში, თბ., 1971.

⁸ ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 248; ს. ჭიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, „სოციალ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. I, თბ., 1946, გვ. 393—398.

⁹ ს. ჭიქია, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგადი საკითხი, თსუ შრ., XLI, თბ., 1950, გვ. 185—201.

სამცხე-საათაბაგოში სახნავ-სათესი მიწების ნაწილი ირწყევებოდა. საამისოდ გამოყენებული იყო მდინარეები, ხევის წყლები, ასევე მთის წყარო-ნაკადულები, რაც, აგრეთვე, ხელს უწყობდა მარცვლეულის მაღალ მოსავლიანობას. „დავთარში“ წყლის სარგებლობასთან დაკავშირებით არაერთი ფაქტია აღნიშნული.

სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მარცვლეულის წარმოებისათვის გლეხს ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. გლეხების უმრავლესობას საკომლო (ჩიფთლიქი) მიწა ჰქონდა (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). სამუშაო (გამწევი) ძალა არ აკლდა (იხ. „დავთარი“) და აღჭურვილი იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღებითაც. ამას ემატებოდა გლეხისა და მთელი მისი ოჯახის წევრების დაუღალავი და თავდადებული შრომა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის უხვი მოსავალი მოჰყავდათ, რასაც თვალნათლივ ადასტურებს „დავთარის“ მონაცემები.

სამცხე-საათაბაგოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების, კერძოდ, მარცვლეულის წარმოების შესასწავლად ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ეს „დავთარი“ 1595 წელს ოსმალთა მოხელეებმა ფისკალური მიზნით შეადგინეს. „დავთარში“ აღნუსხული ვადასახადების ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ როგორი იყო იმ დროს სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის წარმოება.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღწერილია სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის ნაწილი: სამცხე-ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტანის, ტაო და ბორჯომის ხეობა. „გურჯისტანის ვილაიეთის“ მთელი ტერიტორიის ფართობი (ტბების ჩათვლით) შეადგენდა 15117 კვ. კმ¹⁰. ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული პროვინციები დაყოფილი იყო თურქულ სამმართველო ადმინისტრაციულ ერთეულებად — ლიეებად (სანჯაყი) და რაიონებად (ნაჰიე). „დავთარის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგო შემდეგი ლიეებისაგან შედგებოდა: 1. ახალციხის, 2. ხერთვისის, 3. ახალქალაქის, 4. ჩრდილის, 5. ფოცხოვის, 6. პეტრეს, 7. ფანაკის და 8. დიდი არტანის.

სოფლის მეურნეობის ცალკეულ პროდუქტებზე გაწერილი ვადასახადების ოდენობა დგებოდა სამი წლის საშუალო მოსავლის მიხედვით¹¹. ასე, რომ „დავთარის“ მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ,

¹⁰ ალ. ასლანიკაშვილი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ კარტოგრაფიული შესწავლა, თსუ შრ., ტ. 58. 1956, გვ. 188.

¹¹ H. Tuncer. Osmanlı İmparatorluğunda Toprak Hukuku, Arazi Kanunları ve Kanun Açıklamaları, Ankara, 1962, გვ. 72. შემოკლებით Arazi Kanunları.

არა მარტო ამა თუ იმ პროდუქტებზე გაწერილი გადასახადების რაოდენობა, არამედ საერთოდ, მისი საშუალო წლიური მოსავალიც.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტებზე გაწერილი გადასახადების ოდენობა ერთნაირი არ იყო. ამასთან, ქრისტიანი უფრო მეტს იხდიდა, ვიდრე მაჰმადიანი. ყოველი ცალკეული გადასახადის რაოდენობის დასადგენად საჭიროა „დავთრისადმი“ წამძღვარებული კანუნ-ნამეს და, საერთოდ, ოსმალური კანონმდებლობების გათვალისწინება. ასე, მაგალითად, „დავთრისადმი“ დართულ „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში“ ჩაწერილია: „გურჯისტანის ვილაიეთის ქაფირები (ქრისტიანები) რეგისტრირებული არიან როგორც ხუში“¹². ეს იმაზე მიუთითებს, რომ მის მოსახლეობას უნდა გადაეხადა მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავლის ერთი მეხუთედი ნაწილი¹³.

თუ გვსურს გავიგოთ, რომელიმე სოფლის ან მთლიანად სამცხე-საათაბაგოს მარცვლეულის ყოველწლიური მოსავლის რაოდენობა, მარცვლეულის წლიური გადასახადის მაჩვენებელი უნდა გავამრავლოთ ხუთზე და მივიღებთ ციფრს, რომელიც გვიჩვენებს მარცვლეულის წლიურ მოსავალს. მაგალითად, „დავთრის“ მიხედვით, როგორც ზემოთ მივუთითეთ, სოფელ აბასთუმანის გლეხებს უნდა გადაეხადათ ხორბალი 800 ქილა, ქერი — 1000 ქილა, ჭვავი — 155 ქილა, ფეტვი — 100 ქილა, ე. ი. სულ 2055 ქილა. თუ გადასახდელი მარცვლეულის საერთო რაოდენობას (2055 ქილას) გავამრავლებთ 5-ზე, მივიღებთ მარცვლეულის წლიურ მოსავალს (2055×5)—10275 ქილა. ამრიგად, აბასთუმანის მარცვლეულის წლიური მოსავალი იყო 10275 ქილა. ასეთი გაანგარიშების საფუძველზე „დავთრის“ მიხედვით დადგენილი გვაქვს მთელი სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) მარცვლეულის წლიური პროდუქცია.

„დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მარცვლეულის წარმოება. ამას ისიც ადასტურებს, რომ

¹² დავთარი, წ. II, გვ. 2.

¹³ ხუში არაბული სიტყვაა და ნიშნავს მეხუთედს. ოსმალეთში ხუში „მეხუთედ“ არამუსულმანურ მოსახლეობაზე გაწერილი საშემოსავლო გადასახადი იყო. განსხვავებით „უშრისა“ (მეთაფი), რომელსაც მაჰმადიანები იხდიდნენ: Аграрный строй Османской империи XV—XVII вв., документы и материалы, составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М., 1963, с. 219.

ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების განთავისუფლების შემდეგ (1829 წ.) რუსეთის ხელისუფლებამ აქ ოსმალური საგადასახადო სისტემა დროებით ხელუხლებელი დატოვა და გადასახადი მარცვლეულზე მოსავლის ერთ მეხუთედს ქმნიდა. Х. А. Вермишев, Экономический быт государственных крестьян Ахалцихского и Ахалкалакского уездов. МИЭБГКЗК, т. III, ч. II, 1886, с. 165, შტრ., საქართველოს სახ. ისტორიული არქივი, ფ. 2, აღ. I, საქ. 3185, ფ. 2.

„დავთარში“ მარცვლეულზე შეწერილი გადასახადების ჯამი მთელი გადასახადების დაახლოებით 70 % შეადგენდა.

ხორბალი. მარცვლეულ კულტურებს შორის სამცხე-საათაბაგოში წამყვანი ადგილი ხორბალს ეკავა¹⁴. აქ მოჰყავდათ როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ჯიშო. სამცხე-საათაბაგოში ხორბლეულის სახეებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ჩვეულებრივი რბილი ხორბალი ანუ დოლის პური. საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება დოლის პურის ორი სახესხვაობა — წითელთავეთაიანი და თეთრთავეთაიანი. სამცხეში გავრცელებული იყო წითელთავეთაიანი დოლის მესხური ეკოტიპი, რომელიც „მესხური დოლის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს სახეობა მთიან პირობებსაა შეგუებული. იგი განსხვავდება ქართული წითელი დოლისაგან მსხვილი მარცვლითა და მკვრივი, მაგარი ღეროთი, რის გამოც ეს ჯიშო უფრო გამძლე და ამტანია. მესხური დოლის პურის ღირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ერთნაირად კარგად ვარგობს როგორც სარწყავში, ისევე ურწყავშიც. იგი, აგრეთვე, კარგი შეგუებით გამოირჩევა ნიადაგების მიმართ: საუკეთესო მოსავლიანობას ამჟღავნებს ნოყიერ, ძლიერ ნიადაგში, და კარგად ეგუება მწირ, ქვიან ლარიბ მიწას, სადაც არც სარწყავია და არც ნაკელის შეტანა ხერხდება.

ივ. ჯავახიშვილისა და ვ. მენაბდის დაკვირვებით, დოლის პური ამ მხარის უძველესი კულტურაა. საინტერესოა, რომ ეს სახელწოდება გვხვდება ტოპონიმად — დოლის ყანა — სოფელი სამცხე-საათაბაგოში¹⁵.

დოლის პურის საგაზაფხულო მარცვლეულს მესხეთში დიკას უწოდებდნენ.

„დავთარის“ მიხედვით არ ჩანს, თუ რა რაოდენობით მოდიოდა აქ საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი. შესაძლებელია მხოლოდ დავადგინოთ ხორბლის საშუალო წლიური მოსავალი (ცხრ. 1).

„დავთარიდან“ ირკვევა, რომ ხორბალი სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) ყოველ სოფელში მოჰყავდათ და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც.

¹⁴ ვ. მენაბდე, საქართველო ხორბლეულის ძველი კულტურის ქვეყანაა, თბ., 1950, ი. ლომოური, მარცვლეული კულტურები, თბ., 1946, გვ. 151; გაბესაძე, ახალციხის მახრის ხორბლები, ექსპერიმენტული ინსტიტუტის მოამბე, ტ. 6, 1930, პ. გუგუშვილი, მარცვლეულის მეურნეობა ამიერკავკასიასა და საქართველოში 1801—1890 წწ. თბ., 1954, ლ. ბერიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—49, ვ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15, 16.

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, გვ. 332; ვ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ბორბლის სემუალა წლური მოსავალი აგრარისტანის ვალაიეთის დღი დათობის მიხედვით.

ლიეებისა და რაიონების დასახელება	ბ რ ბ ა ლ ი ა									
	2	3	4	5	6	7	8	9	10	
	აქტიური ფერმერები	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	ფოსფორის დასახელება	% მარცხედი
I. ახალციხის ლიეა										
1. შუბრის რაიონი	179	430	18	18	6323	31615	806182	1874		
2. ჩრდილის რაიონი	103	391	22	22	8271	41355	1054552	2697		
3. უღეს რაიონი	351	703	51	51	10550	52750	1345126	1913		
4. კვაბლანის რაიონი	295	74	7	7	1060	5300	135150	1826		
5. აწყურის რაიონი	452	437	38	38	11240	56200	1433100	3275		
6. აღთუნკალის რაიონი	85	200	14	14	4967	24835	633292	3166		
7. ოცხის რაიონი	232	271	18	18	8020	40100	1022550	3773		
8. ასპინძის რაიონი	262	385	35	35	11330	56650	2444575	3752		
9. კაკარაქის რაიონი	420	489	43	43	2266	69750	1778625	3637		
ჯამი	2383	3380	246	246	75671	378355	9648052	2854		26,6
II. ხერთვისის ლიეა										
1. ხერთვისის რაიონი	177	541	32	32	14385	71925	1834087	3390		
2. ტყონი-ჩაუბეთის რაიონი	608	365	35	35	17210	86050	2194275	6011		
3. ბუზმარეთის რაიონი	92	68	8	8	2600	13000	331500	4875		
ჯამი	877	974	75	75	34195	170975	4359862	4480		12

2	3	4	5	6	7	8	9	10
III. ახალქალაქის ლევა								
1. აკუმპირის რაიონი	1805	605	45	45	22111	110555	2819152	4111
2. თმოგვის რაიონი	64	150	10	10	3900	13500	497250	3315
3. ნიალისურის რაიონი	193	286	20	20	11750	58750	1498125	5238
ჯამი	2062	1041	75	75	37761	188605	4814528	4624
IV. ჩრდილის ლევა								
1. კანაზის რაიონი	911	452	27	27	12597	62985	1606117	3553
2. კანარბელის	342	444	22	22	12360	61800	1755900	3549
3. გელციხის	102	83	7	7	3020	15100	385050	4639
ჯამი	1355	979	56	56	27977	139885	3567067	3643
V. ფოცხოვის ლევა								
1. მუკრეს რაიონი	327	439	35	35	11515	53575	1519162	3460
2. ჩრდილის	317	363	21	24	11370	56850	1449675	3993
ჯამი	644	802	59	59	23285	166425	2968837	3701
VI. პეტრეს ლევა								
1. პეტრეს რაიონი	458	19	3	3	1000	5000	127500	6710
2. კაშველის	379	0	1	1	1000	5000	127500	21250
ჯამი	837	25	4	4	2000	10000	255000	13000
								0,7

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
VII. დიდი არტანის ლოვა										
1. შუარეს რაიონი		647	1369	48	48	17368	86840	2214420	1617	
2. ჩრდილის		276	738	25	25	12250	61250	1561875	2116	
3. ტყვანი		1035	1400	60	60	22280	111400	2840700	2029	
		1358	3507	133	133	51898	259490	6616995	1866	18,2
VIII. ფანაკის ლოვა										
1. ფანაკის რაიონი		678	873	32	32	14424	72120	1839060	2106	
2. ქიამხისის		241	230	8	8	4990	24995	637372	2771	
3. ფანაკურტის		477	822	23	23	11876	59380	1514190	1824	
		1396	1925	63	63	31279	156495	3990622	2073	11
სულ მოლიანად		11512	12633	711	711	283786	1418930	36192715	2864	100

* „დაფორის“ საფუძველზე ყველა ცხრილი ჩვენ მერაა შედგენილი.

** ლოვებისა და რაიონების ფართობი გამოანგარიშებული აქვს ალ. ასლაკაშვილს „გურჯისტანის კოლიფონის დიდი დაფორის“ კარტი-გრაფული შესწავლა, თსუ შრ., ტ. 58, 1956, გვ. 185—190.

*** I ქოლა ხორბალი=25, 5 კვ.

**** პეტრეს ლოვა, ფაქტურად, დაკარგებული იყო მოსახლეობისაგან. 25 სოფლდან მოსახლეობა მხოლოდ 4 სოფელში იყო.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, დაპყრობილი სამცხე-საათაბაგო და-
ნაწილებული იყო ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულებად ლივე-
ბად (სანჯაყი) და რაიონებად (ნაჰიე). ლივა რამდენიმე რაიონს აერ-
თიანებდა, რაიონი — 20—30 სოფელსა და დასახლებულ პუნქტს.
რაც უფრო დიდი იყო ადმინისტრაციული ერთეული, მით უფრო ნაკ-
ლები სიზუსტით არის შესაძლებელი დავადგინოთ მარცვლეულის სა-
შუალო წლიური მოსავალი ერთ კომლზე. ამიტომ ჩვენ მოგვაქვს რო-
გორც ლივების, ასევე რაიონების ძირითადი მაჩვენებლები მარცვ-
ლეულის წარმოების დარგში, რათა უფრო აშკარა გახდეს განსხვავება
ცალკეულ რეგიონებს შორის.

ლივების მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობით ხორბალი მოჰ-
ყავდათ ახალციხის ლივაში — 9648052 კგ, მთელი მოსავლის 26,6%.
მეორე ადგილზე იყო დიდი არტაანის ლივა — 6616995 კგ. (18,2%)
მესამე ადგილზე — ახალქალაქის ლივა — 4814528 კგ, (13,3%), შემ-
დედ ხერთვისის ლივა — 4359862 კგ, (12%).

რაიონების მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობით ხორბლის მო-
ჰყავალი დიდი არტაანის ლივას — ტყიანის რაიონზე მოდიოდა —
2840700 კგ, მეორე ადგილზე იყო ახალქალაქის ლივას აკშეპირის რა-
იონი — 2819152 კგ, ხორბლის მოსავლით გამოირჩეოდნენ შემდეგი
რაიონები: ფანაკის ლივას ფანაკის რაიონი — 1839060 კგ, ხერთვი-
სის ლივას ხერთვისის რაიონი — 1834087 კგ, ახალციხის ლივას ქა-
ქარაქის რაიონი — 1778625 კგ, ჩრდილის ლივას ჯანბაზის რაიონი —
1606117 კგ და სხვ.

სამცხე-საათაბაგოში, ჩვენი გაანგარიშებით, ხორბლის საშუალო
წლიური მოსავალი ერთ კომლზე 2864 კგ შეადგენდა. საერთოდ, ერთ
კომლზე საშუალო წლიური მოსავალი ყველაზე დიდი რაოდენობით
მოდიოდა ხერთვისის ლივას ტყიანი-ჯავახეთის რაიონზე. — 6011 კგ,
ხოლო ყველაზე მცირე — დიდი არტაანის ლივას მზვარეს რაიონში —
1617 კგ (ცხრ. 1).

სოფლების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, საშუალოდ წლიურად ყო-
ველ სოფელში 30—40 ტ ხორბალი მოჰყავდათ, მაგრამ იყო ისეთი სო-
ფლები, სადაც საშუალოდ 100 ტ და უფრო მეტი ხორბალი მოდიო-
და. ასე, მაგალითად, ფოცხოვის ლივას ჩრდილის რაიონის სოფელ
სამხულაში და სოფელ წურწყაბში და ახალქალაქის ლივას აკშეპირის
რაიონის სოფელ ოკამში მოჰყავდათ 191 ტ ხორბალი, ახალციხის
ქაქარაქის რაიონის სოფელ ულავერში და სოფელ წყორძაში — 153 ტ.

სამცხე-საათაბაგოს 711 სოფელში ყოველწლიურად მოჰყავდათ
1418930 ქილა (36182715 კგ) ხორბალი.

„დავთრიდან“ ირკვევა, რომ ახალციხის საფაშოში ერთი ქილა

ხორბალი ღირდა 10—12 ახჩა¹⁶. აქედან ახალციხისა და პეტრეს ლივში — 12, ხოლო დანარჩენ ლივებში — 10 ახჩა.

ახალციხის საფაშოს ხორბლის საშუალო წლიური პროდუქციის ღირებულება „დავთრის“ ფასების მიხედვით დაახლოებით 15 მლნ ახჩას შეადგენდა.

ახალციხის საფაშოში ხორბალზე ფასი ოსმალეთის იმპერიის სხვა ადგილებისაგან განსხვავებით შედარებით იაფი იყო. ასე, მაგალითად, საკუთრივ ოსმალეთში XVI ს-ის 80-იან წლებში ერთი ქილა ხორბალი 10—12 ახჩა ღირდა, ხოლო 1595 წ. — 20—30 ახჩა¹⁷. სტამბულში 1586 წ. ერთი ქილა ხორბალი 23—24 ახჩა¹⁸, ხოლო 1585—1588 წწ. უნგრეთში (სეგედელის ოლქი) — 50 პენზე ანუ 25 ახჩა ღირდა¹⁹.

ამგვარად, ახალციხის საფაშოში, ოფიციალური მონაცემებით, ხორბლის ღირებულება ორჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე საკუთრივ ოსმალეთისა და იმპერიის სხვა პროვინციებში.

ქ ე რ ი. საქართველოში ქერი უძველესი დროიდან მოჰყავთ. სამცხე-საათაბაგოში ქერს წამყვანი ადგილი ეჭირა მარცვლეულ კულტურებს შორის. „დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში ქერი უფრო ნაკლები რაოდენობით მოჰყავდათ, ვიდრე ხორბალი. „დავთარში“ რეგისტრირებულია 710 სოფელი, სადაც ქერი მოდიოდა. სამცხე-საათაბაგოში გავრცელებული იყო საგაზაფხულო და საშემოდგომო ქერი. აქ, აგრეთვე, მიღებული იყო ქერისა და ხორბლის შერეული თესვის პრაქტიკა. ქერი ყინვაგამძლე კულტურაა და განსაკუთრებით კარგად ხარობს მაღალმთიან რაიონებში. ქერი ითესებოდა როგორც სარწყავ, ისე ურწყავ მიწებზე.

მართალია, ქერის ხვედრითი წონა პურზე ნაკლები იყო, მაგრამ მას მაინც საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა აქაურ ეკონომიკაში. ქერს აქ ძირითადად მესაქონლეობისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. „ვისაც აქ ქერიო, იმას აქ ფერიო“, ამბობს ხალხური დაკვირვება. „ბევრი ქერით მეტ საქონელს შეინახავდი“, აღნიშნავენ აქაური მკვიდრნი—„კარგი სა-

¹⁶ ახჩა ვერცხლის მონეტაა, პირველად მოიჭრა ორხანის დროს (1326—1359) ქ. ბურსაში. თავდაპირველად მისი წონა იყო 6 კირატი ან მისხალის 1/4 (1,154 გრ) 90% სინჯით. მკჰმედ II (1451—1481) დროიდან იწყება მისი გაუფასურება. 1584—1586 წწ. 100 ღირკემ ვერცხლიდან კრიდნენ 800 ახჩას, ხოლო 1 ახჩა შეიცავდა 0,384 გრ. 1600 წ. იმავე რაოდენობის ვერცხლიდან კრიდნენ 950 ახჩას და შეიცავდა 0,323 გრ.

¹⁷ M. Akdağ, Celali isyanları 1550—1603, Ankara, 1963, s. 83.

¹⁸ Ö. L. Balkan, XVI asrın ikinci yarısında Türkiy'de fiytl harekelleri, Ankara, Belleten, XXXIV/136, s. 556.

¹⁹ Д. К а л ь д и-Н а д ь, Турецкие реестровые книги мукатаа как исторические источники, Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, М., 1964, с. 81.

ქონელი გვეყოლებოდა, მეტი გვექნებოდა, მეტ ნაწილს გააპატივებდი და მეტ მოსავალს მოგცემდაო²⁰.

ყველაზე დიდი რაოდენობით ქერი მოჰყავდათ ახალციხის ლივაში—11248490 კგ, მთელი მოსავლის (33 %), მეორე ადგილზე იყო დიდი არტაანის ლივა—4721970 კგ. (13,8 %), შემდეგ ხერთვისის ლივა—4195400 კგ—(12,3 %).

რაიონების (ნაპიე) მიხედვით ქერის ყველაზე დიდი მოსავალი ახალქალაქის ლივას აკუშიპირის რაიონში მოდიოდა — 2586650 კგ, მეორე ადგილზე იყო ახალციხის ლივას ქაჭარაქის რაიონი — 2185700 კგ და სხვ. (ცხრ. 2).

ახალციხის საფაშოში (სამცხე-საათაბაგოში) ქერის საშუალო წლიური მოსავალი ერთ კომლზე 2692 კგ შეადგენდა. ლივების მიხედვით ყველაზე დიდი საშუალო წლიური მოსავალი ერთ კომლზე ხერთვისის ლივაზე მოდიოდა — 4307 კგ, მეორე ადგილზე იყო ახალქალაქის ლივა — 4257 კგ, მესამეზე — ჩრდილის ლივა — 3426 კგ. საერთოდ, ქერის ყველაზე დიდი საშუალო წლიური მოსავალი ერთ კომლზე მოდიოდა ახალქალაქის ლივას ნიალისყურის რაიონში — 4836 კგ, ხოლო ყველაზე მცირე — 893 კგ დიდი არტაანის ლივას მზვარეს რაიონში.

ქერის საშუალო წლიური მოსავალი სოფლებში, ისევე როგორც ხორბლისა, 30—40 ტ შეადგენდა. მაგრამ იყო ისეთი სოფლებიც, სადაც წელწადში 100 და ზოგჯერ 200 ტონაზე მეტი ქერიც მოჰყავდათ. მაგალითად, ახალციხის ლივას ქაჭარაქის რაიონის სოფელ ულავერში მოჰყავდათ 209 ტ, სოფელ ტობაში 198 ტ, ჩრდილის ლივას ჯანბახის რაიონის სოფელ მრაკვალში 160 ტ და სხვა.

თუ რაოდენ უხვი რაოდენობით იყო აქ ქერი, ამას ერთი ხალხური ლექსიც ადასტურებს:

„მე ჯავახეთს რა მინდოდა
მთარე იდგა მხესაიოთა,
ქერის პური და კალმახი
წინ მეყარა ბზესაიოთა“²¹.

სამცხე-საათაბაგოში ქერის საშუალო წლიური მოსავალი 1545919 კილას (34010218 კგ) შეადგენდა. აქ „დავთრის“ მიხედვით ერთი კილა ქერი 8—10 ახჩა ღირდა. აქედან ახალციხისა და პეტრეს ლივებში —10, ხოლო დანარჩენებში — 8 ახჩა. ახალციხის საფაშოში ქერის საშუა-

²⁰ მ. გეგეშვიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 84, 85.

²¹ ძველი საქართველო, საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების კრებული, ტ. III, თბ., 1913—1914, ექვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 115.

ქერის საშუალო წლიური მოსავალი "გურჯისტანის ვილაიუტის დიდი ლავთის" მიხედვით

ლოცებისა და რაიონების დასახელება	ქ ვ რ ი									
	2	3	4	5	6	7	8	9	10	
	ფი სფა-აყ-ფ	ფსაგნმსაყ ფსაგნა	ფსაგნმსაყ ფსაგნა	სომხნირცაგ მსაგნმსაყ	სფაგნმსაყ მსაგნა	სომხნირცაგ მსაგნმსაყ	ფი სფაგნმსაყ	სომხნირცაგ მსაგნმსაყ	სომხნირცაგ მსაგნმსაყ	%
I. ახალციხის ლავა										
1. შუაგეს რაიონი	179	430	18	18	7230	36150	795300	1849		
2. ჩრდილის რაიონი	103	391	22	22	10361	51820	1140040	2915		
3. უღეს რაიონი	351	703	51	51	22010	110200	2204400	3135		
4. ქვაბლანის რაიონი	299	74	7	7	1820	9100	200200	2705		
5. აწყურის რაიონი	452	437	38	38	13520	67600	1487200	3403		
6. აღთუნკალას რაიონი	85	200	14	14	5195	27475	604450	3022		
7. ოტხის რაიონი	232	271	16	18	8040	40200	884400	3263		
8. ასპინძის რაიონი	262	385	35	35	13920	69600	1531200	3977		
9. კაკარაქის რაიონი	420	489	43	43	19870	99350	2185700	4761		
ჯამი	2383	3380	246	246	102259	511245	11248490	3327		33
II. ხერთვისის ლავა										
1. ხერთვისის რაიონი	177	541	32	32	16505	82825	1822150	3337		
2. ტყიანი-ჭავჭავთის რაიონი	608	365	35	35	18525	92625	2037750	5582		
3. ბუზბარეთის რაიონი	92	68	8	8	3050	15250	335500	4933		
ჯამი	877	974	75	75	38140	190700	4195400	4707		19.3

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
III. ახალქალაქის ლივა									
1. აკუმუხის რაიონი	1805	605	45	45	23515	117575	2586650	4275	
2. თმოგვის	64	150	10	10	4200	21000	462000	3080	
3. ნიალისურის "	193	286	20	20	12575	62875	1383250	4836	
	2062	1041	75	75	40290	201450	4431900	4257	13
IV. ჩრდილის ლივა									
1. ჭანბაზის რაიონი	911	452	27	27	13595	67075	1495450	3308	
2. ქანარბუღის	342	444	22	22	13800	69000	1518000	3358	
3. შველციხის "	102	83	7	7	3100	15500	311000	4108	
	1355	979	56	56	30195	152175	3351450	3426	9,8
V. ფოცხოვის ლივა									
1. შუაქვის რაიონი	327	439	35	35	13060	65300	1436600	3272	
2. ჩრდილის	317	369	24	24	11515	57575	1266650	3489	
	644	802	59	59	24575	122875	2703250	3370	7,9

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
VI. პეტრეს ლევა									
1. პეტრეს რაიონი	458	19	3	3	1100	5500	121000	6368	
2. ქაშუეთის "	379	6	1	1	1500	7500	165000	27500	
ჯამი	837	25	4	4	2600	13000	286000	11441	0,8
VII. დიდი არტანის ლევა									
1. შვეარეს რაიონი	647	1369	48	48	11122	55610	1223420	893	
2. ჩრდილის "	276	738	25	25	11290	56450	1223420	1682	
3. ტყვიანი "	1035	1400	60	60	20515	102575	4721970	1611	
ჯამი	1958	3507	133	133	42927	214635	4721970	1346	13,8
VIII. ფანაკის ლევა									
1. ფანაკის რაიონი	678	873	32	32	13975	69785	1535270	1758	
2. ქიპხისის "	241	230	8	7	3922	19610	431420	1875	
3. ფანასკერტის "	477	822	23	23	10018	50090	1101980	1340	
სულ	1396	1925	63	62	27897	139485	3068670	1594	9
სულ მთლიანად	11512	12633	711	710	309184	1545919	34010218	2692	100

ლო წლიური პროდუქციის ღირებულება, „დავთრის“ ფასების მიხედვით, დაახლოებით 13 მლნ ახჩას შეადგენდა.

ჭ ვ ა ვ ი. მარცვლეულ კულტურებს შორის ხორბლისა და ქერის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ჰქვავს ეკავა. ჩანს, სამცხე-საათაბაგოში ჰქვავის პურეულ კულტურას დიდი გამოყენება ჰქონდა. ჰქვავი კარგად ეგუება მწირ ნიადაგს და მოსავალიც ბარაქიანი იცის. ჰქვავს, ხშირად, პურთან ერთად თესავდნენ.

„დავთრის“ მიხედვით ჰქვავი ახალციხის საფაშოს 529 სოფელში მოჰყავდათ. მისი საშუალო წლიური მოსავალი 131137 ქილას (2885014 კგ) შეადგენდა.

ჰქვავი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ახალციხის ლივაში — 59055 ქილა (1299210 კგ) მთელი მოსავლის 45 %. ახალციხის ლივაში მდებარე 246 სოფლიდან მხოლოდ ერთ სოფელში არ მოჰყავდათ ჰქვავი. ჰქვავის მოყვანის მხრივ მეორე ადგილზე იყო ახალქალაქის ლივა — 25825 ქილა (568150 კგ), 19,6 %, ახალქალაქის ლივას 75 სოფლიდან მარტო ერთ სოფელში არ მოდიოდა ჰქვავი. მესამე ადგილზე იმყოფებოდა ხერთვისის ლივა. აქ 75 სოფლიდან 73 სოფელში ჰქვავი მოდიოდა. სულ 23900 ქილა (525800 კგ), 18,2%. შედარებით მცირე რაოდენობით მოჰყავდათ ჰქვავი ჩრდილის, ფოცხოვის, დიდი არტანისა და ფანაკის ლივებში. ჰქვავის ყველაზე დიდი მოსავალი მოდიოდა ახალქალაქის ლივას აკშეჰირის რაიონში 16275 ქილა (358050 კგ), სადაც ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 602 კგ, მეორეზე იყო ახალციხის ლივას ჰაჭარაქის რაიონი—14775 ქილა (325050 კგ), ერთ კომლზე — 664 კგ (ცხრ. 3).

„დავთრის“ მიხედვით ერთი ქილა ჰქვავი 8—10 ახჩა ღირდა. ჰქვავის წლიური პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 3—3,5 მლნ ახჩას უდრიდა.

ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მესხეთში ჰქვავის პურეული კულტურა საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული²².

ფ ე ტ ვ ი. მისი ხვედრითი წონა ჰქვავთან შედარებით უფრო მცირე იყო. ფეტვი გვალვას კარგად უძლებს და მოსავალიც კარგი იცის. რწყვა არ სჭირდება, უფრო ხშირად ყამირ მიწაზე თესდნენ, ახლად ათვისებულ ნიადაგში, რაც მისი ერთი მხრივ მაღალი მოსავლიანობით და მეორე მხრივ სარეველა ბალახის წინააღმდეგ ბრძოლის უნარით

²² ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრომი, 132; გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

ქვეყნის საშუალო წლიური მოსავალი მგურჯაისტანის კულაეთის დიდი ღაფთარის მიხედვით

ლევებისა და რაიონების დასახელება	ქ ვ ა ე ი *										
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
I. ახალციხის ოლქი											
1. შუგარეს რაიონი	179	430	18	17	1140	5700	125400	291			
2. ჩრდილის	103	391	22	22	1032	5160	113520	290			
3. უღეს	351	703	51	51	1963	9815	215930	307			
4. ქვაბლიანის	209	74	7	7	105	525	11550	156			
5. აწეურის	452	437	38	38	1452	7262	159764	365			
6. ალთუნკალას "	85	200	14	14	795	375	87450	437			
7. ოცხეს	232	271	18	18	1030	5150	113300	418			
8. ასპინძის	262	385	35	35	1338	6690	147180	382			
9. კავკარაქის "	420	489	43	43	2955	14775	325050	664			
ჯამი	2383	3380	246	245	11811	59055	1299210	45		384	

* 1 ქოლა ქვაყი=22 კგ.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
II. ბერძენის ლოვა									
1. ბერძენის რაიონი	177	541	32	30	2255	11275	248050		458
2. ტყვინი-ჭავჭავთის რაიონი	608	365	35	35	2060	10300	226600		620
3. ბუზბარეთის რაიონი	92	68	8	8	465	2325	51150		752
ჯამი	877	974	75	73	4780	23900	525800	18,2	539
III. ახალქალაქის ლოვა									
1. აკუქორის რაიონი	1805	605	45	44	3255	16275	358050		602
2. თმოგვის	64	150	10	10	655	3275	72050		480
3. ნიაღვრის	193	286	20	20	1255	6275	138050		482
ჯამი	2062	1041	75	74	5165	25825	568150	19,6	515
IV. ჩრდილის ლოვა									
1. ქანაზის რაიონი	911	452	27	25	1352	6760	148720		329
2. ქანარბელის "	342	414	22	21	1175	5875	129250		291
3. შველციხის "	102	83	7	7	82	410	9020		108
ჯამი	1355	979	56	53	2609	13045	286090	9,9	294

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
V ფიცხვის ლევა									
1. შებენს რაიონი	327	439	35	35	668	3340	73480		167
2. ჩრდილის "	317	363	24	10	155	775	17050		46
ჯამი	644	802	59	45	823	4115	90530	3,1	112
VI. პეტრეს ლევა									
1. პეტრეს რაიონი	458	19	3	3	25	125	2750		144
2. ქაშუეთის "	379	6	1	—	—	—	—		—
ჯამი	837	25	4	3	25	125	2750	0,3	144
VII. დღი არტანის ლევა									
1. შებენს რაიონი	647	1368	48	5	140	700	15400		—
2. ჩრდილის	276	738	25	5	245	1225	26950		—
3. ტყვანი	1035	1400	60	1	100	500	11000		—
ჯამი	1958	3507	133	11	485	2425	53350	1,8	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
VIII. ფანჯის ლიკა									
1. ფანჯის რაიონი	678	873	32	3	165	825	18150		—
2. ქიკმისის	241	230	8	—	—	—	—		—
3. ფანჯის რაიონის	477	822	23	22	365	1825	40150		—
ჯამი	1396	1925	63	25	530	2650	58300	2	—
სულ მთლიანად	11512	12633	711	529	26228	131137	2885014	100	—

აიხსნება. ძველთაგან ფეტვი გამოიყენება როგორც ადამიანის, ასევე ცხოველისა და შინაური ფრინველის საკვებად²³.

„დავთარში“ ფიქსირებული 711 სოფლიდან 237 სოფელში მოჰყავდათ ფეტვი, საშუალოდ წელიწადში 68835 ქილა (1514370 კგ). ფეტვი დიდი რაოდენობით მოდიოდა ახალციხის ლივაში (151 სოფელი) 53095 ქილა (1168090 კგ), მთელი მოსავლის 77,1 % და ფანაქის ლივაში (42 სოფელი) 9600 ქილა (211200 კგ), მოსავლის 13,9 %. სხვა ლივებში ფეტვს მცირე რაოდენობით თესდნენ. ახალქალაქის ლივას მხოლოდ სამ სოფელში მოჰყავდათ ფეტვი, ხოლო ხერთვისის ლივას 15 სოფელში. ფეტვი სრულებით არ მოდიოდა ჩრდილისა და დიდი არტაანის ლივებში (ცხრ.4).

ლ. ბერიაშვილის დაკვირვებით, ფეტვის ხვედრითი წონა მესხეთის სამეურნეო ცხოვრებაში წარსულში მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ფეტვის კულტურამ მესხეთში XX საუკუნემდე მოაღწია და კვლავ ჰქონდა გამოყენება საოჯახო მეურნეობაში²⁴.

სამცხესათაბაგოში ფეტვის ყოველწლიური მოსავალი ქვაგთან შედარებით ორჯერ უფრო მცირე იყო.

ახალციხის საფაშოში „დავთარის“ მიხედვით, ერთი ქილა ფეტვი 8—10 ახჩა ღირდა. მისი წლიური პროდუქციის ღირებულება დაახლოებით მილიონ ნახევარ ახჩას შეადგენდა.

ამრიგად, ამ მოკლე მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ სამცხე-სათაბაგოში მარცვლეულ კულტურებს შორის წამყვანი ადგილი ხორბალსა და ქერს ეკავა. მათი ხვედრითი წონა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში თითქმის ერთნაირი იყო.

ყველაზე დიდი რაოდენობით მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ ახალციხის ლივაში. აქ დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ხორბალსა და ქერს, უხვად იყო ჰვავი და ფეტვიც. ახალციხის ლივაში ყოველწლიურად საშუალოდ მოჰყავდათ 23363735 კგ მარცვლეული, მთელი მოსავლის 31,3 %. მეორე ადგილზე იყო დიდი არტაანის ლივა, 11392315 კგ (15,2 %). აღსანიშნავია, რომ ახალციხის ლივაში ორჯერ უფრო მეტ მარცვალს აწარმოებდნენ, ვიდრე დიდი არტაანის ლივაში. სხვა ლივებთან შედარებით ეს განსხვავება კიდევ უფრო საგრძნობია. მარცვლეულის მოსავლით გამოირჩეოდნენ, აგრეთვე, ახალქალაქისა—9827777 კგ (13,1 %) და ხერთვისის—9138813 კგ (12,2 %) ლივები.

ყოველ სოფელში საშუალოდ წელიწადში მოჰყავდათ 50—70 ტ მარცვლეული.

„დავთარში“ რეგისტრირებული 711 სოფლიდან 347 სოფელში 100 ტ და უფრო მეტი მარცვლეული მოჰყავდათ. აქედან:

²³ ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

²⁴ იქვე.

ფიტების საშუალო წლიური მოსავლი "გურჯისტანის კლავითის დღი დაუთრის" მიხედვით

ლივებისა და რაიონების დასახელება	ც ხ რ ი										
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
I. ახალციხის ლივა	1. შვარეს რაიონი	179	430	18	17	916	4580	100760	235		
	2. ჩრდილის	103	391	22	21	816	480	89760	230		
	3. უღეს	351	703	51	5	5152	25760	566720	—		
	4. ქვაბლიანის	299	74	7	1	20	100	2200	—		
	5. აწუურის	452	437	38	30	710	3550	78100	—		
	6. ალთუნკალას	85	200	14	13	602	3010	66220	332		
	7. ოცხეს	232	271	18	18	1630	5150	113300	418		
	8. ასპინძის	262	385	35	21	388	1940	42680	—		
	9. კაკაბაქის	420	489	43	25	985	4925	108350	—		
	ჯამი	2383	3380	246	151	10619	53095	1168090	77,1		
II. ხეროვის ლივა	1. ხეროვის რაიონი	177	541	32	15	525	2625	55750	—		
	2. ტყვანი-ჭაბუბეთის "	608	365	35	—	—	—	—	—		
	3. ბუზბარეთის "	92	68	8	—	—	—	—	—		
	ჯამი	877	974	75	15	525	2625	55750	3,8		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
III. ახალქალაქის ლევა									
1. აკუქიჩის რაიონი	1805	605	45	—	—	—	—	—	—
2. თმოგვის	64	150	10	3	120	600	13200	—	—
3. ნიალისყურის	198	286	20	—	—	—	—	—	—
ჯამი	2062	1041	75	3	120	600	13200	0,8	—
IV. ჩრდილის ლევა									
1. ჩანაზის რაიონი	911	452	27	—	—	—	—	—	—
2. ქანარბეღის	342	444	22	—	—	—	—	—	—
3. მგელციხის	102	83	7	—	—	—	—	—	—
ჯამი	1355	979	56	—	—	—	—	—	—
V. ფოცხოვის ლევა									
1. მზარეს რაიონი	327	439	35	7	38	190	4180	—	—
2. ჩრდილის	317	363	24	17	495	2175	54450	—	—
ჯამი	644	802	59	24	533	2665	58630	3,8	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
VI. პეტრეს ლოვა									
1. პეტრეს რაიონი	458	19	3	1	25	125	2750	—	—
2. ქაშუეთის "	379	6	1	1	25	125	2750	—	—
	837	25	3	2	50	250	5500	0,3	—
VII. დიდი არტანის ლოვა									
1. შუგარეს რაიონი	647	1363	48	—	—	—	—	—	—
2. ჩრდილის "	276	738	25	—	—	—	—	—	—
3. ტყიანი "	1035	1400	60	—	—	—	—	—	—
	1958	3507	133	—	—	—	—	—	—
VIII. ფანაკის ლოვა									
1. ფანაკის რაიონი	678	873	32	19	930	4650	102300	—	—
2. ქიამბისის "	241	230	8	3	140	700	15400	—	—
3. ფანასკერტის "	477	822	23	20	850	4250	93600	—	—
	1396	1925	63	42	1920	9600	211200	13,9	—
სულ მთლიანად	11512	12633	711	237	13767	68835	1514370	100	—

100 ტ და მეტი	274 სოფელში
200 " " "	60 "
300 " " "	14 "

ამრიგად, ახალციხის საფაშოს სოფლების თითქმის ნახევარში მარცვლეულის დიდი მოსავალი მოდიოდა. ხერთვისის ლივას 75 სოფლიდან 55 სოფელში 100 ტ და უფრო მეტი ხორბალი მოჰყავდათ, ჩრდილის ლივას 56 სოფლიდან — 36 სოფელში, ფოცხოვის ლივას 56 სოფლიდან — 28 სოფელში, ფანაკის ლივას 70 სოფლიდან 35 სოფელში და სხვა.

სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის წარმოების ყველაზე მდიდარი სოფელი ულავერი იყო (ახალციხის ლივას ჭაჭარაქის რაიონი). ამ სოფელში ყოველწლიურად მოჰყავდათ 400 ტონამდე (395 ტ) მარცვლეული. აქედან 209 ტ ჭერი, 153 ტ ხორბალი და 33 ტ ჭვავი და ფეტვი. სოფ. ოკამში მოჰყავდათ 356 ტ მარცვლეული: აქედან 191 ტ ხორბალი, 132 ტ ჭერი და 33 ტ ჭვავი და ფეტვი. სოფ. წყორძაში, ახალციხის ლივას ჭაჭარაქის რაიონი, მოჰყავდათ 351 ტ მარცვლეული. აქედან 153 ტ ხორბალი, 165 ტ ჭერი და 33 ტ ფეტვი და ჭვავი.

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) „დავთრის“ მიხედვით საშუალოდ წელიწადში მოჰყავდათ ხორბალი 1418930 ქილა (36182715 კგ), ჭერი 1545919 ქილა (34010218 კგ), ჭვავი 131137 ქილა (2885014 კგ), ფეტვი 68835 ქილა (1514370 კგ), ხოლო სულ მთლიანად მარცვლეული 3174842 ქილა (74630478 კგ).

მარცვლეულის წლიური პროდუქციის ღირებულება „დავთრის“ ფასების მიხედვით დაახლოებით 30—33 მლნ ახჩას შეადგენდა.

ჩვენი გაანგარიშება ახალციხის საფაშოში მარცვლეულის წარმოებაზე არაა სრული, რადგან „დავთრის“ მიხედვით ზოგჯერ ვერ ხერხდება გავარკვიოთ სოფლის მეურნეობის რა პროდუქტებზე იყო გაწერილი გადასახადი. ზოგჯერ „დავთარში“ ჩაწერილია სოფელში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა და გადასახადების ჯამი, მაგრამ არაა მითითებული, თუ რა პროდუქტებიდან უნდა გადაეხადათ ესა თუ ის თანხა, ან ნათქვამია, რომ ეს სოფლები „დავთრის გარეშეა“. სხვა შემთხვევაში მითითებულია „ჯამი მარცვლეულისაგან“, „სათესველი“ და გადასახდელი თანხა. მაგალითად:

„სოფელ ბერეკაანთუბანი, აწყურის რაიონი ახალციხის ლივაში
 ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 1000 ახჩა
 ცხადია ბასილას ძე

.აფრასა ძე მისი
 გუბელა ძე მისი“²⁵.

ურქმაზ სარიდანის ძე
 ან

²⁵ დავთარი, წ. II, გვ. 111.

„სოფელი ავაზანა სათესველით სოფელ ვანისკვაბთან
ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 6500 ახჩა“²⁶.

კიდევ

„სოფელი კალაჯიკი, დავთრის გარეშეა
ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 1499 ახჩა“²⁷.

ცხადია, რომ ასეთ სოფლებსა და სახნავ-სათეს ადგილებში მოსავალი მოჰყავდათ, მაგრამ რა პროდუქტები და რამდენი, ამის გარკვევა ვერ ხერხდება. სულ „დავთრის“ მიხედვით ასეთი სოფლებისა და ადგილების ყოველწლიური გადასახადების ჯამი 358828 ახჩას შეადგენდა.

„დავთარში“ გატარებულია, აგრეთვე, 303 სოფელი, რომლებიც „ცარიელია რაიასაგან“ (გლებებისაგან) და თითოეული ასეთი სოფლის გვერდით მიწერილია გადასახადების ჯამი. ეს ის სოფლებია, რომლებიც ომის შედეგად ან განადგურდა, ანდა მოსახლეობამ მიატოვა, და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გადასახლდა. სულ ამ 303 სოფელზე გაწერილი გადასახადების ჯამი 1768318 ახჩას შეადგენდა. თავისთავად ცხადია, რომ მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლები მოსავალს არ იძლეოდა. ასეთ სოფლებზე შეწერილი გადასახადი ნითითებული იყო იმ შემთხვევისათვის, თუ მოხერხდებოდა მათი აღდგენა და დასახლება. მთავრობას უნდა სცოდნოდა, ამ სოფლებიდან ყოველწლიურად შემოსავლის რა თანხას მიიღებდა.

„დავთარს“, აგრეთვე, დართული აქვს ოლთისის ლივას სოფლების გადასახადების ჯამი — სულ 527155 ახჩა. ამ მონაცემებიდანაც შეუძლებელია გავარკვიოთ ოლთისის ლივის მარცვლეულის წლიური მოსავალი.

სულ მთლიანად „დავთარში“ ფიქსირებული გადასახადების ჯამი, რომელთა მიხედვითაც ვერ ხერხდება მარცვლეულის წლიური მოსავლის დადგენა, 2654301 ახჩას შეადგენდა, რაც მთელი გადასახადების 27% უდრიდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის მიერ მიტოვებულ სოფლებში, თურქთა შემოსევამდე ისევე იყო განვითარებული სოფლის მეურნეობა, როგორც ამ რეგიონის სხვა სოფლებში. თუ ჩვენ მიერ ზემოთ მიღებულ მონაცემებს მივუმატებთ „დავთრის გარეშე“ მყოფი სოფლების შემოსავალს, გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ გარკვეული სოფლების მოსახლეობის მიერ მიტოვებამდე იქაც მისდევდნენ მარცვლეულის წარმოებას, ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვილაპარაკოთ სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მარცვ-

²⁶ დავთარი, წ. II, გვ. 244.

²⁷ იქვე, გვ. 503.

ლეულის წარმოების მაღალ დონეზე საქართველოს ამ რეგიონში, ვიდრე ეს ფიქსირებულია „დაეთარში“, შესაბამისად, მარცვლეულის საერთო მოსავალიც გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო.

2. ხორბლეულის მოსავალი ერთ კომლსა და ერთ ჰექტარზე

ოსმალეთში გლეხის სარგებლობაში მყოფ მიწას, საკომლოს, ჩიფთლიქი (ჩიფთი) ეწოდებოდა. ჩიფთლიქის ფართობი დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე. ერთი ჩიფთლიქი, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მიწის ნაყოფიერება, 60 დონუმიდან 150 დონუმს შეიცავდა. კარგი მიწის ერთი ჩიფთლიქი 60—80 დონუმს შეადგენდა, საშუალო მიწებისა 80—100 დონუმს და მწირი მიწებისა—100—150 დონუმს. „ერთი დონუმი სიგრძითა და სიგანით 40 ჩვეულებრივი ნაბიჯი მიწაა“²⁸. 10 დონუმი დაახლოებით 1 ჰექტარს უდრის. ამრიგად, გლეხის ჩიფთლიქი მიწის ხარისხის შესაბამისად 6—15 ჰექტარს შეადგენდა²⁹. ჩიფთლიქი ამავე დროს საგადასახადო ერთეულიც იყო. გლეხი, რომელიც ერთ ჩიფთლიქ მიწას ამუშავებდა, იხდიდა რესმი ჩიფთის (resmi çift) გადასახადს, ნახევარი ჩიფთის მფლობელი—ნიმჩიფთს (nim çift); ვისაც ნახევარ ჩიფთზე ნაკლები მიწა ჰქონდა—ბენაქს. თუ გლეხს ერთ ჩიფთლიქზე მეტი მიწა ჰქონდა, მაშინ ყოველ დონუმზე დამატებით იხდიდა 1-2 ახჩას³⁰.

ოსმალეთის კანონმდებლობით განსაზღვრული იყო გლეხს ერთ ჩიფთლიქაზე რამდენი მარცვლეული უნდა დაეთესა. სულეიმან I (1520—1566) კანონთა კრებულში ჩაწერილია: „თუ რაიათს (გლეხს) აქვს ჩიფთლიქი, იგი ვალდებულია ყოველ წელს დათესოს 4 ბურსის მუდი მარცვლეული. იმ წელს, როცა იგი არაფერს არ დათესს, მისგან უნდა აიღონ 50 ახჩა, თუ იგი დათესავს 2 ბურსის მუდს, მაშინ მისგან აიღება 25 ახჩა“³¹.

მსგავსი შინაარსის მუხლი შეტანილი იყო, აგრეთვე, ოსმალეთის იმპერიის პროვინციების (ყარამანიის, კონიის, ყარსისა და სივასის) კანუნ-ნამეებშიაც. ასე, მაგალითად, 1528 წ. ყარამანიის ვილაიეთის კანუნ-ნამეში ვკითხულობთ: „რაიათი (გლეხი), რომელსაც აქვს ჩიფთლიქი, ვალდებულია ყოველწლიურად დათესოს 4 ბურსის მუდი მარ-

²⁸ დაეთარი, წ. II, გვ. 2.

²⁹ ოსმალეთში ჩიფთლიქი, ქართულ საკომლოსაგან განსხვავებით, მხოლოდ სახანავ-სათესი მიწა იყო.

³⁰ H. Inalcik, Osmanlılar' da raiyet gûsûmu, Beleten, XXIII, 92 s. 575—608.

³¹ Книга законов султана Сулеймана Кануни, Аграрный строй Османской империи..., с. 33.

ცვლელი. იმ წელს, როდესაც იგი არ დათესავს, უნდა გადაიხადოს 50 ახჩა. თუ იგი დათესავს 1 ყარამანიის მუდს, მაშინ იგი გადაიხდის 25 ახჩას³².

ამრიგად, გლეხი ვალდებული იყო ერთ ჩიფთლიქზე დაეთესა 4 ბურსის მუდი მარცვალი. იმ შემთხვევაში, თუ გლეხი ჩიფთლიქს დაუმუშავებელს დასტოვებდა, იხდიდა ჯარიმას დაუმუშავებელი მიწის ფართობის შესაბამისად. მაგრამ თუ გლეხი „სამ წელიწადს ზედიზედ (ჩიფთლიქს) უმიზეზოდ დაუმუშავებელს და ცარიელს დასტოვებდა, იგი ჩამოერთმეოდა მას და გადაეცემოდა სხვას“³³.

ამავე დოკუმენტებიდან შესაძლებელია გავარკვიოთ, თუ საშუალოდ ერთ ჩიფთლიქზე რამდენი მარცვლელი მოჰყავდათ. 1587 წ. კონიის ლივას კანუნ-ნამეში აღნიშნულია: „ხალხი ჩიფთლიქს უწოდებს ისეთ სახნავ და სათეს მიწას, რომელიც ყოველწლიურად იძლევა (მოსავალს) 12 ბურსის მუდის რაოდენობით ან 8 კონიის მუდს, თუ ჩვეულებრივი ქილაა მაშინ — 6 მუდს“³⁴.

ამრიგად ირკვევა, რომ ერთ ჩიფთლიქზე თესდნენ 4 ბურსის მუდ მარცვლელს და მოჰყავდათ 12 მუდი.

ვ. ჰინცის მიხედვით, 1 ბურსის მუდი შეადგენდა დაახლოებით 112,5 ლიტრს — 87 კგ³⁵.

ცნობილია, რომ ერთ ჰექტარზე, მიწის ხარისხისა და მარცვლეულის სახეობის შესაბამისად, თესდნენ 100—200 კგ მარცვლელს. ხოლო გლეხის ჩიფთლიქი შეიცავდა მალაზხარისხოვანი მიწის 6 ჰა. როგორც აღვნიშნეთ, ერთ ჩიფთლიქზე ითესებოდა 4 ბურსის მუდი მარცვლელი. თანახმად ვ. ჰინცის გაანგარიშებისა, 4 ბურსის მუდი ($87 \times 4 = 348$) შეადგენდა 348 კგ, ე. ი. ერთ ჩიფთლიქზე თესდნენ 348 კგ მარცვლელს. ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია ერთ ჩიფთლიქზე

³² Ö. L. Barkan, XV—XVI—inci asırlarda Osmanlı İmparatorluğunda Ziraî Ekonominin Hukukî ve Malî Esasları, c. 1. Kanunlar, İstanbul, 1943, s. 46 შემდეგ შემოკლებით Kanunlar. H. Tuncer, Arazî Kanunları, s. 47, 65, 95, 399, 431. N. Beldiceanu et I. Beldiceanu-Steinherr, Recherches sur la province de Qaraman au XVI siècle, Études et actes, Journal of the Economic and Social History of the Orient, Vol. XI, (Part I) March, 1968. p. 47. Законоположенне вилайета Караман, Аграрный строй Османской империи..., с. 58.

³³ დავთარი, წ. II, გვ. 2.

³⁴ Ö. L. Barkan, Kanunlar, s. 46. H. Tuncer, Arazî Kanunları, s. 399; N. Beldiceanu et I. Beldiceanu-Steinherr, La province de Qaraman au XVI siècle. p. 47; ა. ტვერტინოვა ყარამანიის 1528 წ. ვილაიეთის კანუნ-ნამეს ამ ადგილს შემდეგნაირად თარგმნის: „ჩიფთლიქი არის ისეთი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც დათესილია 12 ბურსის მუდი მარცვლელი“. Законоположенне вилайета Караман, Аграрный строй Османской империи... с. 58.

³⁵ В. Хинц, Указ. соч., с. 57.

ასე მცირე რაოდენობით (347 კგ) დაეთესათ მარცვლეული. გამოდის, რომ ერთ ჰექტარზე საშუალოდ ითესებოდა (348:6) 58 კგ. ასევე ძალზე მცირეა ერთ ჩიფთლიქზე მიღებული საშუალო წლიური მოსავალი (348×3) 1044 კგ. როგორც ზემოთ მიუთითეთ, ოსმალეთში მარცვლეულის მოსავალი სამჯერადი იყო. ერთი ტონა მარცვლეული წელიწადში ერთ კომლს (5 სულს) მხოლოდ თავის გამოსაკვებად თუ ეყოფოდა. მას გადასახადიც ხომ უნდა გადაეხადა და კიდევ დარჩენოდა მარცვლეული სათესლედ.

ამრიგად, ყოველივე ამის გამო ვ. ჰინცის მიერ ბურსის მუდის წონის ასეთ განსაზღვრას ვერ დავეთანხმებით.

ზემოთ მოტანილ ოსმალურ კანუნ-ნამეებში ნათქვამია, რომ 12 ბურსის მუდი შეეფარდება 8 კონიის მუდს ან 6 ჩვეულებრივ მუდს³⁶.

კონიის მუდის წონა არ ვიცით, ხოლო „ჩვეულებრივ მუდში“ კი, ჩვენი აზრით, სტამბულის მუდია ნაგულისხმევი. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ 1563 წ. ყარსის კანუნ-ნამეში სწერია, რომ ჩიფთლიქი ისეთი მიწაა, რომელზედაც მოჰყავთ 6 სტამბულის მუდი (მარცვლეული)³⁷.

ჩვენი გამოანგარიშებით 12 ბურსის მუდი=6 „ჩვეულებრივ“ ანუ 6 სტამბულის მუდს, ხოლო 1 ბურსის მუდი=ნახევარს სტამბულის მუდს. ერთი სტამბოლის მუდი შეადგენდა 20 ქილას. აქედან ხორბალი იწონიდა 513,12 კგ, ქერი—დაახლოებით 445 კგ³⁸, ე. ი. ერთი სტამბოლის მუდი შეიცავდა დაახლოებით 500 კგ მარცვლეულს, ბურსის მუდი კი — მის ნახევარს, ე. ი. 250 კგ³⁹.

ამრიგად, ოსმალური კანონმდებლობების ანალიზიდან ირკვევა, რომ ერთი ჩიფთლიქზე ყოველწლიურად თესდნენ დაახლოებით ერთ ტონა მარცვლეულს (250×4=1000 კგ.) და მოჰყავდათ — სამი ტონა (250×12=3000 ტ), ე. ი. მარცვლეულის მოსავალი სამჯერადი იყო.

გლახს 6 ჰა ნოყიერი მიწიდან წელიწადში იმდენივე მარცვლეული მოჰყავდა, რაც მწირი მიწის 10—15 ჰექტრიდან. ამიტომ იყო, რომ მიწის სარგებლობისათვის გაწერილი გადასახადი მიწის ფართობზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მის ხარისხზე. ყოველივე ამის გამო 6 ჰექტარი უმაღლესი ხარისხის მიწა იყო ჩიფთლიქის საზომი ერთეული.

³⁶ ო. L. Barkan. Kanunlar, s. 46, 47.

³⁷ H. Tuncer Azazi Kanunlari, s. 431.

³⁸ В. Хинц. Указ. соч., с. 58.

³⁹ ვ. ინალციკის ცნობით, ერთი ბურსის მუდი 12 ქილას შეადგენდა H. Inalcik Rice cultivation in the Ottoman... Empire, Turcica, XIV, Paris, 1982, p. 119, ე. ი. 260-300 კგ. მარცვლეულს.

ერთ ჩიფთლიქზე, ე. ი. 6 ჰექტარზე, როგორც გავარკვიეთ, თეს-
დნენ 1 ტ მარცვლეულს, ხოლო ერთ ჰექტარზე — (100:6) 166 კილო-
გრამს. როგორც ვიცით, ოსმალებში მარცვლეულის მოსავალი სამჯე-
რადი იყო. ე. ი. ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავდათ (166×3) დაახ-
ლოებით 500 კგ. ხოლო ერთ ჩიფთლიქზე — 3 ტ. თუმცა სამეცნიერო
ლიტერატურაში გვხვდება სხვა მოსაზრებაც.

მაგალითად, ირენ და ნიკოარა ბელდიჩიანუების გამოანგარი-
შებით XVI ს-ში ყარამანიის ვილაიეთში უმაღლესი ხარისხის მიწის
ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 400 კგ მარცვლეული, ხოლო ერთ ჩიფ-
თლიქზე — (400 X 6) 2400 კგ⁴⁰.

პ. ჯილოვის ცნობით, ანატოლიაში გლეხს ერთ ჩიფთლიქზე
მოჰყავდა 5 ტონამდე მარცვლეული⁴¹, ე. ი. მოსავალი ხუთჯერადი
ყოფილა.

მარცვლეულის ასეთი მაღალი მოსავალი ანატოლიაში, ჩანს,
ყველაზე საუკეთესო ადგილებში მოჰყავდათ, რადგან. როგორც ზე-
მოთ გავარკვიეთ, ანატოლიაში საშუალო წლიური მოსავალი სამ-
ჯერადი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს ფიქსირებული ოსმალურ
კანუნ-ნამეგებში.



„დავთრის“ ანალიზის შედეგად შესაძლებელია გავარკვიოთ
სამცხე-საათაბაგოში წელიწადში საშუალოდ რამდენი მარცვლეული
მოჰყავდათ ერთ კომლზე (ჩიფთლიქზე) და ერთ ჰექტარზე⁴².

თუ გვინდა გავარკვიოთ სამცხე-საათაბაგოში „დავთრის“ მიხე-
დვით ერთ კომლს წელიწადში საშუალოდ რამდენი მარცვლეული მოჰ-
ყავდა, მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი უნდა გავყოთ კო-
მლთა რაოდენობაზე (74630474:12633) 5907 კგ. ე. ი. თითქმის 6 ტონა.

⁴⁰ N. Beldiceanu, I. Beldiceanu-Steinherr, La province de Qaraman... p. 22.

⁴¹ H. Cillov, Türkiye Ekonomisi, Istanbul Üniversitesi İktisat Fakültesi, 1962, s. 179.

⁴² „დავთრის“ მიხედვით შესაძლებელია, ავრეთვე, მახლობლით დავადგინოთ სამ-
ცხე-საათაბაგოს სახნავ-სათესი მიწის ფართობი. თუ ვიანგარიშებთ, რომ თითოეულ
კომლს საშუალოდ 10 ჰექტარი მიწა ჰქონდა, მაშინ გამოდის, რომ სამცხე-საათაბაგო-
ში დაახლოებით 120—130 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა იყო. ცხადია, აქედან მი-
წის ერთ ნაწილს ასვენებდნენ. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ XIX ს-ის 80-იან
წლებში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში 55477 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა
იყო (X. A. B е р м и ш е в დასახ. ნაშრომი, გვ. 32). ამჟამად საქართველოს სამხრეთ
ეკონომიკურ (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი და ბოჯდანოვკა) რაიონში
78206 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა (საქართველოს სამხრეთი ეკონომიკური რაიონი,
გვ. 93).

მაგრამ ეს გამოანგარიშება არ არის ზუსტი, რადგან „დაეთარში“ რეგისტრირებული 12633 კომლიდან 75 — ბენაქისა და მუჯერედის გადახდელი იყო, ე. ი. ნახევარ ჩიფთლიქზე ნაკლები მიწა ჰქონდა.

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოში „დაეთარის“ მიხედვით, წელიწადში საშუალო ერთ ჩიფთლიქზე 6 ტ მარცვლეული მოჰყავდათ, 1 ჰექტარზე — 1 ტ (10 ც). ასეთი იყო ზოგადი სურათი ახალციხის საფაშოში (სამცხე-საათაბაგოში) მარცვლეულის მოსავლისა, მაგრამ იგი მთელი სისრულით ვერ ასახავს რეალურ ვითარებას.

სპეციალისტების აზრით, საშუალო რიცხვი „სტატისტიკურ ერამდე“ საერთოდ, და განსაკუთრებით მოსავლიანობის განსაზღვრისას, არ ასახავს რეალურ სინამდვილეს (მდგომარეობას). „საშუალო რიცხვი“ ხშირად ხელოვნურია. მოსავლის საშუალო რიცხვი, მისი პროდუქტიულობა ერთ ჰექტარზე პირობითია, რადგან იგი ნიღბავს განსხვავებას მოწინავე და ჩამორჩენილ ოლქებს შორის. რეალური და გადამწყვეტი პროგრესი პატარა რაიონისა არა ჩანს საშუალო რიცხვში ვრცელი ტერიტორიების დაბალი მოსავლიანობის გამო⁴³.

მართლაც, ახალციხის საფაშოს სხვადასხვა ლივები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მარცვლეულის წარმოების დონით. ამიტომ მოსავლიანობის „საშუალო რიცხვი“ რომ უფრო ზუსტი იყოს, საჭიროა ყოველი ლივისა თუ რაიონის მოსავლის მონაცემები ცალ-ცალკე იყოს გაანალიზებული.

„დაეთარიდან“ ირკვევა, რომ მარცვლეულის წარმოებისათვის შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი გეოგრაფიული და კლიმატური პირობები იყო დიდი არტაანისა და ფანაქის ლივებში. ასე, მაგალითად, დიდი არტაანის ლივაში ერთ კომლზე წელიწადში საშუალოდ მოდიოდა 3248 კგ მარცვლეული, ფანაქის ლივაში — 3807 კგ. ყველაზე დაბალი მარცვლეულის მოსავალი მოდიოდა დიდი არტაანის ლივას მზევარეს რაიონში, ერთ კომლზე 2,5 ტონა. ამ ლივებში მარცვლეულის მოსავალი წელიწადში საშუალოდ 3,5 ჯერადი იყო. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ რეგიონში იყო ყველაზე მეტი ნახევარი ჩიფთლიქისა და ნახევარ ჩიფთლიქზე უფრო ნაკლები მიწის მფლობელი კონლი — 69 75-დან.

მარცვლეულის წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული და კლიმატური პირობები იყო მესხეთ-ჯავახეთში, მას საქართველოს პურის ბელელს უწოდებდნენ.

მესხეთ-ჯავახეთში საშუალოდ ერთ კომლზე, ე. ი. ერთ ჩიფთლი-

⁴³ А. Д. Люблинская, Французские крестьяне в XVI--XVII вв. М., 1978, с. 10.

ქზე⁴⁴ მოჰყავდათ 7,5 ტ მარცვლეული. მოსავლიანობა რვაჯერადი იყო და ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 12—13 ცენტნერი. ლივების მიხედვით მარცვლეულის ყველაზე მაღალი მოსავალი მოდიოდა ხერთვისისა და ახალქალაქის ლივებში: 1 ჰექტარზე საშუალოდ 15—16 ცენტნერი. ფოცხოვში — 13 ცენტნერი, ახალციხისა და ჩრდილის ლივებში — 11—12 ცენტნერი (ცხრ. 5).

ცალკეული ლივების მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავლიანობა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ზუსტად ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას, ვინაიდან ზოგიერთ ლივას რიგ რაიონში მოსავალი გაცილებით მაღალი იყო. ასე, მაგალითად, ხერთვისის ლივას ტყიანი-ჭავახეთის რაიონში ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავდათ 20 ცენტნერი მარცვლეული, ამავე ლივას ბუზმარეთის რაიონში — 17 ცენტნერი. ახალქალაქის ლივას ნიალისყურის რაიონში — 17 ცენტნერი და სხვ.

ამრიგად, მესხეთ-ჭავახეთში მარცვლეულის მოსავლიანობა რვაჯერადი იყო. ერთ ჩიფთლიქზე საშუალოდ მოჰყავდათ 77 ცენტნერი, 1 ჰექტარზე — 12—13 ცენტნერი, ხოლო უკეთესი მიწებიდან 1 ჰექტარზე — 18—20 ცენტნერი.

„დავთრის“ მიხედვით ვერ ხერხდება 1 ჰექტარზე მარცვლეულის ცალკეულ სახეობათა (ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი) მოსავლიანობის დადგენა.

მარცვლეულის ცალკეული კულტურების მოსავლიანობის შესახებ მასალები გვხვდება მხოლოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში, ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ.

ასე, მაგალითად, ამ პერიოდში ახალციხის ოლქში ერთ დესეტინაზე⁴⁵ წელიწადში მოჰყავდათ:

ქერი	96	ფუთი	= 1536 კგ.
საშემოდგ. ხორბალი	80		= 1280
საგაზაფხულო „	60		= 960 „
ჭვავი	100		= 1600 „ ⁴⁶

$$5376:4 = 1344 \text{ კგ} = 13 \text{ ტ}$$

ე. ი. საშუალოდ ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 13 ტ მარცვლეული.

⁴⁴ მესხეთ-ჭავახეთში ნახევარ ჩიფთლიქზე ნაკლები მიწის მქონე კომლთა რაოდენობა მცირე იყო: ახალციხის ლივაში 1, ხერთვისის ლივაში—2 და ჩალღირის ლივაში—3.

⁴⁵ ერთი დესეტინას ფართობი ოდნავ აღემატებოდა ერთ ჰექტარს=1200 კვ მ.

⁴⁶ X. A. Вермишев, Экономический быт государственных крестьян-Ахалцихского и Ахалкалакского уездов, МИЭКБГКЗК, 1886, Т. III, ч. II, с. 154—157.

მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის“ მიხედვით

ლევებისა და რაიონების დასახელება	ფართობი კვ. კმ	კომალა რაოდენობა	რამდენ სო. ფულში მოჰყავდათ	რემდენი ქლა მოჰყავდათ საშ. წელიწადში	რამდენი კმ მოსავლით საშ. წელიწადში	ერთ კომალზე (ჩითვლილკე) საშ. კმ	ერთ ჰექტარზე ცენტნერი	მოსავალი %
1	2	3	4	5	6	7	8	9
I. ახალციხის ლივა								
1. მზვარეს რაიონი	179	430	18	78045	1827642	4250	7	
2. ჩრდილის	103	391	22	102435	2398312	6133	10	
3. უღეს	351	703	51	198525	4332175	6162	10	
4. ქვაბლიანის "	299	74	7	15025	349100	4717	7—8	
5. აწყურის "	452	437	38	134619	3073970	7034	11—12	
6. აღუნკალას "	85	200	14	59295	1391412	6957	11—12	
7. ოცხეს "	232	271	18	90600	2133550	7872	13	
8. ასპინძის "	262	385	35	134880	3165635	8222	13—14	
9. ქაქარაქის "	420	489	43	188800	4289375	8771	14—15	
ჯამი	2383	3380	246	1001797	23363776	6912	11—12	31,9
II. ხერთვისის ლივა								
1. ხერთვისის რაიონი	177	541	32	168650	3962038	7268	12	
2. ტყიანი-ჯაკახეთის რ.	608	365	35	188975	4458625	12215	20	
3. ბუზმარეთის "	92	68	8	30575	718150	10413	17	
ჯამი	877	974	75	385575	9138813	9382	15—16	12,1
III. ახალქალაქის ლივა								
1. აკშვირის რაიონი	180	605	45	260680	5763852	9527	15—16	
2. თმოგვის	64	150	10	44375	1044500	6963	11—12	
3. ნიალისურის "	193	286	20	127900	3019425	10557	17—18	
ჯამი	2062	1041	75	415180	9827777	9940	15—16	13

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა . ც ხ რ ი ლ ი 5

1	2	3	4	5	6	7	8	9
IV. ჩრდილის ლივა								
ქანზაზის რაიონი	911	452	27	137720	3250287	7190	11—12	—
ქანარბელის	342	444	22	136675	3223150	7259	12	—
3. მგელციხის	102	83	7	31010	735070	8856	14—15	—
ჯ ა მ ი	1355	979	56	305405	7208507	7363	12	9.6
V. ფოცხოვის ლივა								
1. შვარეს რაიონი	327	439	35	128405	3033422	6909	11—12	—
2. ჩრდილის	317	363	24	117675	2787825	7679	12—13	—
ჯ ა მ ი	644	802	59	246080	5821248	7258	12	7,7
VI. პეტრეს ლივა								
1. პეტრეს რაიონი	458	19	3	10750	254000	—	—	—
2. ჭაშეთის	379	6	1	12625	295250	—	—	—
ჯ ა მ ი	837	25	4	36025	549250	—	—	0,1
VII. დიდი არტაანის ლივა								
1. შვარეს რაიონი	647	1365	48	143150	3453240	2529	4	—
2. ჩრდილის	276	738	25	118925	2830725	3835	6	—
3. ტყიანი	1035	1400	60	214475	5108350	3648	6	—
ჯ ა მ ი	1958	3507	133	476550	11392315	3248	5	15,2
VIII. ფანაკის ლივა								
1. ფანაკის რაიონი	678	873	32	147380	3494780	4003	6—7	—
2. ჭაშხისის	241	230	8	45305	1084192	4713	7—8	—
3. ფანასკერტის	477	822	23	115545	2749820	3345	5—6	—
ჯ ა მ ი	1396	1925	63	308230	7328792	3806	6	9,7
სულ მთლიანად ჯ ა მ ი	11512	12633	711	3174842	74630478	5907	9—10	100

ამრიგად, XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში ახალციხის ოლქებში მარცვლეულის დაახლოებით ისეთივე მოსავალი იყო, როგორც „დავთრის“ მიხედვით მესხეთ-ჯავახეთში XVI საუკუნის 90-იან წლებში. და საფიქრებელია, რომ ცალკეული მარცვლეულის კულტურების მოსავლიანობაც ისეთივე იქნებოდა.

როგორი იყო მესხეთ-ჯავახეთში მარცვლეულის მაქსიმალური მოსავალი ერთ ჰექტარზე? ცხადია, რომ მარცვლეულის უაღრესად დიდი მოსავალი მოდიოდა იმ მიწებზე, სადაც ხელსაყრელ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებთან ერთად, ხდებოდა ამ მიწების მორწყვა და ნაკელით განოყიერება.

XIX ს-ის 80-იან წლებში ახალციხის მაზრის ულავერის რაიონში სარწყავ მიწებზე კარგი მოსავლის დროს ხორბლის მოსავალი იყო დაახლოებით 12 ჯერადი, საშუალოდ — 8, ცუდი მოსავლის პირობებში 5 ან 4; ქერი 16, 10 და 5 ჯერადი იყო, იმ მიწებზე, რომლებიც არ ირწყვებოდა, ხორბლის მოსავალი იყო 10, 6 და 3, ხოლო ქერისა 12, 8 და 4 ჯერადი⁴⁷.

იჩვენება, რომ ულავერის რაიონში კარგი მოსავლის დროს სარწყავ მიწებზე ხორბლის მაქსიმალური მოსავალი იყო ერთ ჰექტარზე ($160 \times 12 = 1920$ კგ) 19 ცენტნერი, ქერისა ($160 \times 16 = 2560$ კგ) 25 ცენტნერი, ე. ი. ერთ ჰექტარზე მარცვლეულის მაქსიმალური მოსავალი იყო ($1920 + 2560 = 4480 : 2 = 2240$) 2240 კგ (22 ც).

შევიდაროთ ულავერის რაიონის მონაცემები „დავთრისას“.

ახალციხის მაზრის ულავერის რაიონი „დავთრის“ მიხედვით ახალციხის ლივას ჰაქარაქის რაიონში შედიოდა. „დავთრიდან“ ჩანს, რომ სოფელი ულავერი სამცხე-საათაბაგოს სოფლებს შორის ყველაზე დიდი მოსავალით გამოირჩეოდა. აქ წელიწადში მოჰყავდათ 395 ტ მარცვლეული, აქედან ხორბალი 153 ტ. ქერი 209 ტ, ჭვავი და ფეტვი 33 ტ. ამ სოფელში ცხოვრობდა 29 კომლი და ერთ კომლზე, ე. ი. ერთ ჩიფთლიქზე 13620 კგ მარცვლეული მოჰყავდათ, ხოლო ერთ ჰექტარზე — 2270 კგ, ანუ 22 ცენტნერი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „დავთრის“ მიხედვით, ე. ი. XVI ს-ის 90-იან წლებში სოფელ ულავერში მარცვლეულის მოსავალი ერთ ჰექტარზე იმდენივე (2270 კგ) იყო, რაც ულავერის რაიონში XIX ს-ის 80-იან წლებში კარგი მოსავლის (2240 კგ) დროს.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ მარცვლეულის წარმოების დარგში, საკვლევ რაიონში XVI—XIX სს. შორის არსებითი ცვლილება არ

⁴⁷ А. Д. Андроникашвили, Описание Улаверского участка Ахалцихского уезда Тифлисской губернии, ЗКОИРГО, кн. XVI, Тифлис, 1894, с. 203.

მომხდარა, იმავე იარაღებით და იმავე წესით ხნავდნენ და მოჰყავდათ მოსავალი, როგორც წინათ. რაც შეეხება მიწის ხარისხს და მორწყვას, მდგომარეობა ცოტათი უკეთესი იყო XVI ს-ში. ცხადია, სამი საუკუნის განმავლობაში მიწის ექსპლოატაციის შედეგად მისი ხარისხი რამდენადმე დაქვეითებული იყო. რაც შეეხება ირიგაციას, „დავთრიდან“ ჩანს, რომ იგი ამ დროს კარგად იყო განვითარებული, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების განთავისუფლების შემდეგ (1828 წ.) აქ დაიწყეს სიმინდისა და კარტოფილის მოყვანა, რის შედეგადაც გარკვეულად შეიცვალა მარცვლეულის მიწის ფონდი.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, რომ მარცვლეულის საერთო მოსავალი მესხეთ-ჯავახეთში XVI საუკუნეში რამდენადმე უფრო მაღალი იყო, ვიდრე XIX საუკუნეში.

„დავთრიდან“ ირკვევა, რომ მესხეთ-ჯავახეთის მთელ რიგ სოფლებში ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 20—25 ცენტნერი მარცვლეული. ასეთი სოფლები იყო ახალციხის ლივაში: ტობა, მონასტერი, ჭაჭრაქის ციხის რაბათი, ზემო ჭაჭრაქი, პატარა-ზურზელი, სახუდაბელი, ახალშენი, ოთა, ინდუსა; ჩილდირის ლივაში: სამხულა, ხუნაძისი, ორდიასი, ჩვანეთი, წყალუბანი; ახალქალაქის ლივაში: ოკამი, კუმურდო, ეშთიო და სხვა.

ამრიგად, მესხეთ-ჯავახეთის ცალკეულ სოფლებში, სადაც მარცვლეულის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები იყო, ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 20—25 ცენტნერი ხორბლეული.

სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის მოსავლიანობის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობა მოეპოვებოდა რუს პოლიტიკურ დამკვირვებელს, რომელმაც 1828—1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის წინ ახალციხის საფაშოში იმოგზაურა. იგი წერს: „ახალციხის საფაშო აზიის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ქვეყანაა; აქ მარცვლეული უხვი რაოდენობით მოჰყავთ, განსაკუთრებით ჩილდირის, ახალქალაქის. ხერთვისისა და არტანის სანჯაყებში, სადაც დათესილ მარცვალს მოჰყავს ოცი სხვა“⁴⁸. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ახალციხის საფაშოში (სამცხე-საათაბაგოში) მისი განთავისუფლების წინ მარცვლეულის მოსავლიანობა ოცჯერადი ყოფილა. შესაძლებელია, ეს ოდნავ გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ძირითადად სწორად ასახავს მარცვლეულის მაღალი მოსავლიანობის საერთო სურათს, რაც დასტურდება „დავთრის“ მონაცემებიდანაც.

ცხადია, რომ ასეთი უხვი მარცვლეულის შესწავლად საჭირო იყო სათანადო სათავსო. გლეხებს ამ მიზნით მოწყობილი ჰქონდათ

⁴⁸ О южных провинциях... Азиатской Турции..., с. 253.

შესაფერისი ქურჭელ-სათავსოები, სადაც წლების მანძილზე შეეძლოთ შეენახათ მარცვლეული. ეს კარგად ჩანს თ. ჩიქოვანის მიერ მიკვლეული და გაანალიზებული ეთნოგრაფიული მასალიდან.

სამცხე-საათაბაგოში და, კერძოდ, ჯავახეთში მარცვლეულის შესანახად გამოყენებული იყო მიწისქვეშა საცავეები, რომელსაც ხარო ეწოდებოდა. ხარო ქვიციხით იყო ნაშენები და მოყვანილობით ქვევრის ფორმას იმეორებდა. იგი ხასიათდებოდა გიგანტური ტანით, ბრტყელი, ძირითადად, შევიწროვებული ყელით. ხაროს სიმაღლე 3 მეტრი იყო. მისი წელი ყველაზე განიერ ნაწილში 2 მ-ზე ნაკლები არ იყო. რაც შეეხება ყელს, მასში მოზრდილი ადამიანი თავისუფლად ეტეოდა. ხაროს მოცულობა ოჯახის შეძლებასა და დოვლათიანობაზე იყო დამოკიდებული. საშუალო მოცულობის ხაროში 10—15 სომარი ხორბლეული ეტეოდა. თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთი სომარი 16 ფუთს უდრიდა, მაშინ იგი 200—250 ფუთ ხორბალს იტევდა. ყოფილა უფრო დიდი მოცულობის ხაროებიც, რომელშიც 20 სომარი ხორბალი ეტეოდა. საშუალო შეძლების ოჯახს ყოველთვის ორი ხარო ჰქონდა. ხარო მიწისქვეშა საიდუმლო საცავს წარმოადგენდა. მისი ადგილსამყოფელი ხანდ:ხან ისე იყო შენიღბული, რომ არა თუ მტერს, არამედ ზოგჯერ პატრონსაც უჭირდა მიგნება⁴⁹.

მარცვლეულის შესანახად გამოყენებული იყო, აგრეთვე, ხის მასალისაგან დამზადებული ლაზამბარი. მისი საშუალო სიგრძე 18 „ფეხს“ (ადამიანის ტერფის ზომა) აღწევდა, სიგანე — 15—16 ფეხს, ხოლო სიმაღლე 7—8 მეტრს. ლაზამბარი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ყოველ ხაროს საკუთარი ღის სარქველი ჰქონდა და მუდამ ერთი და იგივე ფხვიერი პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა. ერთ ხაროში ყოველთვის ხორბალს ყრიდნენ, მეორეში — ქერს, მესამეში — რომელიმე პარკოსან კულტურას, უპირატესად ცერცვს⁵⁰. მარცვლეულის შესანახად გამოყენებული ქურჭელ-სათავსოები კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მასშტაბით მოჰყავდათ აქ მარცვლეული.

ჩვენი გაანგარიშებანი სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) მარცვლეულის წარმოების შესახებ „დავთრის“ ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია, ყოველთვის არ იყოს ზუსტი და ზოგჯერ ხარვეზიც ჰქონდეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ძირითადად სწორად ასახავს მარცვლეულის წარმოებას საქართველოს ამ რეგიონში.

ამისათვის, რომ უფრო მეტად ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას სამცხე-საათაბაგოში სოფლის მეურნეობის ამ წამყვანი დარგის დო-

⁴⁹ თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, თბ., 1982, გვ. 25—27.

⁵⁰ თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ნის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია შესაღებლად მოვიტანოთ ძირითადი მონაცემები ქართლის სამეფოსა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისა მარცვლეულის წარმოების დარგში.

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ვახტანგ VI-ის დასტურლამალის ანალიზის საფუძველზე (ეს ძეგლი შედგენილია XVIII საუკუნის დამდეგს) დაადგინა, რომ ქართლში მარცვლეულის მოსავალი რვაჯერადი იყო⁵¹. დასტურლამალში ჩაწერილია: „გუთანმა უნდა მოკნას ერთმა — დღიური ორმოცდაათი. დღიურში დაითესების ორკოდნახევარი, იქნების ერთპირად ამისი თესლი კოდი ას ოცდა ხუთი; უნდა მოვიდეს კოდზე ურემი. იქნების ასოცდახუთი ურემი. ურემს უნდა გამოვიდეს რვა. იქნების ერთპირ კოდი ასი. ეს ათასი კოდი პური და ქერი ორმოცდაათის დღისა ნახევარზედ უნდა ამ წესით მოვიდეს“⁵².

ერთ დღიურ მიწაზე გლეხს უნდა დაეთესა 2,5 კოდი მარცვლეული და მოეყვანა 20 კოდი. ერთი დღიური მიწა შეადგენდა ნახევარ ჰექტარს, ერთი კოდი — 30 კილოგრამს⁵³. ამრიგად ირკვევა, რომ გლეხი ერთ ჰექტარზე (ორი დღიური) საშუალოდ თესდა 150 კგ (5 კოდი) მარცვლეულს და მოჰყავდა (150 × 8) 1200 კილოგრამი. აქ, ცხადია, იგულისხმება მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი. რადგან ვახტანგ VI-ის დასტურლამალის ეს მუხლი შეტანილია გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით.

როგორც გაირკვა, ქართლში ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოჰყავდათ 12 ცენტნერი მარცვლეული, დაახლოებით იმდენი, რამდენიც სამცხე-საათაბაგოში.

როგორი იყო მარცვლეულის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე ევროპის წამყვან ქვეყნებში?

სპეციალისტების აზრით, XV—XIX სს-ში „აგროტექნიკურ რევოლუციამდე“ მარცვლეულის მოსავლის საშუალო წლიური ნორმა თითქმის უცვლელი იყო. ასე, მაგალითად, საფრანგეთში XV ს-ის პირველი ნახევრიდან და შემდგომ 1840 წლამდე, მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი თითქმის არ შეცვლილა. ჩრდილოეთ საფრანგეთში 5 ჯერადზე ცოტათი უფრო მეტი იყო, ხოლო სამხრეთ საფრანგეთში — 5 ჯერადზე ნაკლები და მცირდებოდა 4 ჯერამდე. საერთოდ კი მთელი საფრანგეთისათვის შეადგენდა ხუთჯერადს, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ექვსჯერადს. საუკეთესო ადგილებში მარცვლეულის მოსავალი 8 და 15 ჯერადი იყო. საუკეთესო მიწებზე ქერის მოსავალი კი — 20 ჯერადი⁵⁴.

⁵¹ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 379.

⁵² ქართული სამართლის ძეგლები, გამოც. ი. დოლიძის მიერ, ტ. II, გვ. 125.

⁵³ გ. ჭავჭავაძის მიხედვით, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—59, 158.

⁵⁴ А. Д. Люблинская, Указ. соч., с. 38, 64.

ინგლისში ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 13 ცენტნერი მარცვლეული. გერმანიაში — 13 ცენტნერი, რუსეთის ევროპულ ნაწილში — 5 ცენტნერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 7,9 ცენტნერი⁵⁵.

როგორც ვხედავთ, სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის მოსავალი ერთ ჰექტარზე დაახლოებით იგივე იყო, რაც იმდროინდელ მოწინავე ევროპის ქვეყნებში.

ევროპაში სოფლის მეურნეობას და, კერძოდ, მარცვლეულის წარმოებას დიდი ყუოდლება ექცეოდა. XVI—XVIII სს-ში საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, პოლონეთში გამოცემული იყო სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატები, იბეჭდებოდა სპეციალური სახელმძღვანელოები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. კალენდრებში ქაეყნდებოდა წერილები, რომლებშიაც მოცემული იყო რჩევა-დარიგებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე. პარიზსა და სხვა ქალაქებში არსდებოდა აგრონომიული საზოგადოებები, რომელთა წევრებიც ბეკდავდნენ შრომებს აგრონომიის საკითხებზე და სხვ⁵⁶. ყოველივე ეს, ცხადია, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის უკეთ წარმართვას, მოსავლიანობის ზრდას და სსვ. საქართველოში ასეთი რამ არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ამის დამადასტურებელი ფაქტები. საქართველოში, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოში მარცვლეულის წარმოება დაფუძნებული იყო ქართველი გლეხის საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ გამოცდილებასზე, ტრადიციებზე, შრომის მაღალ კულტურაზე, რაც აპირობებდა მაღალ მოსავლიანობას.

⁵⁵ А. Д. Люблинская, Указ. соч., с. 38, 64, Ежегодник по аграрной истории Восточной Европы, с. 55.

⁵⁶ А. Д. Люблинская, Указ. соч., с. 10; О. Е. Иванова, Агротехника в Польше от XVI до половины XVI в. см. Ежегодник по аграрной истории Восточной Европы, 1964, Кишинев, 1966, с. 162—173.

თ ა ვ ი II

პარკოსანი კულტურები

სამცხე-საათაბაგოში პარკოსანი კულტურები საკმაოდ გავრცელებული იყო. აქ მოჰყავდათ მუხუდო, ოსპი, ცერცივი და სხვ. ეს მარცვლეულები კაცობრიობისათვის ცნობილ უძველეს პარკოსან მცენარეთა რიგს განეკუთვნება. მათ იყენებდნენ როგორც ადამიანის, ისე ცხოველის საკვებ პროდუქტებად და აგრეთვე მიწის გასაწოციერებლად.

„გურჯისტანის დავთარი“ შესაძლებლობას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ამ კულტურათა გავრცელების არეალს, მათ ხვედრით წონას „ვილაიეთში“ შემავალი რაიონების მეურნეობაში¹.

„დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ პარკოსანი კულტურები უმთავრესად გავრცელებული იყო ახალციხის ლივაში.

1. მ უ ს უ დ ო

პარკოსან კულტურათა შორის მუხუდო ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტი იყო.

მუხუდო მოჰყავდათ ახალციხის ლივას ყველა რაიონში. 246 სოფლიდან 138 სოფელში. მისი საშუალო წლიური მოსავალი 45518 კგ შეადგენდა. მუხუდო აგრეთვე ითესებოდა ხერთვისის ლივას ხერთვისის რაიონის 13 სოფელში, მოჰყავდათ 4208 კგ.

რაიონების მიხედვით მუხუდოს ყველაზე დიდი ყურადღება ექცეოდა უდეში. ამ რაიონის 51 სოფლიდან მუხუდოს თესავდნენ 49-ში. მისი წლიური მოსავალი 13 133 კგ იყო, რაც მთელი სამცხე-საათაბაგოს მოსავლის 26,4 % შეადგენდა. მუხუდოს კარგი მოსავალი იყო აგრეთვე აწყუ-

¹ ლ. ბერიაშვილი, მემინდერობის კულტურები მესხეთში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით (ეთნოგრაფიული დოკუმენტები). ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 332—341.

რისა და მზვარეს რაიონებში, აწყურის რაიონში 21 სოფელში ყოველწლიურად მოჰყავდათ 8033 კგ, მთელი მოსავლის 16,1 %, ხოლო მზვარეს რაიონის 17 სოფელში 7727 კგ, (15,6 %).

„დავთრის“ მიხედვით მუხუდოზე შეწერილი წლიური გადასახადი 11700 ახჩას შეადგენდა.

სულ სამცხე-საათაბაგოს 151 სოფელში ყოველწლიურად მოჰყავდათ (1950 ქილა) 49726 კგ მუხუდო (ცხრ. 6).

1 ქილა მუხუდო „დავთრის“ მიხედვით ღირდა 30 ახჩა, ხოლო 1 კგ (30:25) 1,2 ახჩა.

სულ მუხუდოს წლიური პროდუქციის ღირებულება 58500 ახჩას შეადგენდა.

2. ო ს პ ი

ოსპი საქართველოს უძველესი მცენარეა. მას იყენებდნენ როგორც ადამიანის, ასევე ცხოველის საკვებად. ოსპი მესხეთში ფართოდ იყო გამოყენებული აგრეთვე თესლბრუნვაში, ნიადაგის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ოსპი ისევე, როგორც მუხუდო, მოჰყავდათ ახალციხის ლივას ყველა რაიონის 139 სოფელში და ხერთვისის ლივას ხერთვისის რაიონის 12 სოფელში. ახალციხის ლივაში ყოველწლიურად მოჰყავდათ 53805 კგ ოსპი, ხოლო ხერთვისის ლივაში — 3698 კგ.

რაიონების მიხედვით ოსპი ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ უდესში. 51 სოფლიდან მხოლოდ ერთ სოფელში არ მოდიოდა ოსპი. სულ უდეს რაიონში ყოველწლიურად მოჰყავდათ 16320 კგ ოსპი, მთელი მოსავლის 28,3 %, ოსპის კარგი მოსავალი მოდიოდა აწყურისა და ჩრდილის რაიონებში, აწყურის რაიონის 21 სოფელიში მოჰყავდათ 9562 კგ ოსპი (16,6 %), ხოლო ჩრდილის რაიონის 21 სოფელში—9052 კგ. (15,7 %).

სულ სამცხე-საათაბაგოს 151 სოფელში ყოველწლიურად მოჰყავდათ 2255 ქილა (57503 კგ) ოსპი, ხოლო ყოველწლიური გადასახადი 9020 ახჩას უდრიდა (ცხრ. 6).

ერთი ქილა ოსპი „დავთრის“ მიხედვით ღირდა 20 ახჩა, ხოლო ერთი კგ (20:25) 0,8 ახჩა.

სულ ოსპის წლიური პროდუქციის ღირებულება 45100 ახჩას შეადგენდა.

3. ც ე რ ც ვ ი

იგი უძველესი მცენარეა. მის შესახებ ცნობები „დაბადების“ ქართულ თარგმანში გვხვდება. წინათ საქართველოში ცერცივი დიდად უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამასთან დაკავშირებით ივ.

ჯავახიშვილი წერს: „რამდენადაც ცერცვი ჰველად უმთავრესი სა-
მარხო საქმელი იყო, იმდენად მაშინ საქართველოს სასოფლო მეურ-
ნობაში შესაფერისად ფართო ადგილი უნდა ჰქონოდა დათმობი-
ლი. მაგრამ შემდეგში, როდესაც ლობიომ მოიპოვა ასპარეზი და
ხალხის, როგორც სამარხო, ისე სახსნილო საქმელად იქცა, ცერ-
ცვის გავრცელების არე თანდათანობით შესაფერისად უნდა შემცი-
რებულიყო. ამიტომ ცხადია, რომ ამ მარცვლეულის ასპარეზი თა-
ნამედროვე საქართველოში მისი აღრინდელი გავრცელების სიდიდის
გასათვალისწინებლად ვერ გამოდგება“².

„დავთრის“ შედგენის დროისთვის (1595 წ.) სამცხე-საათაბა-
გოში ლობიო ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული („დავთარში“ მის
შესახებ არაერთი ცნობა არაა დაცული), ასე, რომ ამ დროს ცერ-
ცვის კულტურა ჯერ არ უნდა ყოფილიყო შემცირებული ლობიოს
ხარჯზე.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით. საქართველოში ლობიო XVII
ს-ის მეორე ნახევარში თურქეთიდან შემოვიდა³.

ასე, რომ „დავთრის“ მონაცემები ზუსტად ასახავენ სამცხე-
საათაბაგოში ლობიოს შემოსვლამდე ცერცვისა და საერთოდ პარკო-
სანი კულტურების თანაფარდობას.

„დავთრის“ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ცერცვი გავრცელე-
ბული იყო ახალციხის ლივასა და ფანაკის ლივის ფანასკერტის
რაიონში. აღსანიშნავია, რომ თუ მუხუდო და ოსპი ახალციხის ლივას
ყველა რაიონში მოჰყავდათ, ცერცვი. — მხოლოდ 7 რაიონში, აქე-
დან ასპინძისა და ოცხეს რაიონების თითო-თითო სოფელში, ხოლო
ალთუნყალას რაიონის 2 სოფელში. ასევე ფანაკის ლივას ფანას-
კერტის რაიონის მხოლოდ ერთ სოფელში.

რაიონების მიხედვით ცერცვი ყველაზე დიდი რაოდენობით
მოჰყავდათ უდგეში. ამ რაიონის 35 სოფელში მოდიოდა 16575 კგ
ცერცვი, მთელი მოსავლის 34,5%. ცერცვის მოსავლით გამოირჩეო-
და აგრეთვე ჩილდირის რაიონი: 1985 კგ (25%), მზვარეს რაიონი
— 9435 კგ (19,6 %) და აწყურის რაიონი — 8160 კგ — (17%)
(ცხრ. 6).

სულ ყოველწლიურად მოჰყავდათ 48960 კგ ცერცვი.

1 ქილა ცერცვი ღირდა 15 ახჩა, ხოლო 1 კგ — 0,6 ახჩა.

სულ ცერცვის წლიური პროდუქციის ღირებულება შეადგენდა
28800 ახჩას, ხოლო ცერცვზე შეწერილი გადასახადი — 5730 ახჩას.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 8.

³ იქვე, გვ. 8.

პარკოსანი ქულტურების საშუალო წლიური მოსავლი "გურქისტანის ვილაიეთის დიდი ლაფარის" მიხედვით

ლივებისა და რააონების დასახელება	შ უ ხ შ დ რ							ს ე რ ე პ ე ი				ო ს ს ე ი		
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
	დგავენსადაც რძანისინაყ	თბილისის საქონლის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	სტრუქტურის და	
1	18	17	61	7727	1830	17	74	9435	1110	12	58	7395	1160	
1. შებენის რააონი	22	21	52	6630	1560	21	94	1985	1410	21	71	9052	1420	
2. ჩრდილის	51	49	103	13133	3090	35	130	16575	1950	50	128	16320	2560	
3. უღეს	7	1	2	255	60	—	—	—	—	1	6	765	120	
4. ქებალანის	38	21	63	8033	1890	14	64	8160	960	21	75	9562	1500	
5. აწყურის	14	4	11	1402	330	2	7	893	705	105	4	12	240	
6. ალთუნკალას	18	2	5	638	150	1	3	382	45	2	5	638	100	
7. ოცხის	35	7	14	1785	420	1	2	255	30	7	17	2168	340	
8. ასპინძის	43	16	46	5865	1380	—	—	—	—	16	50	6375	1000	
9. კაპრაქის														
ჯამი	246	138	375	45518	10710	91	374	47685	5610	139	422	53805	8440	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
II. სეროვისის ლივა													
1. სეროვისის რაიონი	32	13	33	4208	990	—	—	—	—	12	29	3698	580
ქ ა მ ი	32	13	408	49726	11700	—	—	—	—	151	451	57503	9020
III. ფანაკის ლივა													
ფანაკის რაიონი	32	—	—	—	—	1	10	1275	120	—	—	—	—
ქ ა მ ი	32	—	—	—	—	92	384	48960	5730	—	—	—	—
სულ მთლიანად ქამი	310	151	408	49726	11700	92	384	48960	5730	151	451	57503	9020

„დავთრის“ მონაცემებიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში პარკოსანი კულტურები გავრცელებული იყო ახალციხის ლივში და ხერთვისის ლივას ხერთვისის რაიონში. „დავთრის“ მიხედვით მუხუდო და ოსპი 151 სოფელში მოჰყავდათ, ცერცივი — 92 სოფელში.

ყველაზე დიდი რაოდენობით პარკოსანი კულტურები მოჰყავდათ უდეს რაიონში, მასზე მოდიოდა ცერცივის წლიური მოსავლის 34,5 %, ოსპის 28,3 % და მუხუდოს 26,4 %.

პარკოსანი კულტურების კარგი მოსავლით გამოირჩეოდა აგრეთვე აწყურის, მზვარესა და ჩრდილის რაიონები.

ამგვარად, „დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში ყოველწლიურად მოჰყავდათ 49726 კგ მუხუდო, 57503 კგ ოსპი და 48960 კგ ცერცივი. სულ პარკოსან კულტურათა წლიური მოსავალი შეადგენდა 156189 კგ, ხოლო მისი პროდუქციის ღირებულება — 132400 ახჩას.

სამცხე-საათაბაგოში თესავდნენ აგრეთვე სხვა პარკოსან კულტურებსაც, როგორცაა უგრეხელი, ბარდა, ფიგი და სხვ. მაგრამ მათზე ცალკე გადასახადი არ იყო შეწერილი. მათ უმთავრესად იყენებდნენ სახნავ-სათესი მიწების ხარისხის გასაუმჯობესებლად და პირუტყვის საკვებად.

ამგვარად, სამცხე-საათაბაგოში პარკოსან კულტურებს ფართოდ იყენებდნენ როგორც ადამიანის, ისე საქონლის საკვებად და მიწის გასაწიფებლად.

სელი და ტექნიკური კულტურები

1. სელი

სელი ერთ-ერთი უძველესი მცენარეა დედამიწაზე. საქართველოს სამეურნეო ყოფაში სელს უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მას იყენებდნენ საკვებად, ხდიდნენ ზეთს, მისგან ამზადებდნენ ქსოვილებს და სხვ.

სელი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა სამცხე-საათაბაგოში. წახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „ტაშირში სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა, ისმევენ, სწყვენ და ყიდიან“¹.

სელი ერთნაირად კარგად ხარობდა როგორც ნოყიერ, ისე მწირ მიწებში. სამცხე-საათაბაგოში ცნობილი იყო სელის სამი სახეობა: ბრტყელი, წიწმატა და შავი. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ბრტყელი სელი, რომლისაგანაც მაღალხარისხოვან ზეთს ხდიდნენ². გრძელი სელის ბოჭკოსაგან ქსოვილი მზადდებოდა. მისგან ქსოვდნენ ქვედა და ზედა ტანსაცმელს, ურმის ჩარდახის საფარს, ტომარებს და სხვ³.

ანტიკურ ხანაში ქართული სელი გაჰქონდათ საბერძნეთში, რომში, ბოსფორის სამეფოში, თრაკიაში და სხვაგან. თავისი ხარისხითა და მისგან მიღებული პროდუქტებით არანაკლებ მნიშვნელოვანია მესხეთში კულტივირებული სელი, რომელიც თავის დროზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ჩვენს წინაპრებს⁴.

სამცხე-საათაბაგოში სელი მემინდვრობის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი კულტურაა. სელის შესახებ საინტერესო ეთნოგრაფიული მასალებია შემონახული, საიდანაც ირკვევა, რომ ადგი-

¹ ვახუშტი, აღწერა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1V, გვ. 77.

² თ. ჩიქოვანი, ჭავჭავთი, გვ. 40—44, ლ. ბერიაშვილი, მემინდვრობა მესხეთში, გვ. 76—85.

³ იქვე.

⁴ თ. ჩიქოვანი, მესხეთი, გვ. 34.

ლობრივი მოსახლეობა სელისაგან ხდიდა ზეთს, რომელიც მრავალნაირად გამოიყენებოდა, იხმარებოდა როგორც საკვები ცხიმი, მისგან ამზადებდნენ სხვადასხვა სამკურნალო მალამოს. გამოიყენებოდა ასანთებ მასალად ჭრაქისა და მაშხალისათვის, სხვადასხვა მკებნარისათვის და ტკიპების საწინააღმდეგოდ. მუშა საქონელს, განსაკუთრებით კი კამეჩებს პოხავდნენ სელის ზეთით. ზეთი გამოიყენებოდა აგრეთვე ტყავის დამუშავებაში, ქსოვილების დასაჩრთავად, საღებავების დასამზადებლად, სელის ზეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელი იყო ეკლესია. სასულიერო პირნი მას საკვებ ცხიმად იყენებდნენ, აგრეთვე ტაძრებისა და საყდრის გასანათებლად, ზეთი კანდელებში იხმარებოდა.⁵

ეკლესია-მონასტრები რომ დიდი რაოდენობით ხმარობდნენ ზეთს, ეს კარგად ჩანს ქრ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებული საბუთებიდან.

XIII საუკუნის ალის მონასტრის ერთ-ერთ შეწირულების წიგნში ჩაწერილია: „ამა ოცდახუთსა მიწასა ორმოცი გრივი პური გამოვა და ასი ლიტრა ზეთი და ათას ხუთასი თეთრი“⁶ და სხვ.

„დავთრის“ მონაცემებიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში სელის კულტურა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. სელი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ახალციხის ლივაში. ამ ლივას 150 სოფელში ყოველწლიურად მოდიოდა 137854 კგ სელი.

სელი ახალციხის ლივას ყველა რაიონში მოჰყავდათ. განსაკუთრებით კი უდგში. ამ რაიონის 51 სოფლიდან სელი მოჰყავდათ 45 სოფელში და მისი წლიური მოსავალი 38888 კგ შეადგენდა. სელის მოსავლით გამოირჩეოდა აწყურისა (25143 კგ) და ჩრდილის (21038 კგ) რაიონებიც.

სელის კულტურას დიდი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, ახალქალაქისა და ხერთვისის ლივებში. ახალქალაქის ლივას 63 სოფელში ყოველწლიურად მოჰყავდათ 67703 კგ სელი, ხოლო ხერთვისის ლივას 59 სოფელში — 59289 კგ.

სრულებით არ მოჰყავდათ სელი ფანაკისა და პეტრეს ლივებში, ხოლო დიდი არტ ანის ლივას მხოლოდ სამ სოფელში მოდიოდა. სელი მოდიოდა სამცხე-საათაბაგოს 363 სოფელში და მისი წლიური მოსავალი 323368 კგ შეადგენდა.

ახალციხის ლივაში ერთი ქილა სელი ღირდა 10 ახჩა, ხოლო დანარჩენ ლივებში — 8 ახჩა.

სულ სელის წლიური მოსავლის ღირებულება 116910 ახჩას შეადგენდა, ხოლო მასზე შეწერილი გადასახადი — 24466 ახჩას (ცხრ. 7).

⁵ თ. ჩიქოვანი, მესხეთი, გვ. 86, 87.

⁶ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.), გვ. 32.

სელს საშუალო წლოური მოსავალი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთრის“ მიხედვით

ლიეებისა და რაიონების დასახელება	სოფლების რაოდენობა	რამდენ სოფელში მოჰყავდათ	რამდენ გადასახდელს იხდოდნენ	რამდენი ქილა მოჰყავდათ	რამდენი აბ მოჰყავდათ	1 ქილა სელსის ღირებულება	სულე გადასახდი ახეში	სელსის მოსავალს ღირებულება ახეში
1	2	3	4	5	6	7	8	9
I. ახალციხის ლივა								
1. შვარეს რაიონი	18	16	100	500	12750	10	1000	5000
2. ჩრდილის „	22	22	165	825	21038	10	8250	8250
3. უღეს „	51	45	305	1525	38888	10	3050	15250
4. ქვაბლიანის „	7	5	43	215	5482	10	430	2150
5. აწყურის „	38	25	197	986	25143	10	1970	9860
6. ალთუნკალას „	14	4	18	90	2295	10	900	900
7. ოცხეს „	18	2	15	75	1913	10	150	750
8. ასპინძის „	35	12	79	395	10072	10	790	3950
9. კაპარაქის „	43	18	159	795	20273	10	1590	7950
ჯამი	246	150	1081	5406	137854	10	10810	54060
II. ხერთვისის ლივა								
1. ხერთვისის რაიონი	32	16	121	605	15428	8—10	1008	6050
2. ტყიანი-ჭავჭავეთის „	35	35	281	1405	36828		2248	14050
3. ბუზმარეთის „	8	8	63	315	8033		2640	3150
ჯამი	75	59	465	2325	59289	8—10	5896	23250
III. ახალქალაქის ლივა								
1. აკშეპირის რაიონი	45	35	330	1650	42075	8	2640	13200
2. თმოგვის „	10	8	65	325	8288	8	520	2600
3. ნიალისყურის „	20	19	136	680	17340	8	1088	5440
ჯამი	75	62	531	2655	67703	8	4248	21240

1	2	3	4	5	6	7	8	9
IV. ჩრდილის ლივა								
1. ქანზაზის რაიონი	27	25	126	630	16065	8	1008	5040
2. ქანარბელი	22	22	164	820	80910	8	1312	6560
3. მგელციხის	7	7	19	95	2422	8	152	760
ჯ ა მ ი	56	54	309	1545	39397	8	2472	12360
V. ფოცხოვის ლივა								
1. მზვარეს რაიონი	35	30	100	500	12750	8	800	4000
2. ჩრდილის	24	5	30	150	3825	8	240	1200
ჯ ა მ ი	59	35	130	650	16575	8	1040	5200
VI. ფანაკის ლივა								
1. ფანაკის რაიონი	32	—	—	—	—	—	—	—
2. ქანარბელის	8	—	—	—	—	—	—	—
3. ფანასკერტის	23	—	—	—	—	—	—	—
VII. დიდი არტაანის ლივა								
1. მზვარეს რაიონი	48	3	20	100	2550	8	160	800
2. ჩრდილის	25	—	—	—	—	—	—	—
3. ტყიანი არტაანის	60	—	—	—	—	—	—	—
ჯ ა მ ი	133	3	20	100	2550	8	160	800
სულ მთლიანად ჯ ა მ ი	711	363	2536	12681	323368	8	24466	116910

ჩვენი დაკვირვებით, ტექნიკური კულტურებიდან ყველაზე მეტად სამცხე-საათაბაგოში გავრცელებული იყო სელი, რომელსაც დიდი გამოყენება ჰქონდა მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

2. ბამბა-აბრეშუმი

„დავთარის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მცირე რაოდენობით ბამბაც მოჰყავდათ. ასე, მაგალითად, ფანაკის ლივას ფანასკერტის რაიონის რამდენიმე სოფელში რეგისტრირებულია საბამბე მიწის ნაკვეთები.

მათ შესახებ „დავთარში“ ჩაწერილია: „ვენახი ნახევარ-ნაკვეთი, ერთი ნაკვეთი საბამბე მიწითურთ სოფელ ნორბერთში მდებარე და როსაფ გურჯის მფლობელობაში მყოფი, ძველი წესისა და ძველი დავთარის შესაბამისად ჯამი — 48 (ახჩა)“⁷.

„ვენახი 1 ნაკვეთი საბამბე მიწით ზემოხსენებულ სოფელში მდებარე, ერთი ნაკვეთით ვენახი სოფელ ნორბერთში მდებარე და ერთი ნაკვეთი ვენახი სოფელ კარნავასში მდებარე ექვემდებარება ზემოხსენებულ რაიონს ვარძელ მელიქის მფლობელობაში მყოფი, ძველი დავთარის თანახმად 50 (ახჩა)“⁸.

„დავთარში“ ფიქსირებულია მხოლოდ 10 ბამბის ნაკვეთი.

ვახუშტის ცნობით, ბამბა მოჰყავდათ, აგრეთვე, შავშეთში, ლიგანას ხეობასა და აჭარაში⁹.

სამცხე-საათაბაგოს რიგ სოფლებში მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ. ვახუშტის გადმოცემით „ადგილადგილ აკეთებენ აბრეშუმსაც მცირედ“¹⁰.

მებამბეობა-მეაბრეშუმეობა არ იყო ფართოდ გავრცელებული და ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

როგორც უკვე ითქვა, სამცხე-საათაბაგოში ტექნიკურ კულტურებს შორის წამყვანი ადგილი სელს ეკავა.

⁷ „დავთარი“, წიგნი II, გვ. 387.

⁸ „დავთარი“, წიგნი., II, გვ. 388.

⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 676, 680, 681.

¹⁰ იქვე, გვ. 660.

წისქვილები, ზეთსახდელი ქარხნები, საქლებროკები

1. წისქვილები

სამცხე-საათაბაგოში მარცვლეული კულტურების დასაფქველად დიდი რაოდენობით იყო მოწყობილი წყლის წისქვილები. წისქვილის მფლობელი გადასახადს ფეოდალს უხდიდა.

ოსმალური კანონმდებლობით წისქვილზე გაწერილ გადასახადს იხდიდნენ ზოგან ნატურით, ზოგან კი ფულით. ასე, მაგალითად, მეჰ-მედ II (1451—1481) ფათიჰის კანონმდებლობით: „ერთ თვლიან (წყლის) წისქვილზე შეწერილი გადასახადი 1 წლის ვადით შეადგენს ადრიანოპოლის ერთ მუდ მარცვალს, ნახევარს ხორბლით, ნახევარს ქერით, ხოლო თუ წისქვილი მუშაობს 6 თვეს, მაშინ პატრონი იხდის ნახევარ მუდს“¹.

1573 წლის „გურჯისტანის კანუნ-ნამეს“ მიხედვით წისქვილზე შეწერილი გადასახადი ფულადი იყო: „წისქვილის გამოსაღებიც „დავთარში ჩაწერილობის თანახმად აიღება. მთელი წლის მომუშავე წისქვილიდან 60 ახჩა უნდა იქნეს აღებული, ექვსი თვით მომუშავიდან — 30 ახჩა. ზედმეტი არ უნდა იქნეს აღებული“². ხოლო „თუ წისქვილი 6 თვეზე ნაკლებს იმუშავებს, აღებულ იქნება ხუთ-ხუთი ახჩა ყოველი თვის ანგარიშით“³.

„დავთარის“ მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობით წისქვილები მოწყობილი იყო დიდი არტაანის ლივაში, სულ 224. აქედან 28 წისქვილი დაქვეულ-დანგრეული იყო. 196 მოქმედი წისქვილიდან 14 მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, 165 წისქვილი — 6 თვეს და

¹ Книга законов султана Мехмеда Фахиха, Аграрный строй Османской империи в XV—XII вв. с. 19.

² Ö. L. Barkan. Kanunlar, გვ. 193; ქართული თარგმანი ნ. შენგელიასი, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, ტ. II, გვ. 224.

³ იქვე.

17 წისკვილი — 3 თვეს. წისკვილებზე შეწერილი გადასახადი 6007 ახჩას შეადგენდა.

მეორე ადგილზე იმყოფებოდა ახალციხის ლივა. აქ აღრიცხულია სულ 131 წისკვილი. აქედან 11 დაქცეული; 120 მოქმედი წისკვილიდან 55 მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, 63 — 6 თვეს და 2 წისკვილი — 3 თვეს. აღსანიშნავია, რომ ახალციხის ლივაში წისკვილების ნახევარი მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა. წისკვილებზე შეწერილი გადასახადი 5175 ახჩას შეადგენდა (ცხრ. 8).

წისკვილები დიდი რაოდენობითაა აღრიცხული, აგრეთვე, ფანაქის ლივაში, სულ 124. აქედან 3 წისკვილი დანგრეული იყო. 121 მოქმედი წისკვილიდან 26 მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, 85 — 6 თვეს და 10 წისკვილი — 3 თვეს, მათზე შეწერილი გადასახადი 4510 ახჩას შეადგენდა.

დიდი რაოდენობით იყო წისკვილები ახალქალაქის ლივაში — 80, ხერთვისის ლივაში — 61, ფოცხოვის ლივაში — 49

სულ „დავთრის“ მიხედვით სამცხე-საბათაბაგოში აღნუსხულია 719 წისკვილი, აქედან 100 წისკვილი დაქცეული იყო. 619 წისკვილიდან 134 მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, 449 — 6 თვეს, ხოლო 36 წისკვილი — 3 თვეს. როგორც ვხედავთ, წისკვილების უმრავლესობა ნახევარი წლის განმავლობაში მუშაობდა. საფიქრებელია, რომ ამ წისკვილების საექსპლოატაციოდ უფრო მეტად გამოყენებული იყო ნაკადულები, რომლებიც ზაფხულობით შრებოდნენ და წისკვილების მუშაობა დროებით ჩერდებოდა. ის წისკვილები, რომლებიც მდ. მტკვარზე და სხვა წყალუხვ მდინარეებზე იყო მოწყობილი, მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ.

სულ წისკვილებზე შეწერილი გადასახადი 22822 ახჩას შეადგენდა (ცხრ. 8).

ძველად მესხეთში გლეხის საოჯახო მეურნეობაში არსებობდა ქვის ხელსაწყო-იარაღი, რომელთა მეშვეობით წარმოებდა საკორკოტე ნედლეულის დამუშავება. ამ დანიშნულებას ემსახურებოდა სპეციალური მოწყობილობა, ე. წ. დინგი, რომელშიაც მარცვლის გარჩევა-გასუფთავება ხდებოდა. იგი წისკვილთან იყო მიშენებული. მისთვის განკუთვნილი ნაგებობა რიყის ქვით იყო ნაკეთები⁴. საოჯახო მეურნეობაში მარცვლეულის დასაფქვავედ ფართოდ იყენებდნენ ხელსაფქვავებს. ხელსაფქვავეში დაფქული მარცვლეულით ამზადებდნენ როგორც ფაფეულს, ასევე ნამცხვარს⁵.

⁴ ლ. ბერიავილი, მესხური „დინგი“, ძველის მეგობარი, 1976 № 24, გვ. 40; ლ. მოლოდინი, ზეთსახლელი წისკვილები, მეცნიერება და ტექნიკა, 1971, № 10, გვ. 21.

⁵ ლ. ბერიავილი, მიწათმოქმედება მესხეთში, გვ. 129, 130.

წისკვლები და ზეთსახელი ქარხნები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“
მიხედვით

ლიეებისა და რაიონების დასახელება	წისკვლები						ზეთსახელი ქარხნები		
	ერთწლიანი	6 თვით	3 და ნაკლები თვით	დანერგული	სულ	გდასახადი ახენში	ზეთსახელი ქარხნები	დანერგული	გდასახადი ახენში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
I. ახალციხის ლივა									
1. მზვარეს რაიონი	5	8	—	2	15	440	—	—	—
2. ჩრდილის	7	7	2	—	16	680	—	1	—
3. უღეს	3	11	—	1	15	555	1	—	60
4. ქვაბლიანის	—	1	—	—	1	30	—	—	—
5. აწყურის	15	10	—	2	27	1260	1	—	60
6. ალთუნკალას	2	2	—	1	5	180	—	—	—
7. ოცხეს	6	7	—	1	14	510	—	—	—
8. კაპარაქის	3	13	—	3	19	570	—	—	—
9. ასპინძის	14	4	—	1	19	960	2	—	120
ჯამი	55	63	2	11	131	5125	4	—	240
II. ხერთვისის ლივა									
1. ხერთვისის რაიონი	5	6	3	6	20	660	1	—	60
2. ტყიანი-ჭავჭავეთის „	11	22	—	5	38	1350	8	—	480
3. ბუზმარეთის „	2	3	—	—	3	90	—	—	—
ჯამი	16	31	3	11	61	2100	9	10	540
III. ახალქალაქის რაიონი									
1. აკშეპირის რაიონი	—	31	—	12	43	930	7	3	420
2. თმოგვის	5	2	—	3	10	760	—	3	—
3. ნიალისყურის	4	13	3	7	27	675	2	7	120
ჯამი	9	46	3	22	80	2365	9	10	540

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
IV. ჩრდილის ლივა									
1. ჭანბაზის რაიონი	3	12	1	10	25	585	1	2	60
2. ქანარბელის	3	10	—	9	22	510	3	2	180
3. მგელციხის	1	1	—	—	2	90	—	—	—
ჯამი	7	23	1	19	50	1185	4	4	240
V. ფოცხოვის ლივა									
1. შუვარეს რაიონი	5	16	—	5	26	760	—	—	—
2. ჩრდილის	2	20	—	1	23	720	1	—	60
ჯამი	7	36	—	6	49	1480	1	—	60
VI. ფანაქის ლივა									
1. ფანაქის რაიონი	17	40	4	3	64	2270	2	—	120
2. ჭიამხისის	3	13	3	—	19	610	—	—	—
3. ფანასკერტის	6	32	3	—	41	1630	1	—	60
ჯამი	26	85	10	3	124	4510	3	—	180
VII. დიდი არტაანის ლივა									
1. შუვარეს რაიონი	9	68	7	7	91	2660	4	—	240
2. ჩრდილის	5	28	10	5	48	1305	—	—	—
3. ტყიანი	—	69	—	10	85	2045	3	—	180
ჯამი	14	165	17	28	224	6007	7	—	420
სულ მთლიანად ჯამი	134	448	36	100	719	22822	37	15	2220

როგორც ზემოთ მივეუთითეთ, „დავთარის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში 10 წისქვილი გაპარტახებული იყო. ამ დანგრეული წისქვილების შესახებ სულთან სელიმ I-ის (1512—1520) კანონმდებლობაში ჩაწერილია: „თუ წისქვილი, რომლის შემოსავალიც ჩაწერილია თიმარში, დაინგრევა, მაშინ მის პატრონს ევალება, თუ მას შესწევს უნარი წისქვილი აღადგინოს და მასზე დაკისრებული გადასახადი გადაიხადოს სიფაჰის სასარგებლოდ, ხოლო თუ იგი წისქვილს ვერ აღადგენს და მას ამის შესაძლებლობა არ ექნება, მაშინ ყადის მეშვეობით, მან უნდა გაყიდოს წისქვილი, რათა იგი აღდგენილ იქნას და მასზე შეწერილი გადასახადი დაფარული“⁶.

არეზე გაკეთებული აქვს მინაწერი:

„გაყიდვა არ შეიძლება, რადგანაც წისქვილი დანგრეულია, გადასახადს არ იხდიან“⁷.

„თუ წყალი დაშრება და წისქვილის ამუშავება შეუძლებელი იქნება, მაშინ გადასახადის აღება აკრძალულია. თუ წისქვილის მყიდველი არ მოიძებნება, ძალით ნუ აიძულებენ მყიდველის მონახვას. თუ ვინმე გაყიდის წისქვილს და იგი მყიდველის ხელში წლის ბოლომდე იმუშავებს ერთ ან ორ თვეს, გასული წლის გადასახადი აიღონ იმისაგან, ვინც იყიდა წისქვილი და არა იმისაგან, ვინც გაყიდა“⁸.

მინაწერი არეზე:

ეს კანონს ეწინააღმდეგება:

„ვინც წისქვილს ფლობს, მისგან აიღება გადასახადი“⁹.

ამრიგად, ოსმალური კანონმდებლობით ზუსტად იყო დადგენილი დანგრეული წისქვილის ყიდვა-გაყიდვისა და გადასახადის აკრეფის წესი. „დავთარში“ დანგრეული წისქვილები იმიტომ იყო აღნუსხული, რომ მათი აღდგენის შემთხვევაში, სახელმწიფოსა თუ ფეოდალს უნდა სცოდნოდა რამდენ გადასახადს (შემოსავალს) მიიღებდა.

საყურადღებოა, რომ ოსმალური კანონმდებლობა ითვალისწინებდა მფლობელის ინტერესებსაც ახალი წისქვილის აგების შემთხვევაში.

ასე, მაგალითად, 1573 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამეში ჩაწერილია „თუ ვილაიეთის აღწერის შემდეგ ძველი საგვარეულოს მიერ წისქვილი იქნება აშენებული, მაშინ თიმარის მფლობელმა გამოსა-

⁶ Книга законов султана Селима I, с. 58.

⁷ იქვე, გვ. 59.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

ლები აიღოს ახლომახლო მდებარე წისკვილზე შეწერილი გამოსაღების შესაბამისად. ზედმეტი არ უნდა იქნას აღებული... თუ წისკვილი აშენებულია. აღწერის შემდეგ, მაშინ წისკვილის პატრონია ის, ვინც იგი აღადგინა და მიწის პატრონს არა აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმეში¹⁰.

პართალია, „გურჯისტანის კანუნ-ნამე“ ითვალისწინებდა სამცხე-საათაბაგოში დანგრეული წისკვილების აღდგენასა და აშენებას, მაგრამ ოსმალთა ბატონობის შედეგად ამ მხარეში არა თუ დანგრეული წისკვილები აღდგა, არამედ მოქმედი წისკვილებიც თანდათანობით მოიშალა და დაინგრა.

2. ზ ე თ ს ა ს დ ე ლ ე ბ ი

სამცხე-საათაბაგოში ზეთსახდელი ქარხნები ძველი დროიდან იყო მოწყობილი. XIII—XV სს. ალის მონასტრის შეწირულების საბუთებიდან ჩანს, რომ ადგილობრივი მკვიდრნი დიდი რაოდენობით წირავდნენ ზეთს ეკლესიას. მაგალითად, XII ს-ის პირველ ნახევარში შეწირულების წიგნში ჩაწერილია: „ასისა ლიტრისა ზეთისაგან ორმოცა ლიტრსა ზეთსა მერცხ ღმრთისმშობლისა წინაშე მოიღებდნენ და სამოცა ლიტრსა ზეთსა ალისა, მთავარმოწამისა წინაშე მოიღებდნენ და რაი კალამთნი (sic) სხუაგან წამოვიდენ, მას ორმოცსაც ალს მოიღებდნენ ტამალენი“¹¹ და სხვ¹².

სამცხე-საათაბაგოში ზეთს ისეთი დიდი რაოდენობით ამზადებდნენ, რომ მეზობელ რაიონებში გაჰქონდათ გასაყიდად.

სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ზეთსახდელი ქარხნები აღწერეს და გადასახადით დაბეგრეს. ყოველ ზეთსახდელ ქარხანაზე (თურქულად ბეზირხანე) წელიწადში შეწერილი იყო 60 ახჩა გადასახადი.

სულ „დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში აღნუსხულია 52 ზეთსახდელი, აქედან 15 გაპარტახებულია. ამგვარად, „დავთრის“ შედგენის დროისთვის 37 მოქმედი ზეთსახდელი იყო. ყველაზე დიდი რაოდენობით ზეთსახდელები რეგისტრირებულია ახალქალაქის ლივაში — 9 მოქმედი და 10 დანგრეული, ხერთვისის ლივაში 9, დიდი არტაანის ლივაში — 7, ჩრდილის ლივაში — 4 მოქმედი და 4 დანგრეული. |

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ფანაკის ლივაში სრულებით არ მოჰყავდათ სელი, მაგრამ ამ ლივაში 3 ზეთსახდელი იყო.

¹⁰ Ö. L. Barkan, Kanunlar, s. გვ. 198, თარგმანი, გვ. 224.

¹¹ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XIII—XV სს., გვ. 32.

¹² იქვე, გვ. 33, 34, 37, 42, 46, 57, 47.

ასევე დიდი არტანის ლივაში მხოლოდ 3 სოფელში მოჰყავდათ სელი (ძალზე მცირე რაოდენობით, წელიწადში 20 ქილა), სამაგიეროდ აქ 8 მოქმედი ზეთსახდელი იყო. „ამის ახსნა, წერს ლ. ბერიაშვილი, შეიძლება შემდეგი იყოს — რაღაც მიზეზით აღნიშნულ რაიონებში სელის კულტურა მოისპო, ზეთსახდელი ქარხნები კვლავ განაგრძობდა მუშაობას, მაგრამ უკვე არა ადგილობრივი, არამედ შემოტანილი ნედლეულით. აღნიშნული გარემოება შეპირობებული უნდა ყოფილიყო სელის ფართო გავრცელებით მესხეთის ტერიტორიაზე. ამიტომ, ერთ რომელიმე რაიონში ნედლეული რესურსების გაქრობის მიუხედავად, ზეთსახდელი ქარხნები არ წყვეტდნენ მოქმედებას და მეზობელი რაიონებიდან შემოტანილი მარცვლეულის გადამუშავებას აწარმოებდნენ¹³.

სულ „დავთრის“ მიხედვით ბეზირხანეებზე შეწერილი გადასახადი 2280 ახჩას შეადგენდა (ცხრ. 8).

ზეთსახდელი ქარხანა ორი ნაწილისაგან შემდგარი, ერთი დიდი ბანიანი შენობა იყო. იგი შენდებოდა ჩვეულებრივად, ისევე როგორც საცხოვრებელი სახლი. უშუალოდ მის დიდ ნაწილში, რომლის ფართობიც საშუალოდ 30—40 კვ მ შორის მერყეობდა, იყო გამართული ზეთის სახდელი მოწყობილობები. აქ იყო ქვის პატარა კალო, სელის საწნეხი დიდძელიანი ხის ქახრაკი და მის ქვეშ არსებული ზეთის მოსაგროვებელი ქვის გეჯა. ზეთსახდელი კალო ქვის ფილებით მოფენილი და ქვისავე ბორდიურშემოვლებული სალუწი იყო. მისი დიამეტრი იშვიათად აღემატებოდა სამ მეტრს. კალოს ცენტრში ჩამაგრებული იყო რკინის პალო, რომელზედაც, თავის მხრივ, ჩამოცმული იყო ხელნა-გამწევი ძალის შესაბამელი მარტულელი; მარტულელი გადიოდა სალუწი დოლაბის—გელაზის ცენტრში და მერე იქიდან—კალოს გარეთ, სადაც უკვე გაკეთებული ჰქონდა საკისრე და ტაბიკები. ქვის სალუწი დოლაბის — გელაზის სატრიალებლად ძირითადად კამეჩი გამოიყენებოდა, საქონელის ძალას მოძრაობაში მოჰყავდა გელაზი, საქონელი კალოს გარშემო დადიოდა, გელაზი კი უშუალოდ შიგ კალოში მოძრაობდა და ასე იღეწებოდა სელის მარცვალი.

ქვის კალოზე გალუწილი სელის მარცვალი ამის შემდეგ გადაჰქონდათ ზეთსახდელის მეორე განყოფილებაში, რომელიც პირვანდელთან შედარებით რამდენადმე მცირე ოთახს წარმოადგენდა. შენობის ამ ნაწილში მოწყობილი იყო ღია, ბრტყელსახურავიანი ფურ-

¹³ ლ. ბერიაშვილი, მეზინდერობის კულტურები მესხეთში „გურჯისტანის ვლადეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის თავიდან მიძღვნილი კრებული, თბ., 1976, გვ. 338.

ნე, რომელზედაც ყრიდნენ გაღწეულ სელს. ფურნეს ქვემოდან შეუკეთებდნენ, კარგად გაახურებდნენ და მოხალავენ ზემოდან დაყრილ სელს, სელი მოხალვის შემდეგ აუცილებლად უნდა გაცრილო, რისთვისაც აუცილებლად ფურნეს გვერდით, ქერზე ჩამოკიდებული იდო დიდი საცერი. გაცრილ სელის მასას კვლავ ზეთსახდელ მეორე, დიდ ნაწილში გადაიტანდნენ და მოგრძო ოთხკუთხედად მოქსოვილ სქელ ქსოვილზე დაყრიდნენ, რომლებსაც შემდეგ კონვერტისებურად კეცავდნენ. ამგვარად დაკეცილ ხუთ-ექვს შეკვრას ქვის გეჯაში ჩააწყობდნენ და ზემოდან საგანგებოდ გამოთლილ სქელ ფიცრებს დააწყობდნენ. ყოველივე ამის შემდეგ საწნეს ძელს, ჰახრაკს დაატრიალებდნენ და წნებდნენ... ასე იხდებოდა ზეთი. იგი გეჯის ძირში დატანებული სპეციალური ხვრეტილით. გამოდიოდა და გროვდებოდა ხის გობში, რომლიდანაც მას სხვადასხვა მოცულობის ჭურჭელში ასხამდნენ¹⁴.

ერთი ფუთი კარგი სელისაგან 3—3,5 ოყა ზეთს ხდიდნენ¹⁵.

„დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში წელიწადში 323368 კგ (: 16) = 20210 ფუთი სელი მოჰყავდათ. თუ ერთი ფუთისაგან 3 ოყა ზეთს ხდიდნენ, მაშინ გამოდის, რომ სულ სამცხე-საათაბაგოში 72756 კგ ზეთს ხდიდნენ, ხოლო თუ 3,5 ოყას ვიანგარიშებთ ერთ ფუთზე, მაშინ — 84882 კგ. ერთი სიტყვით, სამცხე-საათაბაგოში წელიწადში საშუალოდ 80000 კგ ზეთს ამზადებდნენ.

სელის ზეთს იყენებდნენ საკვებად, ხალხურ მედიცინაში, კრაქისათვის, ხარ-კამეჩის ქვის გასაპოხად და სხვა.

სელის ზეთის გამოხდის შედეგად მიღებულ ნარჩენებს (კოპტონს) იყენებდნენ საქონლის საკვებად. კოპტონი საქონლის მალაქალორიული საკვებია, რომელიც ეძლეოდა ბაგურ კვებაზე მყოფ ძროხებს, მალაქცხიმიანი რძის მისაღებად.

ზეთსახდელი ქარხნები ამ საუკუნის დამდეგამდე შემორჩა, დღეს კი მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი.

3. სამღებროები

სამღებროებსა და ლებვის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფეოდალური საქართველოს საჩუქრეო საქმიანობაში.

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, საქართველოში სამღებროები სათავადოებიც იყო და სადედოფლოებიც და თითქოს იმთავითვე ასე

¹⁴ თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—42; შტრ. ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ხალხური ზეთსახდელი იარაღები, თბ., 1963; მისივე, ზეთსახდელი წისქვილები, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1971 წელი, № 10, გვ. 18—26.

¹⁵ ლ. ბერიაშვილი, მემინდვრობა მესხეთში, გვ. 80.

იყო. ასე იყო თუ არა, ეს სადავოა, მაგრამ ის კი ყოველი ეჭვის გარეშეა, რომ საფეიქრო საქმიანობის ეს დარგი გლუხებისათვის აკრძალული ყოფილა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ეს უნდა გავიგოთ აბსოლუტურად. ჩვეულებრივ სამღებრო საოჯახო ქარხანა იყო. ფეოდალის სახლში ის თითქოს ოჯახის უფროსი ქალის საგამგეოს შეადგენდა. სამეფო დომენში ეს სამღებროები სადედოფლო იყო.

„მეურნეობას განვითარების გარკვეულ საფეხურზე ფეოდალებს წარმოების ეს დარგი თავიანთ მონოპოლიად მიუტანიათ. დედოფალი-მეფე აქ გამონაკლისი არ ყოფილა. მისი ამ გზით საქმიანობა უფრო შორს წასულა და ეს მონოპოლიის უფლება მას ფეოდალებისათვის მიუტაცნია... (შეიძლება საქმე შემდეგნაირადაც წარმოვიდგინოთ: სამღებროები პირველად ყველა სადედოფლო მონოპოლია შეიქმნა და მხოლოდ შემდეგ წყალობის თუ შეწირვის სახით გადაეცემოდა ხოლმე საერო თუ საეკლესიო ფეოდალებს, ამ შემთხვევაში სამღებროთა მონოპოლია ერთობ ადრეულ ხანაში უნდა გვეცარაუღნა)“¹⁶.

ნ. ბერძენიშვილის ეს დებულება სავსებით დასტურდება სამცხე-საათაბაგოს მაგალითზე, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

სამცხე-საათაბაგოში მღებრობას ძველი დროიდან მისდევდნენ. სამეურნეო საქმიანობის ეს დარგი მისთვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია, რაც ლებვის საერთო ქართული წესების სახესხვაობას განეკუთვნება. მდიდარი მცენარეული საფარი და მასთან ერთად მესაქონლეობის გარკვეული დარგის — მეცხვარეობის არსებობა მღებრობის განვითარების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენდა მესხეთ-ჯავახეთში¹⁷.

წინათ სამცხე-საათაბაგოში სამღებროები მრავალი ყოფილა. ამასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებო ცნობა მოეპოვება ნ. ბერძენიშვილს. 1934 წ. ჯავახეთში მოგზაურობის დროს სოფელ მურჯახეთში სასაფლაოს დათვალიერებისას მისი ყურადღება მიიქცია საფლავის ლოდმა, რომელზედაც გამოქანდაკებული იყო მამაკაცი, ქვევრი, ჯ.მი. ადგილობრივმა კოლმეურნემ მიხეილ ინასარიძემ აუტანა: აქ სომეხი ასაფლავია. მღებარი იყო, სამღებრო ჰქონდა, ის თავისი იარაღით დაუხატავთ. სამღებროები ჯავახეთის სხვა სოფლებში სულ უკანასკნელ ხანამდის იყო¹⁸.

¹⁶ ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1967, ტ. IV, გვ. 347, 348.

¹⁷ ლ. მ. ლოდინი, მღებრობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 145—167.

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 312.

სამღებროები და სამღებრო გადასახადები „დაეთარში“ არაა რეგისტრირებული, არა იმის გამო, რომ სამღებროები საქართველოს ამ კუთხეში არ იყო, არამედ ეს აიხსნება „დაეთარის“ შედგენის წესის თავისებურებით. როგორც ცნობილია, „დიდ დაეთარში“ აღნუსხულია გლეხებზე შეწერილი გადასახადები, ხოლო როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს „საფეიქრო საქმიანობის ეს დარგი გლეხებისათვის აკრძალული ყოფილა“. აქედან ცხადია, რომ „დაეთარში“ ამის გამო სამღებრო გადასახადი არაა ფიქსირებული, რადგან გლეხი სამღებრო საქმეს არ მისდევდა.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ვაბატონების შემდეგ გამაჰმადიანებულმა მსხვილმა ქართველმა ფეოდალებმა სამღებროები ძველი წესით შეინარჩუნეს. ამას ადასტურებს „დაეთარის“ მინაწერი, შედგენილი 1786 წელს. ამ მინაწერიდან ირკვევა, რომ მამირვანის მირ-ილივას ვეზირ ჰაჯი იბრაჰიმ ფაშის ძის სადიყის სახელზე იურთლუჯისა და ოჯაკლიკის წესით მემკვიდრეობით ბოძებული მამულების წლიური შემოსავალი 262000 ახჩას შეადგენდა, აქედან სამღებროებს — 8000 ახჩას¹⁹.

კიდეც

სულთან მუსტაფა III (1757—1774) მიერ 1758 წ. სულეიმან ესადისადმი (ქვაბლიანის ათაბაგთა შთამომავალი) ოქროს ციხის ლივაში იურთლუჯისა და ოჯაკლიკის წესით მემკვიდრეობით ბოძებული ფირმანიდან ჩანს, რომ მისი ყველწლიური შემოსავალი 200900 ახჩას შეადგენდა, სამღებროებიდან — 13 000 ახჩას²⁰.

მოტანილი მაგალითებიდან ირკვევა, რომ მსხვილმა ქართველმა ფეოდალებმა სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) ოსმალთა ბატონობის დროსაც შეინარჩუნეს თავიანთი პრეროგატივები სამღებროებზე.

ამგვარად, საცხებით დასტურდება ნ. ბერძენიშვილის დებულება, რომ სამღებროები მსხვილი ფეოდალების მონოპოლიას შეადგენდა.

¹⁹ დაეთარი, წ. II, გვ. 257, 258.

²⁰ ს. ჭიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროსციხის შესახებ, ოსუ შრომები, ტ. 91, 1960, გვ. 161—185.

სათიბები და საქოვრები

1. სათიბები

საძოვარ-იალაღებით სამცხე-საათაბაგო უძველესი დროიდანვე განთქმული იყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ზაფხულობით აქ მოჰყავდათ საქონელი, ვიდრე ეს მხარე ოსმალთა მფლობელობაში მოექცეოდა.

სათიბების მოვლა-პატრონობას დიდი ყურადღება ექცეოდა და მას სამეურნეო საქმიანობაში თითქმის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მემინდვრეობაში რომელიმე კულტურის მოყვანას. ეს გაპირობებული იყო როგორც მესაქონლეობის, ასევე მიწათმოქმედების ინტერესებით.

სამცხე-საათაბაგოში საქონლის საკვებად გამოიყენებოდა ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები კულტურები და სხვა ბალახები, აგრეთვე მარცვლოვანი პარკოსანი საკვები კულტურები — უგრეხელი, იონჯა, ფივი (ბარდა), ყოლანგარი და სხვა. ეს კულტურები სპეციალურად პირუტყვის საკვებად ითესებოდა.

სამცხე-საათაბაგოში სათიბი მიწები დიდი რაოდენობით იყო. როგორც წესი, ყოველ სოფელს თავისი სათიბი მიწა ჰქონდა, რომელიც სოფლის მახლობლად მდებარეობდა.

სათიბებით სარგებლობისათვის გადასახადი იყო დაწესებული. XIII ს-ის პირველი ნახევრის ალის მონასტრის ერთ-ერთ სააღაპო წიგნში ჩაწერილია: „ესე კაბალაი შემიგდია და შემომიწირავს და წალკოტისა თივაი, რაიც მოვიდოდეს, ტრაპეზისათვის წაიგდებოდეს და მესამელი მონასტერს მოიღებოდეს და ორ ნაწილსა მე მომცემდეთ“¹.

სათიბების შესახებ საყურადღებო ცნობები დაცულია „დავთარში“, მაგალითად:

¹ სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები XIII—XV სს., გვ. 25, 30, 56.

„ახალ დავთარში ჩაწერილ იქნა, რათა ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებლებმა თიბონ და მათ უფლებაში იყოს უკანმოთხილ ჩაირში მდებარე ის ადგილები, რომელსაც ისინი ჩვეულებრივად ძველ დროიდანვე თიბავდნენ“².

„ჩაირი მახარანთუბანი ძველი დროიდანვე ხსენებული სოფლის სათიბია“³. და სხვა⁴.

სათიბი მიწა გლეხის ჩიფთლიქის შემადგენლობაში არ შედიოდა. სოფელი ფეოდალს ან სახელმწიფოს სათიბი მიწის სარგებლობისათვის ვადასახადს უხდიდა. „დავთარის“ მიხედვით, სათიბზე გაწერილ ვადასახადს „იონჯასა და თივაზე გამოსალები“ ეწოდება.

ვადასახადი „იონჯასა და თივაზე“ ფულადი იყო და მთელ სოფელზე იყო შეწერილი. „დავთარიდან“ არ ჩანს, თუ როგორი წესით კრებდნენ ამ ვადასახადს.

ახალციხე-ახალქალაქის მხარეში სათიბებით სარგებლობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ხ. ვერშიშვი. მისი ვადმოცემით, სოფელ ნიალში სათიბებით შემდეგნაირად სარგებლობდნენ: ძველი დროიდან სათიბები განაწილებული იყო ამფების მიხედვით და არ ხდებოდა მისი ყოველწლიური ვადასახადების განაწილება. როგორც ეს მიღებულია სხვა ადგილებში. ამ სოფელში ერთ ამფას მისთვის გამოყოფილი სათიბიდან უნდა დაემზადებინა 7 ურემი თივა. თუ რომელიმე მეურნე მისთვის გამოყოფილი სათიბი ნაკვეთიდან უფრო ნაკლებ თივას მოიმკიდა, მაშინ მას დამატებით გამოუყოფდნენ სათიბის პატარა ნაკვეთს იმ კომლის სათიბიდან, რომელსაც ამ წელს უფრო მეტი თივა მოუვიდა, ვიდრე მას ეკუთვნოდა დადგენილი ნორმით. ამგვარად, ყოველწლიურად ხდებოდა თივის მოსავლის გათანასწოება⁵.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ სოფლის გლეხებს შორის სათიბების განაწილება ხდებოდა ამფების მიხედვით. ამფა კი ახალციხისა და ახალქალაქის მხარეში, ჩვენი აზრით, იგივე ჩიფთლიქია (ე. ი. გარკვეული მიწის ფართობი და საგადასახადო ერთეული). ამფა ისევე, როგორც ჩიფთლიქი, იყოფოდა ნახევარ ამფად — მეოთხედად. იმის მიხედვით, თუ გლეხი რამდენ ამფას (მიწას) ფლობდა — მთელს, ნახევარს თუ მეოთხედს — შესაბამისად ამდენივე სათიბ მიწას გამოუყოფდნენ და ამის მიხედვით წარმოებდა თივაზე ვადასახადის აკრეფა, ვერშიშვი წერს, რომ სოფელში რამდენი ამფაც იყო, სა-

² დავთარი, № II, გვ. 472.

³ დავთარი, № II, გვ. 40.

⁴ დავთარი, № II, გვ. 38, 41, 42, 46, 67, 79, 83, 103, 113, და სხვა.

⁵ X. A. Вермишев, Указ. соч., с. 87.

თიბებაც იმდენ ნაწილად იყოფოდა, რადგან გადასახადი ერთ ამფაზე მოდიოდა. ამიტომ ნახევარი ან მეოთხედი ამფას მფლობელები ერთ-ანდებოდნენ, ერთად თიბავდნენ და შემდეგ იყოფოდნენ თივას თავისი სათიბის ფართობის შესაბამისად.

ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ სათიბების სარგებლობის წესებში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სათიბები ისევე, როგორც ოსმალთა დროს, ან სახელმწიფოს ან ბატონისა იყო, სოფელი ხშირად საბატონო იყო, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სათიბს კი თიბდა; ან პირუკუ, ბატონისაგან სათიბს იყიდდა სოფელი, ერთად გათიბავდნენ და აღებულ თივას გაიყოფდნენ; ათ თავზე ერთი თივა ბატონისა იყო. სოფელი ჰობარეთი სახელმწიფოსი იყო, მთა ირმის რქა კი საბატონო; მათი ქვეშა მთაც საბატონო იყო, მაგრამ აქ ყველა ოჯახს თავისი სათიბი ჰქონდა (გაბოს ბიჩანავი, მანშიეთ ჰქალა, ბარაგანიენტ ჰქალა, ბოჭკვიენტ ჰქალა, ბადალიენტ ჰქალა და ა. შ.). ხშირად სათიბი ერთი გვართ დასახელებული უბნის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. ჰობარეთში ბოჭკვიენტ უბანს სოფელთან ჰქონდა სათიბი ტყე ჰნაეაძე. სოფელ მუსხის ჰქალები ზანზობში იყო და მთელი სოფელი ერთად გასთიბდა მარიობის თევში და თივას კენჭისყრით გაინაწილებდა. ხალხის მომრავლების შემდეგ, სოფელში სათიბს საქონელზე ჰყოფდნენ ცელის ტარის მიხედვით; სულზე ერთი ცელის ტარს მიუზომავდნენ. ამ შემთხვევაში ერთი ძროხა ოთხ ცხვარს უდრიდა. ტოლოშის მთა სანამქე ანუ ყარნალი ეკუთვნოდა აგრეთვე სოფლებს ჰუნცას და აბგვიტას, აქ მდებარე სათიბები კი სოფელ ზერთვისს. სოფელ ბარალეთში სათიბი ჰქალების გაყოფის დროს 10—15 კაცს ერთად მიუზომავდნენ სათიბს. ამ ჰგუფს ეწოდებოდა ამფა // ახჩა. ყოველი ამფიდან თითო წარმომადგენელი უნდა დამდგარიყო ერთ ხაზზე და დაყოფილი სათიბი ჰქალისაყენ გაქეუულიყო, ვინც სად მოასწრებდა, იმ ნაკვეთს დაიკავებდა⁷.

სამცხე-ჰაეახეთში საბატონო სათიბს მთელი სოფელი ერთად მოითიბავდა, აღებული თივებიდან ათზე ერთს ბატონს აძლევდა, დანარჩენს კი გაიყოფდნენ თანაბრად⁸.

სამცხე-საათაბაგოში რამდენიმე სახის თივა იყო გაწერელებული: კორდის თივა, რცხალის თივა (სამი, ოთხი წლით შესვენებულ

⁶ იქვე, გვ. 46.

⁷ შ. შაკალათია. მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჰაეახეთი)... კრ. „მესხეთ-ჰაეახეთი“, 1972, გვ. 46.

⁸ იქვე, გვ. 48.

ყანაში ნათიბი), უძრავი ადგილის თივა, ნაწვერალის თივა (ერთი წლით შესვენებული ყანის თივა). მთის თივა. ნაწვერალის თივაში ურევია მრავალნაირი ბალახი (რძიანი ბალახები): ლომი, ფამფარა, დალდალა, აკრაქუქრა, ქუთ-ქუთა, ქალის თივა, ბალის თივა და სხვა. ქალის თივა ბალის თივაზე უკეთესია, რადგან ბალი დაჩრდილულია, ხოლო მთის თივა საუკეთესოა⁹.

მესხეთ-ჯავახეთში სათიბში გავრცელებული იყო შემდეგი ბალახები: სამყურა, იონჯა (გარეული), ყვავის კულა, ნეგო, ჭეჭილა, ჰოროვანდი (დიდფოთლიანი ღიმი), ლინტრა (შხამიანია), კორკოტანა და სხვა.

ერთი სიტყვით, სამცხე-საათაბაგოში საქონლის საკვებად ფართოდ იყო გამოყენებული როგორც სხვადასხვა სახის ბალახები, ისევე პარკოსანი კულტურები.

„დავთრის“ მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობით იონჯასა და თივაზე გაწერილი გადასახადი ახალციხის ლივაზე მოდიოდა—41500 ახჩა, მთელი გადასახადის 31,9 %, შემდეგი იყო დიდი არტანის ლივა—28563 ახჩა (21,9 %), ფანაქის ლივა—13720 ახჩა (19 %) და სხვა.

რაიონების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ. ყველაზე დიდი რაოდენობით თივას ამზადებდა დიდი არტანის ლივას მზვარეს რაიონი. მას იონჯა-თივაზე შეწერილი ჰქონდა 11 922 ახჩა, ტყიანი-არტანის რაიონს —11501 ახჩა, ახალციხის ლივას უდეს რაიონს — 10615 ახჩა.

„დავთრის“ მიხედვით 711 სოფლიდან 700 სოფელს შეწერილი ჰქონდა გადასახადი თივაზე და მისი მთელი თანხა 129976 ახჩას შეადგენდა (ცხრ. 9).

სოფლებს შორის ყველაზე მეტი სათიბები ჰქონდა სოფ. ანბარაკს. სათიბზე შეწერილი წლიური გადასახადი 1600 ახჩას შეადგენდა, სოფ. ფარაკანის ციხის სათიბი — 1000 ახჩას, სოფ. ბებერეკის — 100 ახჩას, სოფელი ველის — 680 ახჩას, სოფ. კლდეს — 680 ახჩას და სხვ.

სანახვ-სათესი მიწები რომ არ გამოფიტულიყო და ნიადაგის ხარისხი გაუმჯობესებულიყო, გლეხები პერიოდულად მიწას ასვლებდნენ, თესდნენ ოსპს, ბარდას და სხვა პარკოსან კულტურებსა და მრავალწლიან ბალახს. იმ დასვენებულ მიწებს დროებით საძოვრებად იყენებდნენ, თიბავდნენ და ბალახს საზამთროდ ინახავდნენ. ასეთი მიწები დამატებითი წყარო იყო მეცხოველეობის საკვები ბაზის გასათვართობლად.

⁹ მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

ბ ზ ე. საქონლის საკვებად ფართოდ ხმარობდნენ ბზეს. პურე-
ულის მომკისა და გაღეწვის შემდეგ ბზეს ზვინებად ალაგებდნენ და
ზამთრისათვის საქონლის საკვებად ინახავდნენ. ბზის ყუათიანობის
გასაზრდელად ჭამის წინ მას წყალს ასხავდნენ და დამბალ უფრე-
ხელს ან ფივის მარცვალს შეურევდნენ. საქონლის საკვების შესანა-
ხად საბძელს აგებდნენ. ზოგჯერ ერთ კომლს ორი ან სამი საბძელი
ჰქონდა. თითოეულ საბძელში 30 ურეში ბზე მაინც ეტეოდა. ერთ
ურეშზე ტონანახეივარი თივა ეტეოდა¹⁰.

ამრიგად, წელიწადში საშუალოდ ერთი კომლი საქონლის გამო-
საკვებად იმარაგებდა 100—140 ტ თივა-ბზეს.

2. ს ა ძ ო ვ რ ე ბ ი

სათიბების გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამცხე-საათაბა-
გოს გლეხობას მდიდარი საძოვრებიც ჰქონდა. უმათავრესად ეს სა-
ზაფხულო საძოვრები იყო, რადგან აქაური ცივი და მკაცრი ზამთა-
რი საქონლისათვის ღია საძოვრების გამოყენებას ზღუდავდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შესანიშნავი ალპური საძო-
ვრებია. ამის გამო დიმიტრი ბაქრაძე შენიშნავდა: ახალციხის, არსია-
ნისა და აჭარის მთაგრეხილები ხშირი და უხვწვნიანი ალპური ბა-
ლახეულითაა დაფარული, რომლებიც ამიერკავკასიაში ყველაზე მდი-
დარ საძოვრებს წარმოადგენენ. აქ ზაფხულობით აღმოსავლეთ
და დასავლეთ საქართველოდან მიერეკებიან ცხვრის და მსხვილ-
ფეხა საქონლის ჯოგებს¹¹.

ადგილობრივი მოსახლეობა შემდეგნაირად სარგებლობდა ამ
საძოვრებით: მთაში საზაფხულოდ საქონელი მიჰყავდათ მას შემ-
დეგ, როცა საძოვრები თავისუფლდებოდა თოვლის საფარისაგან.
სოფლიდან პირუტყვი ადრე გაზაფხულზე ჯერ ქვეშა მთაზე გადა-
ჰყავდათ, ივნისში კი ზედა მთაზე ინაცვლებდნენ. შემოდგომაზე
ზედა მთიდან დაბრუნების შემდეგ, ერთ თვეს მაინც ქვეშა მთაზე
ატარებდნენ¹².

სამცხე-ჯავახეთში იმისდა მიხედვით, თუ სად მდებარეობდა
სოფელი, საძოვრების გამოყენებაში გარკვეულ კანონზომიერებას
ჰქონდა ადგილი. მდინარის ხეობაში (ხრამში) მდებარე სოფლები
ტოლოში, ხერთვისი, არალი, და ა. შ. საძოვრებად იყენებდნენ ქვე-

10 მ. შაკალათია, დსახ. ნაშრომი, გვ. 43, 45—47.

11 Д. З. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб. 1878, с. 73.

12 მ. შაკალათია, დსახ. ნაშრომი, გვ. 45—47.

შა და ზედა მთას. დანარჩენი სოფლები კი ქვეშა და ზედა მთასთან ერთად იყენებდნენ ხრამს (ხრამში გარდა იმისა, რომ იგი თეშერვლამდე ცხვრის საძოვრად ვარგოდა, გაშენებული იყო ბაღები), ასეთი სოფლებია ხიზაბაყრა, ზველი, ჩუნჩხა, გოგაშენი, ქილდა და ა. შ. ხრამი, ტყის ქვედა სარტყელი, რომელიც მთის ძირზე მოდის და ქვეშა მთა, მიწათმოქმედებისათვის გამოიყენებოდა, ზედა მთა კი მარტო შესაქონლეობას ემსახურებოდა (სათიბ-საძოვრები)¹³.

„დავთარში“ დიდი რაოდენობითაა რევისტრირებული საძოვრები და იალაღები. ასე, მაგალითად:

„საძოვარი, ძველი დავთრის თანახმად, ფარნაკის ციხის მცხოვრებთა მფლობელობაშია; ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სანჯაყიბეგის მფლობელობაში მყოფ ჩაირების გარდა, ის ადგილები, რომლებსაც ხსენებული სოფელი ძველი დროიდან საძოვრებად იყენებდა, შემდგომშიაც მისი საძოვარი იყოს“¹⁴.

„იალაღი, პატარა ტყისთავის მახლობლად მდებარე, სოფელ მახლაეურის მცხოვრებთა მფლობელობაშია; ვინაიდან ეს იალაღი ძველი დროიდან ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებლებისა იყო, ახალ დავთარში ზემოხსენებული სოფლის მცხოვრებთა იალაღად ჩაიწერა“¹⁵.

კიდევ

„საძოვარი სოფელ მუშეხის მცხოვრებთა მფლობელობაშია; ახალ დავთარში ჩაწერილი იქნა, რომ ადგილები, რომლებზედაც ხსენებული სოფელი ძველი დროიდანვე საქონელს აძოვებდა, შემდგომშიაც მისი საძოვარი იყოს“¹⁶. და სხვა¹⁷.

დაუშვებელი იყო საძოვრების შემოღობვა და სხვა მიზნით გამოყენება. ამის გამო „დავთარში“ ნათქვამია: „აკრძალულია დამუშავება და შემოღობვა იმ საძოვართა, რომელზედაც ძველი დროიდანვე იმყოფებოდა შემოღობილი ადგილები ქალაქის მცხოვრებთა ანდა ციხეებისა და სოფლების მოსახლეობის საქონელთათვის“¹⁸.

„დავთარიდან“ ირკვევა, რომ საძოვრებისა და იალაღების სარგებლობისათვის ყოველ სოფელს შეწერილი ჰქონდა ფულადი გადასახადი.

ამასთან დაკავშირებით 1573 წელს „გურჯისტანის კანუნ-ნამეში“ ჩაწერილია: „ძველი დროიდან დაწყებული კანონის მიხედვით,

¹³ მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 54, 55.

¹⁴ „დავთარი“, წ. II, გვ. 404.

¹⁵ იქვე, გვ. 425.

¹⁶ „დავთარი“. წ. II, გვ. 341.

¹⁷ იქვე, გვ. 255, 303, 315, 386, 419, 484, 492...

¹⁸ იქვე, გვ. 2.

ცხვის გამოზამთრების პერიოდში, თითოეულ ფარაზე აღებულ უნდა იქნეს საშუალო სიდიდის თითო ცხვარი, ხოლო ფარაზე ნაკლები თუ არის, ყოველ ათ ცხვარზე თითო ახჩა. მაგრამ მეტი არ უნდა იქნეს აღებული. ფარაში სამასი ცხვარია, ჩვეულებრივ ორასია, ყველაზე უმნიშვნელო ფარა ასი-ასორმოცდაათი თავისაგან შედგება¹⁹.

ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, საძოვარზე დაწესებულ გადასახადს ქოდა ეწოდებოდა. ყოველ სოფელში იყო ქოდაჯი, რომელიც ითვლიდა საქონელს და ამის მიხედვით ახდევინებდა ქოდას. საძოვარს მთელი სოფელი ერთად ყიდულობდა და შემდეგ ფულს გაინაწილებდნენ საქონლის რაოდენობის მიხედვით. ამ განაწილების დროს მსხვილფეხაზე ერთ აბაზს იხდიდნენ, ოც ცხვარზე კი ერთი ბატკნის საფასური უნდა გადაეხადათ. საერთოდ განაწილების დროს ოთხი ცხვარი და ერთი ძროხა თანაბარი იყო²⁰.

„დავთრის“ მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობით საძოვარ-იალალები რეგისტრირებული იყო ახალციხის ლივაში. მასზე შეწერილი იყო 13525 ახჩა, მთელი გადასახადის 21 %. თავისი საძოვრებითა და იალალებით გამოირჩეოდა აგრეთვე დიდი არტაანის ლივა, შეწერილი ჰქონდა 12243 ახჩა—გადასახადის 19 %. ფანაქის ლივა—6471 ახჩა (10 %). ხერთვისის ლივა—6499 ახჩა (10 %) და ახალქალაქის ლივა—6067 ახჩა (9,4 %).

რაიონებს შორის თავისი საძოვრებით გამოირჩეოდა ახალციხის ლივაში უდეს რაიონი, გადასახადი 5658 ახჩა, აწყურის — 4014 ახჩა, ჭაჭრაქის — 3990 ახჩა. დიდი არტაანის ლივაში ტყიანი რაიონი — 5552 ახჩა და მზვარეს — 3967 ახჩა. ახალქალაქის ლივაში აკშეპირის რაიონი, 3629 ახჩა. ხერთვისის ლივაში ტყიანი-ჯავახეთის რაიონი — 3508 ახჩა.

სოფლებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით საძოვარ-იალაზე გადასახადი შეწერილი ჰქონდა ახალციხის ლივაში მდებარე სოფ. ჰანჯაბურს, წელიწადში 500 ახჩა. დიდი არტაანის ლივაში, სოფ. ველს — 450 ახჩა, სოფ. წისქვილის ხევს — 390 ახჩა, სოფ. დუდუნას — 390 ახჩა.

სულ „დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს 711 სოფლიდან 694 სოფელს ჰქონდა საძოვარი და მათზე შეწერილი წლიური გადასახადი 64372 ახჩას შეადგენდა (ცხრ. 9).

მთაში საქონელს მენახირეები უვლიდნენ, რძის პროდუქტებს ამზადებდნენ შემთვევი // მოივილე ქალები. შემთვევი ჩვეულებრივ,

¹⁹ Ö. L. Barkan, Kanunlar, s. 198.

²⁰ მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

ხნიერი ქალი იყო — დედამთილი ან უფროსი რძალი. სამცხე-ჯავახეთში საზაფხულო საძოვრებზე დადსტურებულია ორი ტიპის სეზონური ხასიათის საცხოვრებელი ნაგებობანი — ძელური და მიწური ქოხები. ძელური ქოხი გვხვდება წინვნი ტყეებით დაფარულ მთკრებილებზე, მიწური ქოხები კი იქ, სადაც ტყის საფარს ალპური მდელოები ბევრად ჰარბობენ²¹.

მესხეთ-ჯავახეთში, თ. ჩიქოვანის დაკვირვებით, ალპური საძოვრებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო სეზონური ხასიათის სამეურნეო დასახელებები, რომელთაგან უმრავლესობა არქეოლოგიურ ძეგლებად არის ქცეული. ამგვარი ხასიათის დასახლებები მესხეთ-ჯავახეთის თითქმის ყველა მაღალმთიან საძოვარზეა წარმოდგენილი, მაგრამ განსაკუთრებული სიხშირით უფრო აბულ-სამხარის იალალებზე დასტურდება²².

ეს „საზაფხულო საჯდომი“ თ. ჩიქოვანს დაწერილებით აქვს შესწავლილი, რადგან აქ ჯერ კიდევ თვალსაჩინოდაა ძველი ალპური მეურნეობისათვის დამახასიათებელი რეალები — მწყემსური ქოხსახლებისა და საქონლის ღია სადგომების მრავალი ნიშნით, რომელთა უმეტესი ნაწილი აბულის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეა განაწილებული. აქედან ერთ-ერთს, ყველაზე დიდსა და კომპაქტურად დაგეგმარებულს, პირობითად, აბულის ტბის ნამოსახლარს უწოდებენ²³.

აბულის ტბის მესაქონლეთა „ზაფხულ საჯდომი“ ბაზა-ნამოსახლარის ფართობი — დაახლოებით ორი ათასს კვ მ-ზე ოდნავ მეტია. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია შედარებით უძველესი, რომელსაც ციკლოპური წესით ნაგები საქონლის ღია სადგომები და დაახლოებით ამავე სამშენებლო ხერხით ნაშენი ქოხსახლთა ნაშთები განეკუთვნება. მეორე ნაწილი, რომელიც უშუალოდ ამ დასახლებაშია ჩართული, გვიანფეოდალური ხანიდან მომდინარე უნდა იყოს²⁴.

აბულის ტბის საერთო დასახლებაში არსებული სადგომები ლოდებითაა ნაგები და ზომით ერთმანეთისაგან ვანსხევედება, აქვს მრგვალი მოყვანილობა, ფართობი 15-დან 30 კ-მდე აღწევს. გვხვდება გაცილებით დიდიც. მათი ფართობი 50—100 კ.მ² შორის მერყეობს. აქ საქმე გვაქვს საქონლის ღია სადგომებთან, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ

²¹ მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57. 58; დაწერილებით იხ. თ. ჩიქოვანი, მთიერი ჭარგვალი, ქართლ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალების შექმნე, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, თბ., 1964, გვ. 19—22.

²² თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, გვ. 46; მიაიე, მესხეთი, გვ. 92—100.

²³ იქვე.

²⁴ იქვე გვ. 92, 100.

საქართველოს ზეგანის იალაღებზე²⁵. საქონლის დიდ სადგომებს, რომლის ფართიც 100 კვ მ-ს აღწევს, ხალხამს უწოდებდნენ და გათვალისწინებული იყო მსხვილფეხა საქონლისათვის, ხოლო შედარებით მცირე 30-დან 40 კვ მ-მდე სადგომს კი — ბერას, რომელიც ცხვრისათვის იყო განკუთვნილი. თითოეულ ხალხამში საშუალოდ 60—70 სული მსხვილფეხა საქონელი ეტეოდა. თ. ჩიქოვანის კარაუდით, აბულის იალაღებზე ზაფხულობით 2000 სულამდე მსხვილფეხა საქონელი უნდა ყოფილიყო²⁶.

მესხეთ-ჯავახეთში ასეთი საზაფხულო სადგომების სიმრავლე იმის დამადასტურებელია, თუ რაოდენ ფართოდ იყო გაყრცელებული აქ მესაქონლეობა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, თ. ჩიქოვანის დაკვირვებით, მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის იალაღური დასახლება პატრონიმული ნიშნით იყო დაგეგმილი. სოფლის საერთო საძოვარზე ყოველი გვარი ცალკე მიკროუბნად იყო დასახლებული. მონოგენურ უბნად დასახლებულ ყოველ ოჯახს ჰქონდა საკუთარი ქონი, რომლის გასხვისება თანაუბნელ მოგვარეთა დაუკითხავად არ შეიძლებოდა. ასევე არ შეიძლებოდა ერთი რომელიმე სოფლის საბალახოზე სხვა სოფლის საქონლის გაშვება. საინტერესოა ისიც, რომ პატრონიმული ნიშნით გაერთიანებულ ყოველ მონოგენურ უბანს იალაღებზე ჰქონდა ერთი საერთო ხალხამი, რომელშიაც ღამლამობით აყენებდნენ მსხვილფეხა საქონელს. ღამით სადგომ-საწველი ცხვრის ბერა და ხბოს ბაკი ყველა ოჯახს ცალკე ჰქონდა გამართული საკუთარი ქონსახლის გვერდით²⁷.

მესაქონლეობასთან დაკავშირებით ჯავახეთში თითქმის ჩვენ დრომდე შემორჩა ერთი საინტერესო ჩვეულება. მიუხედავად იმისა, რომ იალაღზე ოჯახები პატრონიმულ-მონოგენური ნიშნის დაცვით იყვნენ დასახლებული და საქონელსაც ერთად, ერთ საძოვარზე აბალახებდნენ, ყველა გვარსა და მასში შემავალ ოჯახებს თავიანთი ღამლა, საქონლის სერი ჰქონდათ. საქონელს ჯერ გვარის საერთო ნიშანს გაუკეთებდნენ და შემდეგ მას გვერდითვე დაუსვამდნენ საკუთარი ოჯახის სერს. სერის აღრევა, მით უმეტეს, წინასწარი განზრახვით, ან მისი გადაკეთება სასტიკად იკრძალებოდა. საქონლის ქურდი და სერის გამყიდველი სოფლის მიერ ერთნაირად იკიცხებოდა, ისჯებოდა²⁸.

²⁵ თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ, გვ. 50—52.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, გვ. 53, 54.

²⁸ იქვე.

1595 წ. „გურჯისტანის კანონთა წიგნში“ ფარეხზე გამოსაღების (yatak resmi) შესახებ ჩაწერილია: „ძველი დროიდან დაწესებული კანონის მიხედვით, ცხვრის გამოზამთრების პერიოდში, თითოეულ ფარაზე აღებულ უნდა იქნეს საშუალო სიდიდის თითო ცხვარი. ხოლო ფარაზე ნაკლები თუ არის, ყოველ ათ ცხვარზე თითო ახჩა, მაგრამ მეტი არ უნდა იქნეს აღებული“²⁹.

სამცხე-საათაბაგოში თუ რამდენი ცხვრისაგან შედგებოდა ერთი ფარა, მითითებულია 1573 წ. გურჯისტანის კანუნ-ნამუში: „ფარაში სამასი ცხვარია, ჩვეულებრივ ორასია, ყველაზე უმნიშვნელო ფარა ასი-ასორმოცდაათი თავისაგან შედგება“³⁰.

ასევე 300 ცხვრისაგან შედგებოდა ერთი ფარა ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებშიაც. მაგალითად, არზრუმის, დიარბექრის. ალექოსა და სხვ.³¹.

„გურჯისტანის კანუნ-ნამუში“ არაფერი არაა ჩაწერილი იათალის (yatak resmi) გადასახადის შესახებ, ხოლო თვით „დავთარში“ ეს გადასახადი საკმაოდ ხშირად არის დადასტურებული. იათალი (yatak) თურქული სიტყვაა, და ნიშნავს საწოლს, ლოგინს, ღამის გასათენებელ ადგილს.

1540 წ. არზრუმის კანკუნ-ნამუში ჩაწერილია: „ფარეხზე გადასახადს (agil resmi) ცხვრის გამოზამთრების შემთხვევაში იათალის გამოსაღები (resmi yatak) ეწოდება და თითოეულ ფარაზე აღებულ უნდა იქნას საშუალო სიდიდის თითო ცხვარი“³².

დიარბექირის, ალეპოს, სისის, ჩურუქ აბადის კანუნ-ნამუეების მიხედვით იათალის გადასახადი გარედან მოსული ცხვრის ფარაზე იყო შეწერილი და ყოველ ფარაზე ერთი ცხვარი აიღებოდა³³.

1570 წლის ამფისას (საბერძნეთი) კანუნ-ნამუში ჩაწერილია: „თუ ვინმე თავისი ცხვრით ერთი ყადილუქიდან (რაიონიდან) მეორეში გადავა, ან ერთი სოფლიდან — მეორეში და იქ გასაზამთრებლად დარჩება, ან თავის ფარას საზაფხულო იალალებზე გარეკავს, მაშინ ის ყოველ ფარაზე იხდის 25 ახჩას³⁴. მაგრამ თუ სოფლის მცხოვრები თავიანთ ცხვარს აძოვებენ, მათთან ერთად დაიზამთრებენ ან გარეკავენ ფარას საზაფხულო საძოვარზე თავიანთი სოფლის

²⁹ დავთარი, წ. II, გვ. 3.

³⁰ Ö. L. Barkan, Kanunlar, გვ. 198; თარგმანი ნ. შენგელასი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

³¹ იქვე გვ. 68, 146, 201, 208.

³² იქვე.

³³ იქვე, გვ. 68.

³⁴ იქვე, გვ. 146, 201, 206, 208.

ძიწების ფარგლებში, ისინი არაფერს არ უხდიან სიფაპის (ფეო-
დალს)»³⁵.

ამრიგად, იათალის გადასახადს იხდიდნენ სხვის საძოვრის სარ-
გებლობისა და დაზამთრების შემთხვევაში. იათალზე გადასახადი აი-
ღებოდა ზოგან ფულით, ზოგან — ნატურით.

„დავთრის“ მონაცემებით იათალზე გაწერილი გადასახადი ყველაზე
დიდი რაოდენობით ახალციხის ლიეაზე მოდიოდა—4274 ახჩა, მთელი
გადასახადის 29,7 %, ფანაქის ლიეაზე—3543 ახჩა (24,6 %), ხერთვი-
სის ლიეაზე 2384 ახჩა (16,6 %).

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ახალციხის, ფანაქისა და
ხერთვისის ლიეებში დიდი რაოდენობით იყო ზაფხულის საძოვრები
და საზამთრო სადგომები (ყიშლალები). ამასთანავე ამ ლიეების სა-
ძოვრებზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ცხვარი სხვა ადგილები-
დან.

მესხეთ-ჯავახეთი ცნობილი იყო თავისი მდიდარი საძოვრებით და
აქ იალაღებზე საქონელი მოჰყავდათ საქართველოს სხვადასხვა რაიონე-
ბიდან. მართალია, ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის
შემდეგ ამ ადგილებში საქონლის გარეკვა მნიშვნელოვნად შემცირ-
და. მაგრამ მთლიანად არ შეწყვეტილა, რასაც ადასტურებს „დავ-
თრის“ მონაცემები.

ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე ის, რომ დიდი არტანის ლიეა-
ში იათალზე შეწერილი გადასახადი ყველაზე მცირე იყო და სამი რაიონ-
იდან მხოლოდ ერთ—ტყიან რაიონზე იყო შეწერილი და ისიც მხოლოდ
202 ახჩა, რაც მთელი იათალის გადასახადის მხოლოდ 1,4 % შეადგენდა.

ვფიქრობთ, ე. აიხსნება იმით, რომ დიდი არტანის ლიეაში
მალაი ალპური საძოვრები იყო და იქ ცხვრის საზამთრო სადგომე-
ბი ფაქტიურად არ არსებობდა, ხოლო საზაფხულო იალაღებზე კი
ცხვარი სხვა ადგილებიდან ნაკლებად მოჰყავდათ.

ამრიგად, „დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში იონჯა-თივა-
ზე წლიური გადასახადი იყო 12 9976 ახჩა, საძოვარსა და იალაღზე—
64372 ახჩა, ხოლო იათალზე—14346 ახჩა. სულ—208694 ახჩა. აქედან
იონჯა-თივაზე გადასახადი შეადგენდა 62,2 %, იალაღზე—30,8 %, ხოლო
იათალზე—6,8 %.

ყველაზე მეტი სათიბები და საძოვრები იყო ახალციხის ლიეაში,
გადასახადი 59349 ახჩა, (28,4 %). მეორე ადგილზე იყო დიდი არტანის
ლიეა—41008 ახჩა (19,8 %). საძოვრებითა და სათიბებით გამოირჩეოდა
აგრეთვე, ფანაქის ლიეა—23734 ახჩა (11,3%), ახალქალაქის ლიეა—21835
ახჩა (10,4 %), ხერთვისის ლიეა—18935 ახჩა (9%).

³⁵ И. Кабрда, Законоположение об Амфице..., с. 225, 226.

გადასახადები სათიბებსა და საძოვარ-იალალებზე გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაფორს“ მიხედვით

ლევებისა და რაიონების დასახელება	სოფლების რაოდენობა	იონჯა-თივა		იალალი		ი.თ.ლი	
		რამდენ სოფ. შეუჭრ. ვად.	რამდენ ვა-დასახ. იხდი-დნენ ახეუით	რამდენ სოფ. შეუჭრ.	რამდენ ვა-დასახ. იხდი-დნენ	რამდენ სოფ. ქვიშლა შეუ	რამდენ ახია ვადა. ახადს იხდიდნენ
1	2	3	4	5	6	7	8
I. ახალციხის ლივა							
1. შზარეს რაიონი	18	18	3413	17	1083	6	163
2. ჩრდილის	22	21	3055	22	1876	7	260
3. უდეს	51	51	10615	51	5658	2	55
4. ქვაბლიანის	7	5	930	6	660	1	150
5. აწყურის	38	37	6430	38	4014	15	820
6. ალთუნკალას	14	12	2820	14	3353	3	250
7. ოცხეს	18	18	3607	18	948	11	414
8. ასპინძის	35	34	4850	34	1943	15	566
9. ჰაკარაქის	43	42	5885	43	3990	42	1596
ჯამი	246	238	41500	243	13525	102	4274
II. ზერთვისის ლივა							
1. ზერთვისის რაიონი	32	32	3841	32	2286	19	796
2. ტყიანი-ქავეხეთის	35	35	5111	34	3508	22	1464
3. ბუზმარეთის	8	8	1100	8	705	4	124
ჯამი	75	75	10052	74	6499	45	2334
III. ახალქალაქის ლივა							
1. აკეშვირის რაიონი	45	45	8937	45	3629	15	956
2. თმოგვის	10	10	1440	10	561	5	188
3. ნიალისყურის	20	20	3803	20	1877	10	544
ჯამი	75	75	14180	75	6067	30	1688
IV. ჩრდილის ლივა							
1. ქანბაზის რაიონი	27	27	5498	27	2815	15	1217
2. ქანარბელის	22	22	4738	22	1982	5	292
3. მგელისციხის	7	7	932	7	570	5	210
ჯამი	56	56	11168	56	5367	25	1719

1	2	3	4	5	6	7	8
V. ფოცხოვის ლივა							
1. შხვარეს რაიონი	35	35	5063	35	1828	21	378
2. ჩრდილის „	24	24	4680	24	2142	3	158
ჯ ა მ ი	59	59	9743	59	3970	14	536
VI. ფანაკის ლივა							
1. ფანაკის რაიონი	32	29	6524	29	3330	24	2265
2. ქიაშხისის	8	8	2225	8	1166	5	265
3. ფანასკერტის „	23	22	4971	22	1975	22	1013
ჯ ა მ ი	63	59	13720	59	6471	51	3543
VII. დიდი არტანის ლივა							
1. შხვარეს რაიონი	48	48	11922	43	3967	—	—
2. ჩრდილის „	25	25	5140	25	2724	—	—
3. ტყიანი „	60	60	11501	58	5552	2	202
ჯ ა მ ი	133	133	28563	126	12243	2	202
სულ შთლიანად ჯ ა მ ი	711	700	129976	694	64372	269	14346

ერთი სოფელი სათიბებისა და საძოვრების სარგებლობისათვის საშუალოდ წელიწადში იხდიდა 100—200 ახჩა გადასახადს, ხოლო მდიდარი სოფლები — 400—500 ახჩას. მაგრამ იყო ისეთი სოფლებიც, რომელნიც დიდძალ სათიბებსა და იალალ-საძოვრებს ფლობდნენ და წელიწადში 1000 ახჩაზე მეტი გადასახადი ჰქონდათ შეწერილი. მაგალითად: სოფელი ანბარაკი იხდიდა 1880 ახჩას, ფარნაკის ციხის რაბათი — 1246 ახჩას, სოფ. ბებერეკი — 1200 ახჩას, სოფ. ველი — 1130 ახჩას, სოფ. პატარა ზურზელი — 1044 ახჩას. ასეთ სოფლებში, როგორც წესი, დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა. ასე მაგალითად, სოფ. ანბარაკის მცხოვრებთ ჰყავდათ 3600 თაეი ცხვარი, 800 ღორი, სოფ. ბებერეკს 1160 ცხვარი, 525 ღორი, სოფ. ველის — 1700 ცხვარი და 322 ღორი და სხვ.

„დავთრის“ მიხედვით შესაძლებელია მიახლოებით დაეადგინოთ სამცხე-საათაბაგოში სათიბებისა და საძოვრების მიწის ფართობი.

XIX ს-ის ორმოციან წლებში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სათიბების, საძოვრებისა და გამოუყენებელი მიწის ფართობი შეადგენდა მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 50 %³⁶. ამჟამად კი (1973 წლის მონაცემებით) საქართველოს სამხრეთ ეკონომიკურ რაიონებში სათიბებისა და საძოვრების ფართობი მთელი სავარგულების 68.7 % შეადგენს³⁷.

სამცხე-საათაბაგოში, თუ ვიანგარიშებთ, სათიბები და საძოვრები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის 55 % შეადგენდა, მაშინ სათიბებისა და საძოვრების ფართობი (ჩვენი გამოანგარიშებით სამცხეში 120000—130000 ჰა სახნავ-სათესი მიწა იყო) შეადგენდა 250000 ჰექტარს.

სამცხე-საათაბაგოში არსებული დიდძალი სათიბები და საძოვარი-იალალები იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს ამ კუთხეში დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

³⁶ X. A. Вермишев, Указ. соч., с. 32.

³⁷ საქართველოს ეკონომიური რაიონი, გვ. 93.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა

მეცხოველეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (სამცხე-საათაბაგოში) უძველესი დროიდან იყო განვითარებული, რაც დასტურდება არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებით¹.

ფეოდალურ ხანაში სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობის განვითარების დონის გასარკვევად მეტად საყურადღებო ცნობები მოებოვება ვახუშტი ბატონიშვილს. იგი სამცხე-საათაბაგოს აღწერისას მეცხოველეობასთან დაკავშირებით წერს: „პირუტყუნი ყოველნი მრავალნი... ცხოვარნი მროწოელნი და ჯოგნი მრავალი“².

მეცხოველეობასთან ერთად მოსახლეობა ამზადებდა რძის პროდუქტებსაც, კარაქს, ერბოს, ყველს და სხვა. ეს კარგად ჩანს 1546 წ. შედგენილ ახალქალაქის გამოსაღების წიგნიდან: „გამოიღებს ახალქალაქელი... მოყალნენი ერთს ფურბერწსა და ერთს ცხუარს... ფურის თავსა ერთი ჩარეჭი ერბო. ამას გარეთ საყველიერო ერთი ლიტრა ყველი და ოცი კვერცხი. რიგისად გოჭი და ქათამი, მალი, საური, ულაყი, სააღდგომო ძროხა, ცხურისა სათვალავი ათის თავი, მალის თავისა თანგა ოცდაროი, კათალიკოზი“³.

¹ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 85; Т. Н. Чубинишвили, О. С. Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953—1955 гг., Советская археология № 4, 1957, с. 126. თ. ჭაფარიძე, თ. კიკვიძე, ვ. ავალიშვილი, მესხეთ-ჭავჭავთოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წწ. და 1972—1973 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმე, ტ. III, თბ., 1974; ტ. IV, თბ., 1975; ა. შერეთელი, ახჩიის ველის ყორღანული სამაროვანი არტანის მტკერის აუზში, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1979, № 4, გვ. 134—151; თ. ჩიქოვანი, მესხეთი თბ., 1979; მისივე, ჭავჭავთი, თბ., 1982; მ. სვანიძე, მეცხოველეობა სამცხე-საათაბაგოში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის“ მიხედვით, „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 2, გვ. 24—32.

² ვახუშტი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 672.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, ტ. 1. გვ. 6.

XVI საუკუნეში საქართველოს ამ კუთხეში მეცხოველეობის შესასწავლად ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი წყაროა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. „დავთარში“ ფიქსირებული საგადასახადო ნუსხების საფუძველზე გვეძლევა საშუალება გავარკვიოთ იმ დროს აქ განვითარებული სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მეცხოველეობის დონე.

„დავთარის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები და მდიდარი და ნაყოფიერი საკვები ბაზა: დიდი რაოდენობით არსებული საძოვრები, იალაღები, სათიბები. საქონლის საკვებად გამოიყენებოდა მარცვლოვანი პარკოსანი კულტურები: უგრეხელი, იონჯა, ბარდა, ყოლანგარი და სხვა. საქონლის საკვებად ფართოდ იყენებდნენ, აგრეთვე, ზეთის სელის გამოხდის შემდეგ დამზადებულ კობტონს და სხვ.

ე. თაყაიშვილი საქართველოს ამ კუთხეში მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების გამო წერდა: „საზღვრულ და საზამთრო საძოვრები ჯოგების მოშენების საშუალებას იძლეოდა და მეჯოგეობა კიდევაც დიდი მასშტაბით იყო განვითარებული“⁴.

1. მეცხვარეობა

„დავთარის“ მონაცემები ცხადყოფს, რომ საათაბაგოში მესაქონლეობის ეს დარგი ყველაზე მეტად იყო განვითარებული. ცხვარი ისეთი დიდი რაოდენობით ყოფილა, რომ 1573 წლის „გურჯისტანის კანუნ-ნამეში“ ჩაწერილია: „ფარაში სამასი ცხვარია, ჩვეულებრივ ორასია, ყველაზე უმნიშვნელო ფარა ასი — ასორმოცდაათი თავისაგან შედგება“⁵.

„დავთარში“ მეტად სარწმუნო ცნობები მეცხვარეობასთან დაკავშირებით მოიპოვება. 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში“ მითითებულია, თუ ადგილობრივ მოსახლეობას თითოეულ ცხვარზე რა რაოდენობით უნდა გადაეხადა ფულადი გადასახადი, რაც საშუალებას გვაძლევს დაახლოებით გამოვიანგარიშოთ საათაბაგოში იმ დროს რამდენი თავი ცხვარი იყო.

⁴ ე. თაყაიშვილი, სუბმათ დავითნის ქრონიკა, 1946, გვ. 51.

⁵ Ö. L. Barkan, Kanunlar, s. 198, 199; ქართული თარგმანი ნ. შენგელიასი, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის, „კავკასიურ-ახლალმოსავლური“ კრებული. ტ. II, თბ., 1963, გვ. 226.

1595 წ. „გურჯისტანის კანონთა წიგნში“ ჩაწერილი „გამოსა-
ლები ცხვარზე“. ორ ცხვარზე — ერთი ახჩა. დაკანონებულია, რომ
ცხვარი და ბატკანი ორივე ერთად ითვლებოდეს ერთ მთელად. და-
კანონებულია, აგრეთვე, რომ ცხვრის გამოსალები აღებულ იქნას აპ-
რილის თვეში. თუ მას შემდეგ, რაც ვილაიეთის აღწერის დროს ცა-
რიელად აღრიცხულს სოფელში, გარეშე რეაიადან მოვიდა ვინმე და
ცხვარი მოაშენა, მაშინ, თუ ცხვრის გამოსალები მისგან არაა მიწე-
რილი სხვა სიტყაშიზე (ფეოდალზე), ის (გამოსალები) აიღება ისე, რო-
გორც ჩაწერილია და იმის სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს გამოსალები
განკუთვნილია ამ ვილაიეთში. ორ ცხვარზე ერთი ახჩის ალების შემ-
დეგ აიღება კიდევ ერთი ახჩისა (ყოველ ათ ცხვარზე), ჩუბუკის ფუ-
ლის სახით, და თითო ცხვრისა თითოეულ ფარაზე, შიშლიგის სახით,
ენინალმდეგება სულთანის ნებას. ეს არ უნდა იქნეს აღებული“⁶.

ამრიგად, „დავთრის“ მიხედვით, ორ ცხვარზე ერთი ახჩა ფულა-
დი გადასახადი უნდა გადაეხადა გლეხს⁷. ამავე ოდენობით იხდიდა
ცხვარზე გაწერილ გადასახადს ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციე-
ბის მოსახლეობაც. ჩვენი გამოანგარიშებით, „დავთრის“ მიხე-
დვით, ცხვარზე შეწერილი გადასახადი შეადგენდა 146144 ახჩას.
ამ თანხას თუ გავამრავლებთ ორზე (146144 × 2), მივიღებთ ცხვრის
საერთო რაოდენობას (292288), რადგან როგორც ზემოთ მივთით-
ეთ, ორ ცხვარზე ერთ ახჩას იხდიდნენ. ამრიგად, სულ „დავთრის“
მიხედვით საათაბაგოში 292288 თავი ცხვარი იყო⁸. მაგრამ ეს რი-
ცხვი არ არის სრული, რადგან ცხვრის რაოდენობას უნდა დავმატოვო
ბატკნის რაოდენობაც, ვინაიდან „გურჯისტანის კანონთა წიგნის“ მი-
ხედვით „ცხვარი და ბატკანი ორივე ერთად ითვლება ერთ მთელად“⁹.
თუ ცხვრის რაოდენობას დაუვმატებთ ბატკანთა რიცხვს, მაშინ მაჩვენ-
ებელი მნიშვნელოვნად გადიდდება.

„დავთრიდან“ ირკვევა, რომ საათაბაგოში რეგისტრირებული 711
სოფლიდან მეცხვარეობას მისდევდა 633 სოფელი. ლივების მიხედვით
ყველაზე დიდი რაოდენობით ცხვარი ახალციხის ლივაში იყო: 87682 თავი

⁶ იქვე, დავთარი, წ. II, გვ. 2, 3.

⁷ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ოსმალთა ბატონობის დროს საათაბაგოში
„ცხვარზედ ორი შაური“ გადასახადი იყო შეწერილი. ვახუშტი, აღწერა: ქართლის
ცხოვრება, ტ. IV, გვ. 726.

⁸ გ. ტივაძის გამოანგარიშებით „გურჯისტანის ვილაიეთზე ცხვარზე გაწერილი გა-
დასახადი 147635 ახჩას შეადგენდა, ხოლო ცხვრის რაოდენობა — 295270 სულს. გ. ტი-
ვაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით,
„მნათობი“, 1946, № 8, გვ. 129; 1973 წ. შესხეთ-ჯავახეთში 363200 თავი ცხვარი და თხა
იყო. საქართველოს სამხრეთი ეკონომიური რაიონი, თბ., 1976, გვ. 105.

⁹ „დავთარი“, წ. II, გვ. 3.

ვი (29,9 %), დიდი არტაანის ლივაში—64442 (22 %), ხერთვისის ლივაში —37394 (12,3 %). ახალციხის ლივაში მეცხვარეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო უდეს (25310), ასპინძის (12280) და ჭაჭრაქის (12042) რაიონებში. უდეს რაიონის 51 სოფლიდან 49 სოფელი მეცხვარეობას მისდევდა, ასპინძის რაიონის 35 სოფლიდან—23 სოფელი და სხვა. მეცხვარეობა მეცხოველეობის წამყვანი დარგი იყო, აგრეთვე, დიდი არტაანის ლივაში. ლივას 135 სოფლიდან 130 სოფელი მეცხვარეობას მისდევდა. ამ ლივას ტყიანი არტაანის რაიონში 27774 ცხვარი იყო, ხოლო მზვარეს რაიონში—23486. მეცხვარეობას დიდი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, ხერთვისის ლივას ტყიანი-ჯავახეთის რაიონში—19200 თავი ცხვარი.

სამცხე-საათაბაგოში საშუალოდ ყოველ სოფელში 300—400 ცხვარი იყო. მაგრამ იყო ისეთი სოფლებიც, სადაც მეცხვარეობა დიდად იყო განვითარებული და ჰყავდათ 1000 და უფრო მეტი ცხვარი. სამცხე-საათაბაგოს 27 სოფელში ცხვრის რაოდენობა ათას აღემატებოდა, ესენია ახალციხის ლივას 11 სოფელი, დიდი არტაანის ლივაში — 7, ახალქალაქის ლივაში — 4, ფანაკის ლივაში — 2, ხერთვისის ლივაში — 2 და ჩილდირის ლივაში — 1. მეცხვარეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შემდეგი სოფლები: ფიკლობი დიდი არტაანის ლივაში (1500 თავი ცხვარი), ველი, ამავე ლივაში (1700), ოკამი, ახალქალაქის ლივაში — (1800) და სხვა. ცხვრის ფარის ყველაზე დიდი რაოდენობა რეგისტრირებულია სოფ. ანბარაკში (დიდი არტაანის ლივა) — 3600 ცხვარი.

„დავთარი“ შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ ახალციხის საფაშოში ცხვრის განაწილება კომლებს შორის. ხერთვისის ლივაში აღინიშნება ცხვრის ყველაზე დიდ რაოდენობა: ერთ კომლზე — 38 თავი, ახალქალაქის ლივაში — 32 თავი, ახალციხისა და ჩრდილის ლივებში — 25—25 თავი. რაიონების მიხედვით ერთ კომლზე ცხვრის ყველაზე დიდი რაოდენობა მოდიოდა ხერთვისის ლივას ბუზმარეთის რაიონში — 56 თავი, ამავე ლივას ტყიანი-ჯავახეთის რაიონში 52 თავი, ახალციხის ლივას ალთუნყალის რაიონში — 31 თავი და სხვ. ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 23 ცხვარი (ცხრ. 10).

„დავთარში“ არაა ცნობები, თუ რა ღირდა იმ დროს ცხვრისა ან საქონლის ხორცი. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობები დაცულია „1592 წლის არზრუმის ვილაიეთის კანუნ-ნამეში“. მისი შონაცემებით 200 ღირპემი ბატკნის ხორცი ღირდა 1 ახჩა, 250 ღირპემი ცხვრის ხორცი — 1 ახჩა, 300 ღირპემი თხის ხორცი—1 ახჩა, 400 ღირპემი კამეჩის ხორცი—1 ახჩა და 370 ღირპემი ძროხის ხორცი — 1 ახჩა¹⁰.

¹⁰ არზრუმის ვილაიეთის 1592 წ. კანუნ-ნამე, გვ. 81; ამავე კანუნ-ნამეს მონაცემით

ამრიგად ირკვევა, რომ არზრუმის ვილაიეთში 600 გრ ბატკნის ხორცი ღირდა 1 ახჩა, 750 გრ ცხვრის ხორცი — 1 ახჩა და 1100 გრ ძროხის ხორცი — 1 ახჩა. საფიქრებელია, რომ დაახლოებით ასეთივე ფასები უნდა ყოფილიყო ხორცზე მეზობელ ახალციხის საფაშოში ანუ სამცხე-საათაბაგოში.

1595 წელს ოსმალეთის იმპერიაში ერთი ცხვარი 100—120 ახჩა ღირდა, ხოლო ერთი ოყა ცხვრის ხორცი — 4—6 ახჩა¹¹.

როგორც ვხედავთ, საკუთრივ ოსმალეთში ცხვარზე ფასი საკმაოდ მაღალი იყო, თუ ვიანგარიშებთ, რომ სამცხე-საათაბაგოში იმ დროს ერთი ცხვარი 25 ახჩა ღირდა, მაშინ, „დავთრის“ მიხედვით, ცხვრის საერთო ღირებულება დაახლოებით 15 მლნ ახჩას შეადგენდა.

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოში მესაქონლეობასთან დაკავშირებით სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ „პირუტყუნი მრავლად. არამედ ცხოარნი უმრავლესად“¹², რაც სავსებით დასტურდება „დავთრის“ მონაცემებით.

ერთი სიტყვით, მეცხვარეობა სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო.

2. მ ე ლ ო რ ე ო ბ ა

სამცხე-საათაბაგოში მელორეობას დიდი ყურადღება ექცეოდა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მისდევდა მას. სამცხე-საათაბაგოში მელორეობას 684 სოფელი მისდევდა, ხოლო მეცხვარეობას კი — 633. ღორის ხორცი ზამთრობით ქართველის ერთ-ერთი მთავარი საკვები პროდუქტი იყო.

„დავთარი“, ძვირფასი წყაროა სამცხეში მელორეობის შესასწავლად. მართალია, „გურჯისტანის კანონთა წიგნში“ არაა მითითებული, თუ თითოეულ ღორზე გაწერილი გადასახადი რამდენ ახჩას შეადგენდა, მაგრამ ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებისათვის შედგენილი კანუნ-ნამეების მონაცემებიდან შეგვიძლია დაახლოებით ვივარაუდოთ საათაბაგოში რამდენი ახჩა იყო შეწერილი თითოეულ ღორზე. ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კანუნ-ნამეებიდან ირკვევა, რომ ღორზე გაწერილი გადასახადი სხვადასხვა რაოდენობით აღებოდა და საშუალოდ თითოეულ ღორზე ერთი ან ორი ახჩა იყო შეწერილი.

თითოეულ ნუქში 200 ღორქემია. ამ დროს ანატოლიაში. კერძოდ, მარდინში აგრეთვე ნუქი ტალი იყო 200 ღორქემისა — 641, 4 გრ, ხოლო ერთი ღორქემი=3,2 გრ (B. ХИИЦ, დასახ. ნაშრომი, გვ. 33), ე. ი. დამრგვალებით ერთი ღორქემი=3გრამს, ხოლო 200 ღორქემი 600 გრ.

¹¹ Ö. L. Barkan, XVI asrın ikinci yarısında Türkiye' de fiyat hareketleri, Belleten, XXXIV/136, s. 557—607.

¹² ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 448.

ცხრილი 10

ცხვის სულაღობა აგურჯისტანის ელათის დღი დათარს მინეღვით

ლიეებისა და რაიონების დასახელება	დასახეღული პუნქტების რაოდ.	რამდენი სოფელი მისდებდა მეცხე- რეობას	კომლთა რაოდე- ნობა	რამდენი ახზა გაღ- სახალი იყო შეღერილი	რამდენი თაღი ცხვარი იყო	ერთ კომლზე საღუ- ალოდ რამდენი თაღი ცხვარი მღლიოდა	ცხვის სულაღობა %
1	2	3	4	5	6	7	8
I. ახალციხის ლივა							
1. შზვარეს რაიონი	18	16	430	2834	5668	13	6,4
2. ჩრდილის	22	13	391	2061	4122	10	4,7
3. უღეს	51	49	703	12655	25310	36	28,8
4. ქვაბლიანის	7	7	74	1300	2600	35	2,9
5. აწყურის	38	35	437	7520	15040	34	17,1
6. ალთუნყალას	14	13	200	4130	8260	41	9,4
7. ოცხეს	18	10	271	1180	2360	8	2,6
8. ასბინძის	35	29	385	6140	12280	31	15
9. ქაქარაქის	43	27	489	6021	12042	24	13,7
ჯამი	246	199	3380	43841	87682	25	29,9
II. ხერთვისის ლივა							
1. ხერთვისის რაიონი	32	30	541	7167	14334	26	38,3
2. ტყიანი-ჯავახეთის	35	33	365	9600	19200	52	51,3
3. ბუზმარეთის	8	8	68	1930	3860	56	10,3
ჯამი	75	71	974	18697	37394	38	12,3
III. ახალქალაქის ლივა							
1. აქშეპირის რაიონი	45	44	605	10923	21846	36	64,2
2. თმოგვის	10	9	150	1810	3620	25	10,6
3. ნიალისყურის	20	16	286	4280	8560	30	25,1
ჯამი	75	69	1041	17013	34026	32	11,6

1	2	3	4	5	6	7	8
IV. ჩრდილის ლივა							
1. ჯანაზის რაიონი	27	27	452	5945	11890	26	47,7
2. ჯანაბელის „	22	22	444	5176	10352	23	41,5
3. მგელისციხის „	7	7	83	1342	2684	32	10,7
ჯ ა მ ი	56	56	979	12463	24926	25	8,5
V. ფოცხოვის ლივა							
1. მზარეს რაიონი	35	31	439	5040	10080	22	57,3
2. ჩრდილის	24	18	363	3746	7492	20	12,6
ჯ ა მ ი	59	49	802	8786	17572	21	6
VI. პეტრეს ლივა							
1. პეტრეს რაიონი	3	3	19	466	932	49	—
2. ქაშეთის „	1	—	—	—	—	—	—
ჯ ა მ ი	4	3	19	466	932	49	0,3
VII. დიდი არტანის ლივა							
1. მზარეს რაიონი	48	45	1369	11743	23486	17	36,4
2. ჩრდილის	25	25	738	6591	13182	18	20,4
3. ტყიანი „	60	60	1400	13887	27774	20	43
ჯ ა მ ი	133	130	3507	32221	64442	18	22
VIII. ფანაქის ლივა							
1. ფანაქის რაიონი	32	30	873	6748	13496	15	53,3
2. ქიამხისის	8	5	230	1276	2552	11	10
3. ფანასკერტის „	23	21	822	4633	9266	11	36,6
ჯ ა მ ი	63	56	1925	12687	25314	13	8,6
სულ მთლიანად ჯ ა მ ი	711	633	12633	146144	292288	23	100

ასე, მაგალითად: სულეიმან კანუნის (1520—1566) დროინდელი (გელიბოლუს) ვილაიეთის კანუნ-ნამეს მიხედვით „ორ ღორზე ერთი ახჩა აიღება, ხოლო გასუქებული ღორებიდან თითოზე თითო ახჩა“¹³.

1520 (927) წლის თირპალას კანუნ-ნამეში ჩაწერილია: „ორ ღორზე ერთი ახჩა აიღება, ქაფირების (ქრისტიანების) სახლში გაზრდილ და დაკლულ ღორზე თითო-თითო ახჩა“¹⁴.

1569/70 (977) წლის ამფისას (საბერძნეთი) კანუნ-ნამეს მიხედვით „იმ ღორებზე, რომლებიც მინდორში იკეებებიან ორ ღორზე ერთი ახჩა აიღება. ხოლო იმ ღორებზე, რომელთაც სახლში ასუქებენ და კლავენ ერთ თავზე — ერთი ახჩა“¹⁵.

საფიქრებელია, რომ „გურჯისტანის ვილაიეთშიც“ თითოეულ ღორზე გაწერილი გადასახადი ერთ ახჩაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. სამცხე-საათაბაგოში ღორზე გაწერილი გადასახადი, ჩვენი განგარიშებით, 80959 ახჩას შეადგენდა¹⁶, და სავარაუდებელია, რომ ღორების რაოდენობაც ამდენივე უნდა ყოფილიყო. პროფ. გ. ტივაძის ვარაუდით, ერთ ღორზე გაწერილი გადასახადი 5 ახჩას შეადგენდა. ამის საფუძველზე (81865:5 — 16373) მისი გამოანგარიშებით „დავთრის“ მიხედვით საათაბაგოში 16373 თავი ღორი იყო¹⁷, რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ოსმალეთის იმპერიის არც ერთ კანუნ-ნამეში არ არის ფიქსირებული გადასახადის რაოდენობა. I ღორზე 5 ახჩა და ასეთი დიდი სხვაობა ღორზე გაწერილ გადასახადზე მოსალოდნელი არ არის.

სამცხე-საათაბაგოში, „დავთრის“ მიხედვით, 711 სოფლიდან 684 სოფელი მეღორეობას მისდევდა და სულ 80959 ღორი იყო. ამ რიცხვს თუ დავუმატებთ გოქების სულადობას, მაშინ საერთო მაჩვენებელი ერთი ორად და უფრო მეტად გაიზრდება.

ლიეების მიხედვით ყველაზე მეტი ღორი ახალციხის ლივაში იყო. ამ ლივას 246 სოფლიდან 240 სოფელი მეღორეობას მისდევდა და აქ 29933 ღორი იყო (36,9 %). ღორების სულადობის მიხედვით მეორე ადგილზე დიდი არტაანის ლივა იყო: 135 სოფლიდან 126 სოფელი მეღორეობას მისდევდა და აქ 14671 ღორი იყო (18,1 %). მეღორეობა ფართოდ იყო გავრცელებული ახალქალაქისა და ჩილდირის ლივებში, რომლებ-

¹³ Ö. L. Barkan. Karunlar, s. 230, H. Tuncer. Arazi karunları, s. 475, 496.

¹⁴ იქვე, გვ. 270, გვ. 496.

¹⁵ И. К а б р д а, Законоположение об Амфисе, Восточные источники по истории Юго-Восточной и Центральной Европы, М., 1964, с. 225.

¹⁶ ნ. შენგელას გამოანგარიშებით ღორზე შეწერილი გადასახადი 84480 ახჩას შეადგენდა. იხ. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, ტ. 91, თსუ შპ. 1961, 297.

¹⁷ გ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

შიაც ყველა სოფელი მისდევდა მელორეობას. ახალქალაქის ლივაში 8855 ღორი იყო (11,6 %), ხოლო ჩილდირის ლივაში—7044 (8,7 %).

რაიონების მიხედვით მელორეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო უდეს, აწყურისა და ჭაჭარაქის რაიონებში. უდეს რაიონის ყველა სოფელი მისდევდა მელორეობას და 8278 ღორი ჰყავდათ, აწყურის რაიონის 36 სოფლიდან მხოლოდ ერთ სოფელში არ იყო მელორეობა და 4900 ღორი ჰყავდათ, ხოლო ჭაჭარაქის რაიონის 43 სოფლიდან 41 სოფელს 4030 ღორი ჰყავდა.

სამცხე-საათაბაგოს ყოველ სოფელზე საშუალოდ 100—150 ღორი მოდიოდა, მაგრამ იყო ისეთი სოფლები, სადაც 200, 300, 400 და უფრო მეტი ღორი ჰყავდათ.

„დავთრის მიხედვით ერთ კომლ მოსახლეზე ღორის რაოდენობა შემდეგი იყო: ახალციხის, ახალქალაქისა და ხერთვისის ლივებში ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 9—9 ღორი, ჩილდირისა და ფოცხვის ლივებში 7—7 ღორი. რაიონების მიხედვით ღორის ყველაზე დიდი რაოდენობა მოდიოდა ახალციხის ლივას ქვაბლიანის (14 თავი), ალთუნკალის (13 თავი), აწყურის (11 თავი) რაიონებზე. საშუალოდ ახალციხის საფაშოში ერთ კომლზე მოდიოდა 6—7 თავი ღორი (ცხრ. 11).

ოსმალთა ბატონობის ხანაში თანდათანობით მოსახლეობის გამაჰმადიანების შედეგად მესაქონლეობის ეს დარგი დაქვეითდა და ახალციხის მხარის განთავისუფლების (1829 წ.) დროისათვის, ფაქტიურად, მთლიანად მოშლილი იყო.

3. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი

„დავთარში“ არაა ცნობები მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შესახებ. ჩვენთვის ჭერჭერობით გაურკვეველია, თუ რატომ არ არის „დავთარში“ რეგისტრირებული მსხვილფეხა რქოსანი საქონელზე გაწერილი გადასახადი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როდესაც ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს „შეჰკუეთეს ხარკი... ძროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამეჩზედ ექვსი შაური“¹⁸.

უთუოდ საათაბაგოში მეცხოველეობის ეს დარგიც უნდა ყოფილიყო განვითარებული, რადგან სოფლის მეურნეობის ინტენსიური წარმოება და განსაკუთრებით მარცვლეულის ხვნა-თესვა და ლეწვადობინავება ამითხოვდა გამწევი საქონლის დიდ რაოდენობას. საათაბაგოში იმ დროს ხმარებაში იყო დიდი გუთანი, რომელიც 8—10 წყვილ საქონელს საჭიროებდა. ფართოდ იყო გამოყენებული, აგრეთვე, „ჩილა“ გუთანი, რომელშიც 4—5 უღელი საქონელი იყო შე-

¹⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 726.

ლორის სულადობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარს“ მიხედვით

ლივებისა და რაიონების დასახელება	დასახელებული ტუნტების რაოდენობა	რამდენი სოფელი მისდევდა მეღვრეობას	კომლთა რაოდენობა	შუქრილი გადასა- ხაი ახეგში	რამდენი თავი ლორი იყო	ერთ კომლზე საშუა- ლოდ რამდენი მოდირიდა	ლორების რაოდენ- ობა %
2	2	3	4	5	6	7	8
I. ახალციხის ლივა							
1. შხვარეს რაიონი	18	17	430	2159	2159	5	7,2
2. ჩრდილის	22	21	391	2215	2215	6	7,3
3. უდეს	51	51	703	8278	8278	12	27
4. ქვაბლოანის	7	7	74	1016	1016	14	3,3
5. აწუურის	38	38	437	4900	4900	11	16,3
6. აღთუნყალას	14	14	200	2580	2580	13	8,6
7. ოცხეს	18	17	271	1470	1470	5	4,9
8. ასპინძის	35	35	385	3305	3305	9	11
9. ქაქარაქის	43	41	489	4030	4030	8	13,4
ჯამი	246	241	3380	29933	29933	9	36,6
II. ზერთვისის ლივა							
1. ზერთვისის რაიონი	32	30	541	3160	3160	6	38,1
2. ტყიანი-ჭავჭავთის	35	35	365	4350	4350	12	52,4
3. ბუზმარეთის	8	8	68	780	780	11	9,4
ჯამი	75	73	974	8290	8290	9	10,2
III. ახალქალაქის ლივა							
1. აკეშვირის რაიონი	45	45	605	5450	5450	9	61,5
2. თმოგვის	10	10	150	935	935	6	10,5
3. ნიალისყურის	20	20	286	2470	2470	7	27,8
ჯამი	75	75	1041	8855	8855	9	10,9
IV. ჩრდილის ლივა							
1. ჭანბაზის რაიონი	27	27	452	3330	3330	7	47,2
2. ქანარბელის	22	22	444	3090	3090	7	43,8
3. შველისციხის	7	7	83	624	624	8	3,8
ჯამი	56	56	979	7044	7044	7	8,7

1	2	3	4	5	6	7	8
V. ფოცხოვის ლივა							
1. შვეარეს რაიონი	35	35	439	2801	2801	6	48,1
2. ჩრდილის „	24	23	363	3016	3016	8	51,8
ჯ ა მ ი	59	58	802	5817	5817	7	7,1
VI. პეტრეს ლივა							
1. პეტრეს რაიონი	3	3	19	222	222	12	36,3
2. ქაშვეთის „	1	1	6	388	388	65	63,6
ჯ ა მ ი	4	4	25	610	610	24	0,8
VII. დიდი არტანის ლივა							
1. შვეარეს რაიონი	48	44	1369	5998	5998	4	40,8
2. ჩრდილის	25	23	738	2366	2366	3	16,1
3. ტყიანი „	60	59	1400	6307	6307	5	42,9
ჯ ა მ ი	133	126	3507	14671	14671	4	18,1
VIII. ფანაკის ლივა							
1. ფანაკის რაიონი	32	26	873	2598	2598	3	45,5
2. ქიამხისის	8	8	230	1106	1106	5	19,3
3. ფანასკერტის „	23	20	822	2005	2005	2	35,1
ჯ ა მ ი	63	54	1925	5709	5709	3	7
სულ მთლიანად ჯ ა მ ი	711	687	12633	80959	80959	6—7	100

ბმული¹⁹. რაც უფრო მეტი მუშაპირუტყვი ჰყავდა გლეხს, მით უფრო მეტი მიწის მოხვნა-დამუშავებას შესძლებდა და მეტ მოსავალს მიიღებდა. ამ დებულების დასასაბუთებლად ე. ორჯონიკიძეს მოაქვს მაგალითები XIX ს-ის საქართველოს ისტორიიდან:

1818 წ. გორის მაზრაში მცხოვრებ 3278 საბატონო გლეხს ჰყავდათ სულ 15177 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აქედან 768 კომლს, ანუ საერთო რაოდენობის 23,4 % საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი. 379 კომლს კი ჰყავდა 10 და მეტი სული საქონელი. საერთოდ, მათ მფლობელობაში იყო სულ 4929 სული პირუტყვი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 11,5 %-ის ხელში იყო თავმოყრილი მთელი საქონლის 32,5 %. დანარჩენი 1046 სული პირუტყვი კი 2131 კომლზე იყო განაწილებული. აქედან, როგორც წესი, 1—2 დღიური მიწის მქონე გლეხებს თითო-ორო-ლა პირუტყვი ჰყავდათ, დანარჩენებს კი 4—5, ზოგიერთებს 8—9 სული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ გლეხებს, რომლებსაც 10 და მეტი პირუტყვი ჰყავდათ, მოჰყავდათ წელიწადში 100 და მეტი კოდი პური²⁰.

ასეთივე მდგომარეობა იყო, აგრეთვე კახეთში. 1842 წ. კახეთში 5160 კომლ სახელმწიფო გლეხს ჰყოლია სულ 25776 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, აქედან 368 კომლს, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 45,9 % საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი, 904 კომლს კი ჰყავდა თითოეულს 10 და მეტი სული საქონელი; მათ მფლობელობაში იყო 13352 სული პირუტყვი ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 17,5 %-ის ხელში თავმოყრილი იყო მთელი საქონლის 67,3 % და სწორედ ეს გლეხები იყვნენ მარცვლეულის დიდი რაოდენობით მომყვანი²¹.

მსგავსი ვითარება იყო, აგრეთვე, ახალციხის მაზრაში. 1842 წ. 1302 კომლ სახელმწიფო გლეხს ჰყავდა სულ 8938 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. აქედან 174 კომლს საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი. 410 კომლს კი ჰყავდა თითოეულს 10 და მეტი სული საქონელი. საერთოდ მათ ჰყავდათ 5864 სული პირუტყვი, ანუ კომლთა საერთო რაოდენობის 34,8 %-ის ხელში თავმოყრილი იყო მთელი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 65,6 %, როგორც წესი, ეს გლეხები იყვნენ 100 და მეტი კოდი პურის მომყვანი²².

მოტანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ მარცვლეულის

¹⁹ ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973, გვ. 137, 148 გ. ქალაქი, მემინდერეობა მესხეთ-ქავახეთში, მასალები მესხეთ-ქავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 20.

²⁰ ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმადელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 66, 67.

²¹ იქვე, გვ. 75, 76.

²² იქვე გვ. 82, 83.

დიდი რაოდენობა მოჰყავდათ იმ გლეხებს, რომელთაც 10 და მეტი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავდათ. მათ საშუალოდ წელიწადში 100 კოდი (5 ტ) და უფრო მეტი მარცვლეული მოჰყავდათ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ახალციხის მაზრაში, ჩვენ საკვლევ რაიონში, საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 7 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

„გურჯისტანის დავთრის“ ანალიზიდან ჩვენ მიერ დადგენილია, რომ სამცხე-საათაბაგოში წელიწადში საშუალოდ თითოეულ კომლს მოჰყავდა 5—6 ტ მარცვლეული. მაგრამ იყვნენ ისეთი კომლებიც, რომლებსაც მოჰყავდა 8—10 ტ და უფრო მეტიც. ცხადია ამ რაოდენობის მარცვლეულის მოსაყვანად საჭირო იყო დიდი რაოდენობით მუშაპირუტყვი. ერთ კომლზე საშუალოდ 10—8 სული მსხვილფეხა საქონელი რომ ვიანგარიშოთ, მაშინ სამცხე-საათაბაგოში „დავთრის“ შედგენის დროისათვის („დავთარში“ რეგისტრირებულია 12633 კომლი) 100000—120000 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი უნდა ყოფილიყო²³.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, საათაბაგოში 100000—120000 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი იყო. ლიეებზე მინხედვით მარცვლეულის წლიური მოსავლის შესაბამისად საქონლის სულადობა შემდეგნაირად განაწილება. ახალციხის ლივაში 30000—35000 სული. დიდი არტანის ლივაში — 16000—18000, ახალქალაქის ლივაში — 13000—15000, ხერთვისის ლივაში 12000—14000 და ა. შ.

მესხეთ-ჯავახეთში უპირატესობა ეძლეოდა მუშა პირუტყვს. ძროხები შედარებით ცოტა ჰყავდათ. ადგილობრივი ძროხა პატარა ტანისა იყო და რძეს მცირე რაოდენობით იძლეოდა, მაგრამ მალალხარისხოვან²⁴.

სამცხე-საათაბაგოში რომ დიდად იყო განვითარებული მესაქონლეობა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ „დავთარში“ დიდი რაოდენობითაა რეგისტრირებული საძოვრებზე და ბალახებზე შეწერილი გადასახადები.

საქართველოს ამ კუთხეში საქონელი დიდი რაოდენობით რომ არსებობს, ამას ერთი ხალხური გადმოცემაც ადასტურებს:

ერთხელ მეფე ერეკლე II ლაშქრით ჯავახეთში ჩავიდა და დაინახა მთაზე საქონლის დიდი ჯოგი და ცხვრის ფარა. ბრძანა, რომ ძროხები და ცხვრები ეყიდათ და ჯარისკაცებისათვის სადილი დაემზადებინათ. მეჯოგემ უარი თქვა საქონლის გაყიდვაზე. „მე მეფეს

²³ 1973 წ. მონაცემების მიხედვით მესხეთ-ჯავახეთში 135300 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი იყო. საქართველოს საშხ. ეკონომიური რაიონი, გვ. 106.

²⁴ მ. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობა მესხეთში, მესხეთ-ჯავახეთი, გვ. 42.

არაფერს მიეცედი და თუ გამაბედნიერებს თავისი მობრძანებით ლაშქრით და ჩემს პურ-მარილს იკადრებს, შესაფერისად ვემსახურები“. მეფემ მიიღო მწყემსის პურ-მარილი. მწყემსი, გვარად ზურაბიშვილი, დიდებულად გაუმასპინძლდა მეფეს. ერეკლემ ბრძანა სიგელი დაეწერათ და მწყემსს აზნაურობა უბოძა, მწყემსმა იფიქრა: „ცარიელი აზნაურობა რად მინდა, ეგ მთა რომ ებოძა კიდევ, კარგი იქნებოდაო“ და მეფეს მოახსენა:

„მეფეო მწყემსს ცხოვრება სუყველამ იცის მთა არის, შვილი ათასი ცხვარი მყავს, ექვსი ათასი თხა არის, შვილასი ძროხა მეწველი, ხარი, კამეჩი სხვა არის, მე ესე სარჩოდ მეყოფის, აზნაურობა რა არის!“²⁵

ამ მხარეში პირუტყვის სიმრავლე კიდევ ერთ ხალხურ ლექსშია ასახული:

„გაღმიდან გადმოვესახლე, მე ვარ კიენაძე ბერია,
ცოლ-შვილით გამრავლებულვარ, შვილის-შვილნი მყავს ბევრია,
სამოცი უღელი ხარი მყავს, სამოცსაც მოზვრებს ველა,
თხა-ცხვარს-ძროხა-კამეჩსა ჰყავთ მთა-ბართა მომწველია“.²⁶

ბუნებრივია, რომ ამ ფოლკლორულ ჩანახატში რიცხვები გაზვიადებულია, მაგრამ რეალურ ვითარებას არაა მოკლებული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხარისათვის დამახასიათებელი იყო განვითარებული მესაქონლეობა.

მეცხენეობა. სამცხე-საათაბაგოში მეცხენეობასაც მისდევდნენ. მართალია, აქ ეს დარგი დიდად არ იყო დაწინაურებული, მაგრამ ადგილობრივ მოთხოვნილებებს საესეებით აკმაყოფილებდა. ცხენებს იყენებდნენ ომის დროს და ტვირთის გადასატანად, გამწევ ძალადაც. ომის დროს ადგილობრივ ფეოდალებს ლაშქრობაში მონაწილეობა ევალებოდათ. ამასთანავე, იმის მიხედვით, თუ ფეოდალს ყოველწლიურად რამდენი შემოსავალი ჰქონდა, ყოველ 5000 ახჩა შემოსავალზე ერთი შეიარაღებული მხედარი უნდა გამოეყვანა. ომის დროს ახალციხის ფაშებს რამდენიმე ათასიანი ლაშქარი გამოჰყავდათ. ოსმალეთში, როგორც წესი, ფეოდალური ლაშქარი ცხენოსნებისაგან შესდგებოდა.

„დავთარი“ არ შეიცავს ცნობებს საქართველოს ამ რეგიონში ცხენების რაოდენობის დასადგენად. 1886 წლის აღწერის მიხედვით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში 11693 ცხენია რეგისტრირე-

²⁵ ო. შ. ი. ხ. ჩიქოვანი, ექვთიმე თაყაიშვილი და ხალხური სიტყვიერება. კრ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 1966, გვ. 157.

²⁶ ძველი საქართველო, ტ. III, თბ., 1913—1914 წწ., გვ. 27.

ბული²⁷. საფიქრებელია, რომ „დავთრის“ შედგენის დროისათვის აქ ცხენების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, სულ მცირე 15000 თავი.

მეცხენეობით განთქმული სოფლები იყო კუმურდი, აზაერეთი, ხანჩალი, ნიალა, ვალე და სხვ.

ცხენებთან ერთად აქ ტვირთის გადასატანად გამოიყენებოდა აგრეთვე, სახედარიც.

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას დიდი რაოდენობით ჰყავდა შინაური ფრინველები: ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი. ზოგიერთ სოფელში იმდენი ინდაური და ბატი იზრდებოდა, რომ ნახევარი ხალხი საზამთროდ დაყაურმებული და გამხმარი ბატის ჩაჩხით იკვებებოდა და იმოდენა ბატის ბუმბული უდგებოდათ, რომ მათი დოშაკლებები და ბალიშები განსაკუთრებული ბუმბულისა განთქმული იყო²⁸. დიდი რაოდენობით ჰქონდათ კვერცხი და სხვა.

ამრიგად, „დავთრის“ ანალიზიდან და სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობა საკმაოდ განვითარებული იყო, მაგრამ ოსმალთა ბატონობის შედეგად ეს კუთხე თანდათანობით დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა.

1828—1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, ახალციხისა და ახალქალაქის ოლქების ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, აქ თანდათანობით განვითარდა მეცხოველეობა.

1886 წლის აღწერის მიხედვით ახალციხისა და ახალქალაქის სახაზინო გლეხებს შემდეგი რაოდენობით ყავდათ საქონელი:

საქონლის სულადობა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში²⁹

მ ა ზ რ ე ბ ის და ს ა ხ ე ლ ე ბ ა	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი			წერილფეხა რქოსანი საქონელი: ცხვარი და თხა	ცხენი	ვირი	ბეწი
	მუშა საქონელი	ფული	ხბი				
1. ახალციხის მაზრა	6833	5478	5518	28222	1165	759	119
2. ახალქალაქის	16072	1595	24019	152310	10528	994	517
სულ	22905	21463	29537	180539	11693	1753	636

²⁷ X. A. Вермишев, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

²⁸ ვ. კოპტონაშვილი, ახალციხის მაზრის ქართველების შესახებ, „ივერია“, 1894, № 22.

²⁹ X. A. Вермишев, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

მოტანილი ცხრილიდან ირკვევა, რომ ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში იყო 73905 თავი მსხვილფეხა და 180539 თავი წვრილფეხა რქოსანი საქონელი, სულ 268519, აღსანიშნავია, რომ ახალქალაქის მაზრაში წვრილფეხა საქონელი 5-ჯერ, ხოლო წვრილფეხა რქოსანი საქონელი 2-ჯერ აღემატებოდა ახალციხის მაზრისას. როგორც ჩანს, ახალქალაქის მაზრაში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იყო მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საქონლის სულაღობა პროცენტებში³⁰

მაზრების დასახელება	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი			წვრილფეხა რქოსანი საქონელი: ცხელი და თბა	ცხენი	ვირი	ღარი
	მუშა საქონელი	ფური	ხბე				
1. ახალციხის მაზრა	14,21	11,39	11,47	58,69	2,42	1,58	0,24
2. ახალქალაქის	7,29	7,25	10,90	69,10	4,78	6,45	0,23

ცხრილიდან ჩანს, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში წვრილფეხა რქოსანი საქონელი შეადგენდა 65 %, მსხვილფეხა—30 %, დადანარჩენი კი—5 %, მართალია, სულაღობის მხრივ წამყვანი ადგილი წვრილფეხა საქონელს ეკავა, მაგრამ თავისი ხვედრითი წონით არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილფეხა რქოსან საქონელს. ცხენები და სახეივრები შედარებით ცოტა ჰყავდათ. რაც შეეხება მელორეობას, ეს დარგოსმაღლა ბატონობის შედეგად, თითქმის მთლიანად მოიხსო.

საქონლის სულაღობა ერთ კომლსა და კაცზე³¹

მაზრების დასახელება	ერთ კომლზე			ორივე სქესის ერთ სულზე		
	წვრილფეხა რქოსანი საქონელი	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	ცხენი და ვირი	წვრილფეხა რქოსანი საქონელი	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	ცხენი და ვირი
1. ახალციხის მაზრა	16,7	10	1,1	1	1,1	0,1
2. ახალქალაქის მაზრა	35	12,6	2,6	3,9	1,4	0,3

³⁰ X. A. Вермишев, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

³¹ იქვე, გვ. 168.

მოტანილი ცხრილიდან ირკვევა, რომ ახალციხის მაზრებში ერთ კომლზე მოდიოდა 16 თავი ცხვარი და 10 თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ხოლო ახალქალაქის მაზრაში კი 35 თავი ცხვარი და 12 თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. საშუალოდ კი ორივე მაზრაში ერთ კომლზე მოდიოდა 25—26 თავი წვრილფეხა და 10—12 თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

თუ ამ მონაცემებს შევუდარებთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სათანადო ადგილებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: ახალქალაქის ლივაში, საშუალოდ, ერთ კომლზე მოდიოდა 32 თავი ცხვარი, ახალციხის ლივაში — 25 თავი, საშუალოდ კი ორივე ლივაში ერთ კომლზე მოდიოდა 27 თავი ცხვარი, ე. ი. ოდნავ მეტი, ვიდრე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, მაგრამ „დავთრის“ მიხედვით ერთ კომლზე ცხვრის ყველაზე დიდი რაოდენობა მოდიოდა ხერთვისის ლივაზე (38 თავი ცხვარი), აქედან ამ ლივას ბუზმარეთის რაიონში ერთ კომლს ჰყავდა საშუალოდ 56 თავი ცხვარი.

რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან საქონელს, ჩვენი გამოანგარიშებით, „დავთრის“ მიხედვით ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 8—10 თავი მსხვილფეხა საქონელი, დაახლოებით იმდენი, რამდენიც იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ამ წყაროს მიხედვით საათაბაგოში მისდევდნენ მელოროეობასაც, სულ ამ რეგიონში 80 000 თავი ღორი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მელოროეობა ფაქტიურად მოშლილი იყო და მისი აღდგენა ძალზე ნელი ტემპებით მიმდინარეობდა.

ამრიგად, ოსმალთა ბატონობისაგან ახალციხისა და ახალქალაქის მხარეების განთავისუფლების შემდეგ აქ თანდათანობით მიმდინარეობდა მეცხოველეობის აღდგენა-განვითარება.

მეთევზეობა, მეფუტკრეობა

1. მეთევზეობა

სამცხე-საათაბაგოს ტბებსა და მდინარეებში. განსაკუთრებით მესხეთ-ჭავჭავთში მრავლად იყო თევზი: კალმახი, ზუთხი, ორაგული, ლოქო, მურწა, ხრამული და სხვ.

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოში მეთევზეობასთან დაკავშირებით წერს: „ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წურილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამა შინა არცა კორჩხიბი“¹, სამცხის აღწერისას კი შენიშნავს: „თევზნი თენიერ ზუთხისა, მრავალნი და გემოანნი ყოველნი“². ხოლო ჭავჭავთის დახასიათებისას წერს: „არს ტბა კარწახისა, დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტესად კალმახითა, ფრიად გემოანითა... არს ტბა სალამოსი, დიდი და აღვსილი თევზითა გემოანითა ამისათვის, რამეთუ არს ანკარა და ქვიანი“³.

მესხეთ-ჭავჭავთში რომ ბლომად იყო თევზი, და განსაკუთრებით კალმახი, ამას ერთი ხალხური ლექსიც ადასტურებს:

„შე ჭავხეთს რა მიშავდა,

კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავთა.“

თევზი აქ ისეთი დიდი რაოდენობით იყო. რომ თევზჭერას რეწვის ხასიათი ჰქონდა, რაც დასტურდება „დავთრის“ მონაცემებით. „დავთრიდან“ ირკვევა, რომ მოსახლეობას, რომელიც მეთევზეობას მისდევდა, შეწერილი ჰქონდა გადასახადი „თევზის უშური“.

¹ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 660.

² იქვე, გვ. 668, 669.

³ იქვე.

მეთევზეობა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ტბებზე. ასე, მაგალითად, ჩილდირის ტბაზე თევზაობისათვის გაწერილი გადასახადი 30000 ახჩას შეადგენდა, ტაბაწყურის ტბაზე — 10000 ახჩას, ფარვანის ტბაზე — 10000 ახჩას, სალამოს ტბაზე, აგრეთვე, — 10000 ახჩას და სხვა.

სულ თევზზე შეწერილი წლიური გადასახადი „დავთრის“ მიხედვით 77583 ახჩას შეადგენდა. „თევზის უშური“ საკმაოდ დიდი თანხა იყო. იგი დაახლოებით 3000 ახჩით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ღორზე შეწერილი გადასახადი. მეღორეობა კი სამცხე-საათაბაგოში, როგორც ზემოთ ითქვა, საკმაოდ გავრცელებული იყო.

„დავთრის“ მიხედვით ვერ ხერხდება დადგენა იმისა, თუ წელიწადში საშუალოდ რამდენ კილოგრამ თევზს იჭერდნენ.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ლ. ზაგურსკის ცნობა: მისი გადმოცემით XIX ს-ის 70-იან წლებში ახალციხის მაზრის ტბებსა და მდინარეებში ყოველწლიურად იჭერდნენ და გაჰქონდათ გასაყიდად 700 ფუთი (- 11200 კგ) კალმაჩი და 2000 ფუთი (32000 კგ) ხრამული, მურწა და ლოქო, მეთევზეობას 500 კაცი მისდევდა⁴.

როგორც ვხედავთ, მესხეთ-ჯავახეთის ტბებსა და მდინარეებზე მეთევზეობას მისდევდნენ და თევზსაც საქმარისი რაოდენობით იჭერდნენ და ნაწილი სხვაგან გაჰქონდათ გასაყიდად.

მესხეთში მდინარეებზე ყველაზე საუკეთესო მეთევზეებად მეტრეები ითვლებოდნენ. მათ ყველაზე უკეთ იცოდნენ სათევზაოდ ვარგისი, საუკეთესო ადგილების შერჩევა: სად უნდა „დაეყრიათ ბადე“, გაეკეთებიათ „ოჩხი“, დაედგათ „კოკოზა“, „ფაცური“ და ა. შ. მეთევზეობაში არანაკლებ დახელოვნებული იყო უშუალოდ მტკვრისპირას განლაგებული სოფლების მოსახლეობა. მესხეთში კარგ მებადურებად ითვლებოდნენ აწყურელები, აგარელები, საყუნეთელები, წნისელები; ახალციხელები, მინაძელები, ტობელები, ხერთვისელები⁵.

2. მეფუტკრეობა

საქართველოში ძველი დროიდანვე მეფუტკრეობას დიდი ყურადღება ექცეოდა და სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მეფუტკრეობას მისდევდნენ ქართლსა და კახეთში. განსაკუთრებით კი იგი განვითარებული იყო დასავლეთ საქართველოში.

⁴ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., с. 67.

⁵ თ. ჩიქოვანი, მესხეთი, გვ. 113—118.

არქანჯელი ლამბერტის ცნობით „მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო თაფლი კოლხიდისა არის“⁶. მისი დაკვირვებით, ჩვეულებრივი თაფლის გარდა აქ იყო განსაკუთრებული თაფლი, რომლის მსგავსი არსად სხვაგან, გარდა კოლხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნებისა არ მოიძებნება: „იგი ფრიად თეთრია და მავარი, როგორც შაქარი, ისე რომ თუ ხელით მოტეხავთ რომელსამე მარცვალს, თაფლი ხელს როდი ეკერის და გატეხილ ადგილზე გამოჩნდება თეთრი და მეტად რბილი ცვილი“⁷.

სამეგრელოს თაფლს თურქი ვაჭრები სტამბოლის ბაზარზე ჰყიდდნენ და დიდ მოგებას ნახულობდნენ⁸. დასავლეთ საქართველოს თაფლს მალალ შეფასებას აძლევდა ბატონიშვილი ვახუშტი. აქ თაფლი და ცვილი მრავალია, აქაური თაფლი არის კეთილი, „რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით, ვითარცა შაქარი რომელსა უწოდებენ კიპრუქსა“⁹.

მეფუტკრეობა დიდად იყო დაწინაურებული, აგრეთვე, სამცხე-საათაბაგოშიაც. აქ მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი კლიმატური და მდიდარი საკვები ბაზა ხეხილისა და მცენარეთა ფაუნის სახით¹⁰.

სამცხე-საათაბაგოში მეფუტკრეობასთან დაკავშირებით ვახუშტი წერდა: „ფუტკარნი მრავალნი, და თაფლნი კარგი და მრავალნი“¹¹.

საქართველოში ამ მხარეში რომ „უხეად იყო თაფლი“, ეს შეუძინეველი არ დარჩა ფრანგ მოგზაურს ე. შარდენს¹².

თაფლთან ერთად დიდი რაოდენობით იყო ცვილი; მისგან ამზადებდნენ სანთელს და სხვა. სანთელსა და ცვილს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხმარობდნენ ეკლესია-მონასტრებში. ასე, მაგალითად, XIII ს-ის პირველ ნახევარში ალის მონასტრისათვის შეწირულობის ერთ-ერთი საბუთში სწერია: „აჲას ხუთასისა თეთრისაგან სამასი თეთრი მოვაცსენე მონასტერსა და ამა სამასისა თეთრისაგან ასისა თეთრისა პურსავე ზედა მონასტერი გაიყოფოდეს, და ორას სამოცსა თეთრსა ცვილს მიიღებდენ მოძღვარი და დეკანოზი და კელაპტართა შეიქმოდენ წინა დასანთებლად, და ორმოცისა თეთრისასა სხუასა ცვილსა იყიდდენ და მას აჯუსებად გაიყოფოდეს მონას-

⁶ არქანჯელი ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 91, 170.

⁷ იქვე, გვ. 170.

⁸ იქვე, გვ. 194, 195.

⁹ ვახუშტი, აღწერა... გვ. 745.

¹⁰ ი. სხირტლაძე, ფუტკრის მცენარეთა ფაუნის შესწავლასთვის. საქ. მცენ. აკადემიის მოამბე, 1967, ტ. 46, № 1, გვ. 21 — 222.

¹¹ ვახუშტი, აღწერა... გვ. 745.

¹² ე. შარდენი, მოგზაურობა..., გვ. 270.

ტერი სანთლად¹³. მსგავსი მაგალითი სხვაც შეიძლება დავასახელოთ¹⁴.

სამცხე-საათაბაგოში მეფუტკრეობის შესასწავლად მეტად ძვირფასი წყაროა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. „დავთარი“ რეგისტრირებული 711 სოფლიდან მეფუტკრეობას მისდევდა 702 სოფელი, ე. ი. მხოლოდ 9 სოფელში არ იყო ეს დარგი, რაც საქართველოს ამ კუთხეში მეფუტკრეობის განვითარებაზე მეტყველებს.

ფუტკარზე გაწერილი გადასახადის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ საშუალოდ წელიწადში საათაბაგოში რამდენ ტონა თაფლს ამზადებდნენ.

„გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში“ ფუტკარზე გაწერილი გადასახადის შესახებ ჩაწერილია: „გამოსაღები ფუტკარზე. თითო სკის თაფლზე ყუშურის ნაცვლად აიღება ორ-ორი ახჩა. ვილაიეთის აღწერის შემდეგ გაჩენილი ფუტკრის, ცხვრის, ვენახისა და ბაღის უშური და გამოსაღები თიმარის მფლობელს ეკუთვნის“¹⁵.

ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ვილაიეთებში (პროვინციებში) ფუტკარზე გაწერილი გადასახადი სხვადასხვა ოდენობისა იყო. ასე, მაგალითად, ზოგ ვილაიეთში ორ სკამზე 1 ახჩას იხდიდნენ, სხვაგან ერთ სკაზე — ორ ახჩას, ზოგიერთებში კი ერთ ახჩას — ერთ სკაზე¹⁶.

ჩანს, ფუტკარზე გაწერილი გადასახადი თაფლის მოსაგებად იყო დამოკიდებული. ამასთან დაკავშირებით 1592 წ. არზრუმის კანუნ-ნამეში ნათქვამია: „გამოსაღები ფუტკარზე კარგ სკაზე ორი ახჩა უნდა აიღონ და ცუდ სკაზე — ერთი ახჩა“¹⁷.

სკაზე შეწერილ გადასახადს იხდიდნენ 19 ივლისს, ზაფხულის ყველაზე ცხელი დღეების პირველ დღეს¹⁸.

ჩვენი გამოანგარიშებით, „დავთარის“ მიხედვით, მეფუტკრეობაზე გაწერილი გადასახადი 91576 ახჩას შეადგენდა. თუ გვინდა გავიგოთ სამცხე-საათაბაგოში რამდენი სკა იყო, მაშინ სკაზე გადასახადის ჯამი უნდა გავყოთ ორზე (ერთ სკაზე ორი ახჩა იყო შეწერილი) და მივიღებთ სკების საერთო რაოდენობას $91576:2=45788$, ე. ი. „დავთარის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოში 45788 სკა იყო.

„დავთარიდან“ ირკვევა, რომ მეფუტკრეობა განსაკუთრებით ფარ-

¹³ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.), გვ. 31.

¹⁴ იქვე, გვ. 32, 39, 40.

¹⁵ დავთარი, წ. 2, გვ. 3.

¹⁶ Книга законов султана Селима I, с. 55.

¹⁷ ც. აბულაძე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წ. კანუნ-ნამე, საქ. მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, თბ., 1961, გვ. 74; იხ. აგრეთვე (J. L. Barkan, Kanunlar, s. 68.

¹⁸ O. L. Barkan, Kanunlar, s. 68.

თოდ იყო გავრცელებული ახალციხის ლივაში. ამ ლივის ყველა (246) სოფელი მისდევდა მეფუტკრეობას, სულ 16400 სკა იყო და ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 4,8 სკა. სკების რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზე დიდი არტაანის ლივა იმყოფებოდა, აქ იყო 8705 — სკა, მაგრამ კომლზე საშუალოდ 2,4 სკა მოდიოდა, ლივებს შორის ერთ კომლზე ყველაზე დიდი რაოდენობით სკები ხერთვისის ლივაში მოდიოდა — 5 სკა, ხოლო ყველაზე მცირე ფანაქის ლივაში — 2 სკა.

რაიონებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით სკები ახალციხის ლივას ქვაბლიანის რაიონზე მოდიოდა — 8 სკა. ხერთვისის ლივას ხერთვისის რაიონზე — 7,3 სკა, ამავე ლივას ტყიან-ჭაბახეთის რაიონზე — 6,6, ახალციხის ლივას ალთუნკალას (ოქროსციხის) რაიონზე 6,4 სკა და სხვ. საშუალოდ თითოეულ კომლს 3—4 სკა ფუტკარი ჰყავდა (ცხრ.12).

საშუალოდ ყოველ სოფელში 50—80 სკა იდგა. მაგრამ იყო ისეთი სოფლები, სადაც მეფუტკრეობა ძალზე დაწინაურებული იყო. ასე, მაგალითად დიდი არტაანის მზვარეს რაიონის სოფ. ანბარაკში 650 სკა იყო და ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 8,4 სკა, ახალციხის ლივას ქაჭრაქის რაიონის სოფელ ულავერში — 325 სკა და ერთ კომლზე — 11 სკა, ახალქალაქის ლივას აკშეპირის რაიონის სოფ. ოკამში — 275 სკა და ერთ კომლზე — 13,7 სკა და სხვა.

„დავთრის“ მონაცემები აშკარად მეტყველებენ, თუ რაოდენ ინტენსიურად იყო განვითარებული აქ მეფუტკრეობა.

ჩვენ არ ვიცით „დავთრის“ შედგენის დროს საშუალოდ თითო სკა წელიწადში რამდენ კგ თაფლს იძლეოდა. დღეს კარგი სკიდან 40—50 კგ თაფლს ამზადებენ. რა თქმა უნდა, იმ დროისათვის თაფლის ასეთი მოსავალი გადაჭარბებულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ „დავთრის“ შედგენის დროს წელიწადში ერთ სკიდან საშუალოდ 15 კგ თაფლს იღებდნენ.

ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ „დავთრის“ მიხედვით „გურჯისტანის ვილაიეთში“ წელიწადში რამდენ კგ თაფლს ამზადებდნენ. $45788 \times 15 = 686820$ კგ. ე. ი. სამცხე-საათაბაგოში ყოველწლიურად საშუალოდ ამზადებდნენ 600—700 ათას კგ თაფლს.

ლივებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით თაფლს ახალციხის ლივაში ამზადებდნენ—246000 კგ, მთელი მოსავლის 35,8 %, დიდი არტაანის ლივაში—130575 კგ, 19 %, ახალქალაქის ლივაში—75735 კგ, 11 %, ხერთვისის ლივაში—73155 კგ, 10,6%.

საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 54 კგ თაფლი. ეს მონაცემები გაცილებით უფრო მაღალი იქნება, თუ ცალკეული რაიონების მიხედვით ვიანგარიშებთ (ცხრილი 12).

მულტიკრება „გურჯისტანის ვილიეთის დიდი ლავთრის“ მიხედვით

ლევებისა და რაიონების დასახელება	რამდენი სოფელი იყო	რამდენ სოფელში მისდევნენ მულტი- კრებას	რამდენ ახმა გ.ღა- სახდის იხდილენ სკაზე	რამდენი სკა ქონდათ	რამდენ კვ.თაელს ამხდებდნენ	კომლა რაოდენობა	ერთ კომლზე რამდენი სკა მოდიოდა საშუალო	%
2	2	3	4	5	6	7	8	9
I. ახალციხის ლივა								
1. შხვარეს რაიონი	18	18	2699	1350	20250	430	3,1	—
2. ჩრდილის	22	22	2610	1305	19575	391	3,3	—
3. უღეს	51	50	8245	4122	61830	703	5,8	—
4. ქვაბლიანის	7	7	1210	605	3075	74	8,1	—
5. აწყურის	38	38	4556	2328	34920	437	5,3	—
6. აღუნჯალას	14	14	2594	1297	19455	200	6,4	—
7. ოცხეს	18	18	2115	1062	15930	271	3,9	—
8. ასინის	35	35	3385	1692	25380	385	4,3	—
9. ჭაქარაქის	43	43	5277	2638	39570	489	5,3	—
ჯამი	246	245	32801	16399	246000	3380	4,8	35,8
II. ზერთვისის ლივა								
1. ზერთვისის რაიონი	32	32	3460	1730	25950	541	3,1	—
2. ტყიანი-ჯავახეთის	35	35	5384	2692	40380	365	7,3	—
3. ბუზმართის	8	8	910	455	6825	68	6,6	—
ჯამი	75	75	9754	4877	73155	974	5	10,6
III. ახალქალაქი ლივა								
1. აყშვირის რაიონი	45	45	6478	3239	48585	605	5,3	—
2. თპოვეის	10	10	1260	630	9450	150	4,2	—
3. ნიალისურის	20	20	2360	1180	17700	286	4,1	—
ჯამი	75	75	10098	5045	75735	1041	4,8	11
IV. ჩრდილოს ლივა								
1. ჭანბაზის რაიონი	27	27	3460	1730	25950	452	3,8	—
2. ქანარბელის	22	22	3036	1518	22770	444	3,4	—
3. მგელციხის	7	7	666	333	4995	83	4	—
ჯამი	56	56	7162	3581	52715	979	3,6	7,8

1	2	3	4	5	6	7	8	9
V. ფოცხოვის ლივა								
1. შზეარეს რაიონი	35	35	2950	1475	22125	439	3,3	—
2. ჩრდილის „	24	24	2744	1372	20580	463	2,9	—
ჯ ა მ ი	59	59	5694	2847	42705	802	3,5	6,2
VI. პეტრეს ლივა								
1. პეტრეს რაიონი	3	3	270	135	2025	16	8,4	—
2. ქაშვეთის „	1	1	350	175	2625	6	20	—
ჯ ა მ ი	4	4	620	310	4650	25	12,4	0,6
VII. დიდი არტანის ლივა								
1. შზეარეს რაიონი	48	48	7280	3640	54600	1369	9,6	—
2. ჩრდილის	25	24	3190	1595	23925	738	2,1	—
3. ტყიანი „	60	60	6940	3270	52050	1400	2,4	—
ჯ ა მ ი	133	132	17410	8705	130575	3507	2,4	19
VIII. თანაკის ლივა								
1. თანაკის რაიონი	32	27	3600	1800	27000	873	2	—
2. ქიაშხისის	8	8	1494	747	11205	220	3,3	—
3. თანასკერტის „	23	21	2924	1471	22065	822	1,7	—
ჯ ა მ ი	63	56	8036	4018	60270	1915	2	8,7
სულ მთლიანად ჯ ა მ ი	711	702	91576	45788	686820	12633	3,6	100

„დავთრიდან“ არ ჩანს იმ დროს თუ რა ღირდა ერთი კილოგრამი თაფლი.

1585/6 წელს სტამბოლში 1 კანტარი თაფლი ღირდა 401,1 ახჩა¹⁹. ერთი კანტარი 56,5 კგ²⁰, ე. ი. ერთი კილოგრამი თაფლი ღირდა $(401,1 : 56,5 = 7)$ 7 ახჩა.

ცნობილია, რომ სტამბოლში ფასები პროდუქტებზე გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე პროვინციაში. ამიტომ სავარაუდებელია, რომ სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) ერთი კილოგრამი თაფლი ღირდა 3—4 ახჩა. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ სამცხე-საათაბაგოში თაფლის პროდუქციის ღირებულება წელიწადში საშუალოდ 3 მლნ ახჩას შეადგენდა.

თაფლთან ერთად სკიდან იღებდნენ ცვილს. თუ ერთ სკაზე საშუალოდ 1—2 კგ ცვილს ვიანგარიშებთ, მაშინ გამოვა, რომ სამცხე-საათაბაგოში წელიწადში საშუალოდ 50—60 ათასი კგ ცვილი მზადდებოდა. ცვილიდან ამზადებდნენ სანთელს, ხდიდნენ არაყს. თაფლსა და ცვილს იყენებდნენ, აგრეთვე, ხალხურ მედიცინაში და სხვა.

ამრიგად „დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მეფუტკრეობა დიდად იყო განვითარებული და იგი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დაწინაურებული დარგი იყო.

¹⁹ Ö. L. Barkan, *Türkiy' de fiyat hareketleri...* s. 607, 311.

²⁰ В. Хиниц, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 24.

ძვეენახეობა-მეხილეობა-მეიჭილეობა

საქართველოში მევენახეობა-მეხილეობა-მებოსტნეობა ფართოდ იყო გავრცელებული, „ქართველი კაცი უღვინოდ, უხილოდ, უმწვანლოდ პურს არ ჰკამდა. ღვინო, ხილი, მწვანელი მისთვის ფუფუნებისა და განცხრომის საშუალებას კი არა, არამედ ყოველდღიური ჰამაკების, ყოფა-ცხოვრების ჩვეულებრივ პროდუქტს წარმოადგენდა“¹.

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მეხილეობას ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ჭერ კიდევ VI ს-ში ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერდა: „მესხეთში, ამ თემის მთაგორიანობისდა მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მიწისმომქმედთ ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილ-ნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ“².

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მეხილეობა-მებოსტნეობას ეახუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს: „ვენახი, ხილნი... არიან მრავლად და კეთილნი, არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი“³.

შემტილეობა და მებაღეობა, ისევე როგორც მევენახეობა, მიწათმომქმედისაგან გეგმიან მუშაობას თხოულობდა: ბოსტნეული და ხეხილი, ისევე როგორც ვაზი, უნდა სათანადოდ და გარკვეულ რიგზე ყოფილიყო და საჩრდილობელი და დასასვენებელი ადგილები გაეკეთებინათ და მოეწყოთ. გარკვეული გეგმის გარეშე, რა თქმა უნდა, ამის განხორციელება არ შეიძლებოდა⁴.

ქართველ გლეხს საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ჰქონდა ბალ-ვენახებისა და ბაღების გაშენებისა და მოვლა-პატრონობის

¹ დ. გვირიტიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVIII სს.), თბ., 1965, გვ. 14.

² ციტირებულია ივ. ჭავჭავაძის მიერ, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნ. II, გვ. 110;

³ ვახუშტი, აღწერა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 660, 668.

⁴ ივ. ჭავჭავაძის მიერ, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნ. II, გვ. 11.

წესები. სამცხეში მევენახეობა-მებაღეობა შეხამებული იყო რელიეფურ და კლიმატურ პირობებთან. ბალ-ვენახები უმთავრესად გაშენებული იყო მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების (მდ. ქვაბლიანი, მდ. ფოცხოვი, მდ. ულავერი, ჭაყის წყალი და სხვ.) გასწვრივ მდებარე მთის კალთებსა და ტერასებზე. ირიგაციას ამ მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ მორწყვის პირობებში იყო შესაძლებელი აქ მაღალი მოსავლის მიღება. სარწყავ მიწებზე გაშენებული იყო ბალ-ვენახები, ბოსტნები. მთავორიანობისა და მიწის სიმცირის გამო აქ დიდი ყურადღება ექცეოდა ტერასული სისტემის დანერგვას და მასზე ბალ-ვენახების გაშენებას.

ქართველი მიწისმომქმედი სიძნელესა და დიდ შრომას არ შეშინებია მემტრელობა-მევენახეობის ფართობის გასაღიდებლად, მისი შრომა მაინც გამარჯვებით დამთავრებულა იქაც — კი, სადაც ბუნებრივი დაბრკოლებების წყალობით მუშაობა ჩვეულებრივი წესით შეუძლებელი იყო „ვენახი ქირითა და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“⁵.

სამცხე-საათაბაგოში ტერასებისა და საირიგაციო სისტემის მშენებლობა დიდ მატერიალურ სახსრებსა და დაუღალავ შრომას მოითხოვდა. ტიტანური შრომის შედეგად აქ მოწყობილი ტერასული მეურნეობა⁶ და ფართოდ გავრცელებული საირიგაციო სისტემა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის. დ. ბაქრაძემ ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ შენიშნა: „ოლთისის ოლქში მოგზაურის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არხების შესაწინააღმდეგო სისტემა, რომელიც უეჭველად შემონახულია შორეული წარსულიდან. არხები აქ დიდ მანძილზეა გაყვანილი. ისინი ჰკვეთენ ყველაზე უფრო მაღალი კედლებისა და მთების ფერდობებს, იყოფიან მეორეხარისხოვანი არხების მრავალ შტოებად, მიედინებიან ხეების გრძელ ღარებში, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე, წყლის ამწვევი მანქანებით ხელახლა ადიან სიმაღლეზე და ქმნიან ახალ არხებს. ამგვარი არხები და ბალები 1879 წელს ვნახე ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგში, განსაკუთრებით კი იმერხევში, რომელიც ბათუმს საუცხოო ყურძნით და ხილით ამარაგებს“⁷.

ქართველი გლეხის დაუშრეტელი გარჯის შედეგად მთა-გორიანი და კლდოვანი მხარე ბალნარად იყო ქცეული, ასე, მაგალითად, მდი-

⁵ იქვე, გვ. 135.

⁶ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, დასახ. ნაშრომი, გვ. 135, 136; ბერიაშვილი, მესხეთს ტერასული მეურნეობის ზოგიერთი საკითხისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 32.

⁷ Д. З. Бакрадзе, Историко-археологический очерк Карской области, ИКОИРГО. VII, № 1, Тф., 1881, с. 196.

ნარე მტკერის გასწვრივ სოფ. საროს, ხერთვისისა და ხიზაბავრის ფერ-
ღობებზე ტერასები 50 სართულს აღწევდა და 200 მეტრის სიმაღლეზე
იყო აღმართული⁸.

„ადამიანი განცვიფრდება ხერთვისის ბალებს რომ ნახავს, ბალები
კლდე-კლდე მიდიან და გარეგანი სახით ძველ ბერძენთა ამფითეატრს
წააგავენ“⁹. მართლაც, რა დიდებული და თვალწარმტაცი სანახავი იქ-
ნებოდა ეს მხარე თავისი აღორძინების ხანაში.

მოგზაურები მოხიბლული იყვნენ ამ მხარის ბალ-ვენახებით.
ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც XVII ს-ის
40-იან წლებში ახალციხის საფაშოში (სამცხე-საათაბაგოში) იმო-
გზაურა, აწყურის შესახებ წერს: „თვალწარმტაცი ვენახები და ბა-
ლები ბევრია, ხოლო თორთუმი სამოთხის ბალივით შემკულია... ყურ-
ძენი, მსხალი და ლალისფერი ატამი სანაქებოა“¹⁰.

ცნობილი ფრანგი ნეგოციანტი და მოგზაური ჟან შარდენი, რო-
მელმაც 1672 წ. მესხეთი მოინახულა, აღფრთოვანებული იყო ამ ქვე-
ყნის დოვლათითა და სტუმარმასპინძლობით: „ჩვენ უხვად გვაძლევ-
დნენ ქათმებს, კვერცხს, ბოსტნეულს. ღვინო, პური და ხილი ბლომად
გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავის წილად დიდი დოქი
ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა. ჩემ-
გან ფულს არ იღებდნენ და ჩემი მეგზურიც არ მაძლევდა ნებას
მადლობა რაიმე საჩუქრით გადამეხადა“¹¹.

1834 წ. მესხეთი მოინახულა ფრანგმა მეცნიერმა დიუბუა დე
მონპერემ. „ძველ დროში, მოგვიტხრობს იგი, მთელი ეს მხარე აყუა-
ვებული იყო. ზელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა. თვით
იმ კლდე-ღრეებში, სადაც კი ადამიანს ხელი მიუწვდებოდა, გა-
ჭრილი იყო არხები, რომელთაც ახლაც განცვიფრებაში მოჰყავხართ.
ეს ადგილები დიდროვანის ქვის ზღუდეებთ კიბე-კიბე იყვნენ შე-
ჭრილნი, როგორც ყენევაში და ნეშტატში და შემკული მრავალი ვე-
ნახითა და ბალით“¹².

1872 წ. ამ მხარეს ეწვია ლ. ზაგურსკი და თავისი აღტაცება
შემდეგნაირად გაძოხატა: „რა სისუფთავეა ამ ბალებში! ბუნარია

⁸ შ. შიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების
პერსპექტივები მესხეთში, თბ., 1958, გვ. 18.

⁹ ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გორი, 1914, გვ. 160.

¹⁰ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 237, 303.

¹¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყანაში (ცნო-
ბები საქართველოს შესახებ), ფრანგულადან თარგმნა, გამოკლევია და კომენტარები
დაურთო შხია მგალობლიძემ. თბ., 1925, გვ. 271.

¹² ვაზ. ივრია, 1877, № 10.

(პარკია) და მეტი არაფერი!... აწყურელები თავიანთ ბაღებს ისევე ელოლიავენებიან, როგორც მიჯნური თავის სატრფოს¹³.

ცნობილი ფრანგი მეცნიერ-ბოტანიკოსის ტურნეფორის მოწმობით, „საერთოდ, ბაღები საქართველოში გაცილებით უფრო უკეთესად ყოფილა გაშენებულ-მოვლილი, ვიდრე ოსმალეთში“¹⁴.

რუსი მეცნიერი კ. გეევსკი, რომელმაც XIX ს-ის 80-იან წლებში სპეციალურად შეისწავლა მებაღეობა ახალციხის მხარეში, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ დიდი ხნით აღრე მისდევდნენ მებაღეობას, იმ დროს, როდესაც ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო გამოყვანილი ვაშლისა და მსხლის საუკეთესო ჯიშები¹⁵, მისივე დაკვირვებით, აქაური ხილი, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი, გამოირჩევა თავისი გემოთი, ფერით, სიდიდითა და სურნელებით¹⁶.

„დავთრის“ ანალიზიდანაც ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მეხილეობა-მებოსტნეობა საკმაოდ განვითარებული ყოფილა. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი ისიცაა, რომ „დავთარში“ ცალკე-ცალკეა შეწერილი გადასახადები ვენახზე (შირა), ხეხილზე, ბოსტანზე. ცალკეა გამოყოფილი, აგრეთვე, გადასახადი კაკალზე, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1. მევენახეობა-მელვინეობა

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მელვინეობა, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. ჯერ კიდევ VI ს-ში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი მიუთითებდა, რომ აქაური მოსახლეობა მევენახეობას მისდევდა.

ამ მხარეში მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მაღალ დონეს ადასტურებს XIII ს-ის საკორპორაციო სამართლის ძეგლის „ვაჰანის ქვაბთა განგება“. ამ იურიდიული ძეგლიდან ვიგებთ, რომ ვაჰანის მამათა მონასტრის მკვიდრთათვის განკუთვნილი საკვების რაციონში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ღვინოს ეკავა, რომელიც სასულიერო რანგის შესატყვისად მეტ-ნაკლები რაოდენობით იყო განაწილებული:... „რაითა მიეცემოდის მოძღუარსა რვა გრივი პუ-

¹³ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., ЗКИОРГО, Тифлис, 1873, с. 11.

¹⁴ ცტრებულია ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 113.

¹⁵ В. Н. Геевский, Очерк садоводства в Ахалцихском уезде, СКОСХ, вып. II, 1879, с. 30.

¹⁶ იქვე, გვ. 13, 14.

რი, ოთხი წმიდა და ოთხი ქრთილი და სამი საპალნე ღვინო და იკონომოსსა ექუსი გრივი სამი წმიდაი და სამი ქრთილი და ორი საპალნე ღვინო... ხოლო უთავადესთა ძმათა... ამათი პური ორი გრივი წმიდაი და ერთი ქრთილი მიეცემოდის და თითო საპალნე ღვინო, ხოლო მწირთა, პური თვითო გრივი წმიდა და თვითო ქრთილი და ღვინო ოთხითა და ოთხთა თვითო საპალნე¹⁷.

ერთი საპალნე ღვინო საშუალოდ 227—280 ლიტრს უდრიდა¹⁸, ე. ი. მოძღვრის წლიური რაციონი (სამი საპალნე ღვინო) შეადგენდა დაახლოებით 700—800 ლიტრს, იკონომოსისა (ორი საპალნე) — 450—500 ლიტრს, უთავადეს ძმათა (1 საპალნე) — 250 ლიტრს, ხოლო მწირისა (1 საპალნე) — 250 ლიტრს, ეს კი იმაზე მიუთითებს, თუ ღვინის რა დიდ რაოდენობას იღებდა მონასტერი. ამავე წყაროდან ირკვევა, რომ მონასტრის მსახურნი ფარულად ღვინით ვაჭრობდნენ და ამის აღკვეთის მიზნით წესდებაში სპეციალური მუხლი შეუტანიათ: „ღინაჲცა რომელსაცა ძმათაგანს ემხილოს ღვინის მოფარდულობაჲ (წვრილი ვაჭრობა — მ. ს.) გინ მევახშობაჲ, მყის განიდევნოს მონასტრით და მოიკვეთოს“¹⁹.

მოტანილი წესდებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი რაოდენობით აყენებდნენ ღვინოს მონასტრის მსახურთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მელვინეობის გავრცელება დასტურდება. აგრეთვე. ალის მონასტრის XIII ს-ის საბუთებიდანაც. ალის მონასტრისათვის შეწირულების ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: ნიკოლოზის სამანი შეესწირე. მას ორი თავჩაფი ღვინი გამოვა, იგიცა ტრაპეზს მოიღებდეს²⁰. სხვა დოკუმენტში ჩაწერილია: „ოთხოთხი კაბიწი ღვინი აჭრით მოსაღები“²¹... და სხვა²².

ამავე საბუთებიდან ირკვევა, რომ ამ დროს, მიუხედავად მონღოლთა ბატონობისა, ადგილი ჰქონდა ვენახების გაშენებას: „თქუენი ვენახი ავაშენეთ სანახევროდ და ნახევარს განალამცა თქუენმა მსახურნივე გიკაზმიდეთ უღალატოდ, ჩუენისა კერძისაგან ოცი თავჩაფი ღვინო შემოგვიწირავს.“²³...

¹⁷ ვაჰანის ქვაბთა განგება. გამოც. ლ. მუსხელიშვილისა, თბ., 1936, გვ. 76.

¹⁸ გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, გვ. 113.

¹⁹ ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 72.

²⁰ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII—XV სს.) ტექსტები და გამოკვლევები მომზადებული ქრისტინე შარაშიძის მიერ. თბ., 1982, გვ. 32.

²¹ იქვე, გვ. 30.

²² იქვე, გვ. 27, 30, 32, 35, 43, 48, 49, 51, 52, 72.

²³ იქვე, გვ. 35.

1672 წ. შემოდგომაზე გონიოდან ახალციხეში მგზავრობისას ე. შარდენი წერდა: „აქ ბევრი სოფელია გაშენებული. ვაზი ხეებს ეხვევა და ისე მაღლა აღის, რომ ხშირად მტევენებს ვერა ჰკრეფენ. როცა აქ გავიარე, სოფელში რთველი იყო; შესანიშნავი მეჩენა ყურძენი, ახალი და ძველი ღვინო. ღვინო აქ ისეთი იაფი ღირს, რომ ზოგ ადგილას სამას გირვანქას ერთ ეკიულ ყიდიან“²⁴.

ვახუშტის ცნობით, სამცხე-საათაბაგოში მევენახეობას მისდევდნენ სამცხეში (მესხეთი), არტანუჯში, ოლთისში, შავშეთში, ლივანში, აჭარაში²⁵.

სამცხე-საათაბაგოში უძველესი დროიდან რომ დიდად იყო განვითარებული მევენახეობა-მელენეობა ამას, აგრეთვე, ადასტურებენ მატერიალური კულტურის ძეგლები და ვენახის გავრცელებული ჯიშები, რომლებიც დღესაც გვხვდება საქართველოს ამ კუთხეში²⁶.

ლ. ბერიაშვილის ცნობით, მტკვრის ხეობის გასწვრივ მდებარე ბაღები ძირითადად ხელოვნურ ტერასებზე იყო გაშენებული და ბევრი გარეული ვაზის ნახვა შეიძლება აქ. ინტერესს იწვევს ქაჭკარის ბაღებში შემორჩენილი საწნახელი, რომელიც დიდი ქვის ლოდშია ამოკვეთილი, აქვეა ქვევრის ეგზემპლარები და მათი ნაშთები.

ო. ლამბაშიძემ გაღმა ქაჭკარში მიაქცია ყურადღება ტოპონიმ-„ბაბილურს“. მისი აზრით, აღნიშნული ტერმინი შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველი ქართული ვენახის აღმნიშვნელ სიტყვას — ბაბილოს. ბერია საწნახელი ამავე მიდამოში, კლდეში ნაკვეთი ნასოფლარის ტერიტორიაზეც, რაც მეურნეობის ამავე დარგის მაღალ დონეს მოწმობს. ვენახის კულტურას უკავშირდება, აგრეთვე, გამოღმა ქაჭკარის შესახებ არსებული გადმოცემა: გამოღმა ქაჭკარში და საბუხევეში ძველად ვენახები ჭონიათ ჭაშენებული. ერთხელ ძლიერი წვიმა და კოხი მოსულა, დაუსტყვავს უკვე დამწიფებული ყურძენი, დახეთქილი ყურძნის წვენი შეერთებულა მოვარდნილ დელეს, ის კი შეერთებია მდ. მტკვარს და გაუწითლებია წყალი²⁷.

²⁴ ე. შარდენი, მოგზაურობა..., გვ. 270, 271.

²⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 668, 667, 682, 683, 684, 686, 687.

²⁶ შ. შიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში, თბ., 1958, გვ. 3—18; ო. ლამბაშიძე, მესხეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 8; ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრომი, 191 — 193.

²⁷ ლ. ბერიაშვილი, მესხეთის ტერასული მეურნეობის ზოგერთი საკითხისათვის, გვ. 96, 97.

სოფ. კაჭკარში რომ დიდი რაოდენობით იყო ვენახი, ეს დასტურდება „დავთრის“ მონაცემებიდანაც. „დავთრის მიხედვით, კაჭკარში ყოველწლიურად 1600 ბათმან შირას (ღვინოს) აყენებდნენ.

სამცხე-საათაბაგოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, გაშენებული იყო როგორც მალლარი, ისე დაბლარი ვაზი. აქ მალლარ ვაზს უწოდებდნენ „ბარნა ვენახს“, დაბლარ ვენახებს — „ფეხის ვაზს“. მალლარი ვენახი გაშენებული იყო მსხმოიარე ბაღის ნაკვეთებზე და ხეებზე, დაბლარი — ტერასებზე. მესხეთი ვაზის მთელი რიგი აბორიგენული ჯიშების კერად არის მიჩნეული. მათი უმრავლესობა საუკუნეთა განმავლობაში შეგუებულია მაღალი მთის კლიმატურ პირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ვენახი სითბომოყვარული მცენარეა, მესხური ჯიშები უფრო სიგრილეს არიან შეჩვეული და შესანიშნავი მსხმოიარობით გამოირჩევიან²⁸.

აქაური ჯიშის ვაზი რომ სიგრილესთან იყო შეგუებული, ამას ისიც ადასტურებს, რომ ვენახი ისეთ სოფლებშიაც იყო გაშენებული, სადაც ხეხილის ბაღები არ გვხვდება, რასაც აგრეთვე „დავთრის“ ანალიზიც ცხადყოფს.

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მელღვინეობის შესასწავლად ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა „გურჯისტანის დავთარი“. მისი მონაცემები საესეებით ადასტურებენ საქართველოს ამ კუთხეში მევენახეობა-მელღვინეობის განვითარების მაღალ დონეს.

„დავთრის“ შესწავლის შედეგად შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ სამცხე-საათაბაგოში ვენახის გავრცელების რაიონები და შირას (ღვინის) და ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი.

„დავთარიდან“ ირკვევა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც მევენახეობას მისდევდა, გადასახადის სახით უნდა გადაეხადა ახლად დაწურული ყურძენი შირა (მაჭარი. ტკბილი, ბადაგი). „გურჯისტანის კანონთა წიგნში“ არაფერია ჩაწერილი, თუ ყურძნის მოსავლის რა პროცენტს შეადგენდა შირაზე შეწერილი გადასახადი. „დავთარში“ მხოლოდ მითითებულია ცალკეულ სოფელზე გაწერილი შირას რაოდენობა მანებში (ბათმანი) და მისი ფულადი ღირებულება ახჩებში.

საფიქრებელია, რომ სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) დაწურულ ყურძენზე (შირაზე) შეწერილი გადასახადი დაახლოებით იმდენივე იყო, რამდენსაც ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციების ქრისტიანული მოსახლეობა იხდიდა.

²⁸ მ. რამიშვილი, მევენახეობის განვითარება მესხეთში, საქართველოს სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1957, ტ. 14, გვ. 11, 12; შ. შიქვაძე, ლასახ. ნაშრომი, გვ. 18—24.

სულეიმან I (1520—1566 წწ.) ეპოქაში გელიბოლუს (ნიკოპოლის) ვილაიეთის კანუნ-ნამეში ჩაწერილია: „ახალი ღვინიდან (შირა, მაქარი) ქაფიერებისაგან (ქრისტიანებისაგან) უშური და სალარიე აიღება, მათ შეწერილი აქვთ ყოველ 100 მედრედან 10 მედრე უშურისა და 3 მედრე სალარიეს გადახდა“²⁹.

ხორბლისა და ღვინის საწყავი მედრე იმპერიის სხვადასხვა ადგილებში განსხვავებული იყო. სტამბოლში ერთი მედრე 6 ოყას შეადგენდა³⁰, ერთი ოყა 1282 გრ,³¹ ე. ი. სტამბოლში მედრეს ზომა იყო $(1282 \times 6) = 7,6$ კგ. აქედან გამომდინარე, 100 მედრე = 760 კგ, ხოლო 13 მედრე 98,8 კგ. $760:98,8 = 7,6$ კგ (= 100 მედრე : 13 მედრე = 7,6).

ამრიგად, ნიკოპოლის ლივას ქრისტიანულ მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადი შირაზე შეადგენდა 7,6 კგ.

დაახლოებით ამავე ოდენობის გადასახადს იხდიდა შირასა და ვენახზე ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ბალკანეთის სხვა ქვეყნების ქრისტიანული მოსახლეობა³².

ახალციხის საფაშოში, როგორც ზემოთ მიუთითეთ, შირაზე გადასახადი მანით ანუ ბათმანით აიღებოდა. ბათმანი სხვადასხვა ზომისა იყო.

გ. ჯაფარიძის გამოკვლევით, XIX ს-ში ახალციხის მაზრაში იხმარებოდა 6 ოყიანი ჩვეულებრივი ბათმანი ანუ სტამბოლის ბათმანი³³. 6 ოყიანი ბათმანის წონა იყო $(1282 \times 6$ გრ = 7,692 გრ) 7,6კგ³⁴. საფიქრებელია, რომ ახალციხის საფაშოშიც „გურჯისტანის დევთრის“ შედგენის დროს ბათმანის წონა იგივე 7,6 კგ იყო. მეზობელი არზრუმის ვილაიეთშიც 1592 წ. კანუნ-ნამის მიხედვით ბათმანის წონა, აგრეთვე 7,6 კგ შეადგენდა³⁵.

საყურადღებოა, რომ ბათმანის წონა იგივე იყო, რაც მედრესი, ჩვენი აზრით, ეს იმის დამადასტურებელია, რომ ახალციხის საფაშოში შირაზე გაწერილი გადასახადი იმდენივე იყო, რასაც ბალკანეთის ქვეყნებში მცხოვრები ქრისტიანები იხდიდნენ.

²⁹ ო. I. Barkan, 'Kanunlar, s. 270, H. Tunser, Arazı kanunları, s. 475, 476.

³⁰ A. C. Твeритнинова, Аграрный строй Османской империи..., с. 206.

³¹ Там же, с. 209; В. Хиниц, Указ. соч., с. 33.

³² O. L. Barkan, Kanunlar, გვ. 253, 254, 255, 270, 292, 341, 393; H. Tunser, Arazı kanunları... გვ. 394, 471, 476, 495; И. Кабрда, Законоположение об Амфиссе..., с. 222—230; Книга законов султана Селима I, с. 51, 52.

³³ გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ჭართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ. 1979, გვ. 68, 69.

³⁴ იქვე.

³⁵ ც. აბულაძე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წ. კანუნ-ნამე, გვ. 81.

ამგვარად, ახალციხის საფაშოში შირაზე გაწერილი გადასახადი 7,6 კგ შეადგენდა და ერთი ბათმანის ტოლი იყო.

„დაეთრის“ მიხედვით, ერთი ბათმანი შირა ღირდა 8 ახჩა. ჩვენი ვარაუდით, 7,6 კგ შირა (ერთი ბათმანი) 8 ლიტრს შეადგენდა. თუ ეს სწორია, მაშინ ერთი ლიტრი შირა „დაეთრის“ ფასის მიხედვით ერთი ახჩა ღირდა.

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში) შირაზე გაწერილი გადასახადი დაწურული ყურძნის 1/8-ს შეადგენდა. ეს გადასახადი ბათმანით იანგარიშებოდა და ერთი ბათმანი 8 ლიტრს უდრიდა.

„დაეთრის“ მიხედვით შირაზე გაწერილი ყოველწლიური გადასახადი 184800 ახჩას შეადგენდა. საყურადღებოა, რომ შირაზე გაწერილი გადასახადი 6-ჯერ აღემატებოდა ხეხილზე და კაკალზე შეწირულ გადასახადს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მევენახეობა-მელვინეობა სამცხე-საათაბაგოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო.

გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო ყურძენი ახალციხის საფაშოს ყველა ლივასა და რაიონში არ მოჰყავდათ. „დაეთარში“ ფიქსირებული 711 სოფლიდან ვენახი გაშენებული იყო 156 სოფელში. მევენახეობით გამოირჩეოდა ახალციხის ლივა. ახალციხის ლივას 9 რაიონიდან მხოლოდ ერთ რაიონში (ქვაბლიანის) არ მისდევდნენ მევენახეობას. ახალციხის ლივაზე მოდიოდა სამცხე-საათაბაგოს ყურძნის მოსავლის 48,2 %. მევენახეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო აწყურის რაიონში. ამ რაიონის 23 სოფელი მევენახეობას მისდევდა და მისი მოსავალი 15,9 % შეადგენდა. მოსავლის მიხედვით მას მოსდევდა ჭაქრაქის რაიონის 16 სოფელი—9,6 %, შემდეგ ჩრდილისის რაიონის 11 სოფელი—7,2 %. მართალია, ასპინძის რაიონში 19 სოფელი ეწეოდა მევენახეობას, მაგრამ მისი მოსავალი შედარებით მცირე იყო—4,8 %.

მევენახეობას მისდევდა ფანაკის ლივას³⁸ სამივე რაიონის 23 სოფელი და ამ სოფლების მოსავალი შეადგენდა 19,5 %, მაგრამ აქედან განსაკუთრებით დაწინაურებული იყო ფანასკერტის რაიონი (10 სოფელი) 14,1 %.

ვენახები გაშენებული იყო ახალქალაქის ლივას სამივე რაიონში (13 სოფელი) და მათი მოსავალი 5,6 % შეადგენდა.

ფოცხოვის ლივას 6 სოფლის ყურძნის მოსავალი 1,6 % იყო. ყურძენი მოდიოდა ჩრდილისა და პეტრას ლივების თითო-თითო სოფელში. სრულებით არ იყო ვენახი დიდი არტაანის ლივაში.

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მელვინეობის მთავარი ცენტრა

³⁸ ფანაკის ლივაში 1 ბათმანი შირა 6 ახჩა ღირდა.

იყო ხერთვისის ლივას, ხერთვისის რაიონი. ხერთვისის რაიონის 17 სოფელში მოჰყავდათ მთელი სამცხე-საათაბაგოს ყურძნის მოსავლის 24,4 %. აქ მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მაღალი დონე დასტურდება არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებითაც. ვენახები ხერთვისის რაიონში ძირითადად გაშენებული იყო მდ. მტკვრის ხეობაში ტერასებზე და კარგად ირწყვებოდა.

იმ სოფლებში, სადაც ვენახი იყო გაშენებული, საშუალოდ წელიწადში 800—1000 ბათმან შირას (ღვინის მასალას) წურავდნენ. მაგრამ იყო ისეთი სოფლებიც, სადაც წელიწადში წურავდნენ 3000—5000 ბათმან ყურძენს.

მევენახეობა-მელვინეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფ. ტოლოში და სოფ. ფია (ხერთვისის ლივას, ხერთვისის რაიონი), სადაც ყოველწლიურად წურავდნენ 12000 ბათმან შირას (ღვინოს), აგრეთვე: სოფ. ნორბერთში (ფანაკის ლივას ფანასკერტის რაიონი) — 8000 ბათმანს და სოფ. ოლორში — 5600 ბათმანს.

„დავთრის“ მიხედვით, ზოგჯერ ვერ ხერხდება დადგენა იმისა, თუ რამდენ ყურძენს კრეფდნენ ამა თუ იმ ვენახიდან, ზოგჯერ ვენახსა და ბაღზე გაწერილი გადასახადი ერთადაა მითითებული და სხე., მაგალითად:

„ვენახი მახარობლისა 1 ნაკვეთი — ახალციხის ციხესთან მდებარე, აწ მექმედ ჰაფიზის მფლობელობაში მყოფი, სასამართლო განაჩენის თანახმად იძლევა გამოსაღებსა და ბეჰრეს“³⁷.

ან

„ვენახი და ბაღი დედისიმედისა, აწ აწყურის ლულამის მუსტაფა აბდულ-ლაპის ძის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 40 ახჩას გაიღებს“³⁸.

ანდა

„ვენახი ახალშენის სახელით ცნობილი 2 ნაკვეთი და მიწა 1 ნაკვეთი, აწ ჰუსეინის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად გამოსაღებსა და ბეჰრეს გაიღებს“³⁹.

კიდევ

„ვენახი 2 ნაკვეთი და ბაღი 2 ნაკვეთი, აწ მექმედ ხენდან აღას ძის მფლობელობაში მყოფი, სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 130 ახჩას იძლევა“⁴⁰.

„დავთარში“ მსგავსი მაგალითი 160-ზე მეტია. ამ მონაცემებით

³⁷ დავთარი, წ. II, გვ. 26.

³⁸ იქვე, გვ. 104.

³⁹ იქვე, გვ. 59.

⁴⁰ იქვე, 144.

ძალზე ძნელია დადგენა, თუ რამდენი ყურძენი მოჰყავდათ ამ ვენახებში იჯარით.

„დავთარში“ არაა მითითებული, თუ რამდენ კვმ შეადგენდა „ერთი ნაკვეთი“ ვენახის ფართობი.

ჩვენი ვარაუდით ერთი ნაკვეთი დაახლოებით ერთ ღონუმს (940 კვმ) უდრიდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ართვინის ოლქში ხშირად ერთი ღონუმიდან დარგული ვაზიდან (4—5 ვაზი 1 კვ მ საყენზე) იღებდნენ 30—40 ფუთ ყურძენს ან 20—25 ფუთ შირას. ყურძნის საშუალო წლიური მოსავალი ერთი ღონუმიდან შეადგენდა 30—35 ფუთს. ყურძნის საშუალო მოსავალი აღწევდა 80—100 ფუთს ერთ დესატინიდან. ადგილობრივი ჭიშების ყურძნის საშუალო მოსავლად შეიძლება ჩავეთვალოთ 25, „იზაბელასათვის“ 100 ფუთი ერთი დესატინიდან. აქედან ადგილობრივი ჭიშებისათვის ცუდ მოსავლად ითვლება 10 ფუთი, კარგ მოსავლად — 35, „იზაბელასათვის“ 50 ცუდი მაჩვენებელია. 150 — კი კარგი⁴¹.

უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით ასეთივე ყურძნის მოსავალი მოდიოდა მესხეთშიაც.

ვფიქრობთ, რომ მესხეთში იჯარით გაცემული ვენახების ყოველწლიური მოსავალი სულ მცირე 200—300 ტ ყურძენს შეადგენდა.

„დავთარის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოს გლეხები, რომლებიც მევენახეობა-მელვინეობას მისდევდნენ, საშუალოდ ყოველწლიურად იხდიდნენ 23100 ბათმან შირას ანუ $(23100 \times 8) = 184800$ ლიტრს. რადგან შირაზე გაწერლი გადასახადი დაწურული ყურძნის $1/8$ -ს შეადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ მთლიანად წელიწადში ამზადებდნენ $(184800 \times 8) = 1478400$ ლიტრ შირას (ღვინის მასალ.).

გავარკვიოთ, თუ ერთი ლიტრ შირას (ღვინოს) დასაწურავად რამდენი კვ ყურძენი იყო საჭირო.

ართვინის ოლქში 30—40 ფუთი ყურძნიდან 20—25 ფუთ მაჰარს (შირას) წურავდნენ⁴², ე. ი. ერთი ლიტრი მაჰარის დასაწურავად საჭირო იყო 1,5 — 2 კვ ყურძენი.

თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთი ლიტრ ღვინოს (შირას) დასამზადებლად საჭიროა საშუალოდ 2 კვ ყურძენი, მაშინ 3476400 ლიტრ შირას (ღვინოს) დასაწურავად (1478400×2) დაიხარჯებოდა 2956800 კვ ყურძენი, ე. ი. დაახლოებით 3 მლნ კვ (ცხრ. 13).

⁴¹ С. Н. Тимофеев, Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах. Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып. IV, Тифлис, 1876, с. 187—188.

⁴² იქვე, გვ. 187.

შირა (ლენო), ყურძნის სამუქლო წლიური მოსავალი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთარის“ მიხედვით

ლევებისა და რაიონების დასახელება	სოფელთა რაოდენობა	რამდენ სოფელში იყო გაშენებული ვაზი	შირაზე გაშენილი გადასახადი ახენში	რამდენი ბათშანი შირა იყო გაშენილი	რამდენ ბათშან შირას (ლენოს) აშაღებდნენ	რამდენ ლორს (ლენოს) აშაღებდნენ	რამდენი კვ ყურძენი მოკვეთა	რა ლირა I ბაიანი შირა ახენში
1	2	3	4	5	6	7	8	9
I. ახალციხის ლივა								
1. შვარეს რაიონი	18	10	12860	1595	12760	102080	204160	8
2. ჩრდილის	22	11	13400	1675	13400	107200	214400	8
3. უდეს	51	10	3760	470	3760	30080	60160	8
4. ქვაბლანის	7	—	—	—	—	—	—	—
5. აწყურის	38	23	29560	3695	29560	236480	472960	8
6. ალთუნკალას	14	4	2520	315	2520	20160	40320	8
7. ოცხეს	18	1	400	50	400	3200	6400	8
8. ასპინძის	43	16	17800	2225	17800	142400	984800	8
9. კაქარაქის	35	19	9040	1130	9040	72320	144640	8
ჯამი	246	94	89240	11155	89240	813920	1427840	—
II. ხერთვისის ლივა								
1. ხერთვისის რაიონი	32	17	45200	5650	45200	361600	723200	8
2. ტყიანი ჯავახეთის	35	—	—	—	—	—	—	—
3. ბუზმარეთის	8	—	—	—	—	—	—	—
ჯამი	75	17	45200	5650	45200	361600	723200	—
III. ახალქალაქის რაიონი								
11. აკშეპირის რაიონი	45	2	1200	150	1200	9600	19200	8
2. თმოგვის	10	8	8000	1000	8000	64000	128000	8
3. ნიალისყურის	20	3	1200	150	1200	9600	19200	8
ჯამი	75	13	10400	1300	10400	83200	168400	—

1	2	3	4	5	6	7	8	9
IV. ჩრდილის ლივა								
1. ქანაზის რაიონი	27	—	—	—	—	—	—	—
2. ქანარბელის "	22	1	400	50	400	3200	6400	8
3. შველციხის "	3	—	—	—	—	—	—	—
ჯ ა მ ი	56	1	400	50	400	3200	6400	—
V. ფოცხოვის ლივა								
1. შუბარეს რაიონი	35	2	1600	200	1600	12800	25600	8
2. ჩრდილის "	24	4	1400	175	1400	11200	22400	8
ჯ ა მ ი	59	6	3000	375	3000	24000	48000	—
VI. პეტრეს ლივა								
1. პეტრეს რაიონი	4	2	400	50	400	3200	6400	8
ჯ ა მ ი	4	2	400	50	400	3200	6400	—
VII. ფააკის ლივან								
1. ფანასკერტის რაიონი	32	11	8960	1120	8960	171680	143360	6
2. ქიაშხისის "	8	2	960	120	960	7680	15360	6
3. ფანასკერტის "	23	10	26240	3280	26240	209920	419840	6
ჯ ა მ ი	63	23	36160	4520	36160	289280	578560	—
VIII. დიდი არტაანის ლივა								
სულ მთლიანად ჯ ა მ ი	711	158	184800	23100	184800	1478400	2956800	—

ბუნებრივია, რომ მოსახლეობა ყურძნის ნაწილს საკმელოდ ხმარობდა, ნაწილს კი ზამთრისთვის ინახავდა. ასე, რომ ჩვენი ვარაუდით, სულ მთლიანად სამცხე-საათაბაგოში საშუალოდ ყოველწლიურად მოჰყავდათ 3.5 მლნ კგ ყურძენი, აქედან 3 მლნ კგ-დან ღვინოს ამზადებდნენ. ხოლო დანარჩენს საკმელოდ ხმარობდნენ.

„დავთრის“ მიხედვით ერთი ბათმანი (მანი) შირა 8 ახჩა ღირდა, ხოლო ერთი ლიტრი — 1 ახჩა. ცხადია, ყურძენზე ფასი 1 ახჩაზე უფრო ნაკლები იყო, ხოლო ღვინოსა — 1 ახჩაზე მეტი.

თუ ერთი ლიტრის დასაწურად 2 კგ ყურძენი იყო საჭირო და ერთი ლიტრი შირა 1 ახჩად იყიდებოდა, მაშინ უნდა ვიანგარიშოთ, რომ საშუალოდ 1 კგ ყურძენი 0,5 ახჩა ღირდა.

ჩვენი ვარაუდით, სამცხე-საათაბაგოში ყურძნის პროდუქციის საშუალო წლიური ღირებულება ღვინოს ფასის გათვალისწინებით 2,5 — 3 მლნ ახჩის შეადგენდა.

ოსმალეთში შირას (ღვინოს) ყიდვა-გაყიდვის შემდეგი წესი იყო: „თუ სოფლის მცხოვრებლებს არა ჰქონდათ თავიანთი საკუთარი შირა, ყიდულობდნენ სხვა სოფლებში და ჩამოჰქონდათ თავიანთ სოფლებში, ან სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც შირა ჰქონდათ და ჩაჰქონდათ სხვა სოფლებში, სადაც შირა არ იყო და იქ გაჰყიდდნენ, ბაჟი აიღებოდა 2 ახჩა ერთ იუქზე“⁴³.

ანალოგიური შინაარსის მუხლი შეტანილი იყო საბერძნეთისა და ბალკანეთის სხვა ქვეყნებისათვის შედგენილ კანუნ-ნამეებში⁴⁴.

განსაკუთრებით მძიმე იყო გლეხებისათვის ღვინოს (შირას) გაყიდვის მონოპოლიური წესი, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ფეოდალს უფლება ჰქონდა მთავრობისაგან ეყიდა ღვინოს (შირა) გაყიდვის მონოპოლიური უფლება ორი თვისა და 10 დღის ვადით. ამ ხნის განმავლობაში მონოპოლიის მქონე პირი ღვინოს (შირას) ყიდდა 2 ახჩით უფრო ძვირად არსებულ ფასთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში გლეხების ქვევრებსა და კასრებს დალუქავდნენ და მათ ეკრძალებოდათ ღვინით ვაჭრობა⁴⁵.

მონოპოლიური წესი მეტად მძიმე იყო მეღვინეობაში ჩაბმული გლეხებისთვის და დიდ ზარალს აყენებდა მათ.

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მეღვინეობის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო. თავისთავად ცხადია, რომ მოსახლეობის თანდათანობითი გამაჰმადიანება უარყოფით გავლენას ახდენდა მე-

⁴³ И. Кабрда, Законоположение об Амфице..., с. 227.

⁴⁴ იქვე, გვ. 227; (L. Barkan, Kanunlar, გვ. 254, 289, H. Tuncer, Arazi kanunları, გვ. 471, 476, 478.

⁴⁵ იქვე.

ვენახეობა-მეღვინეობაზედაც, რადგანაც მაჰმადიანთა საღვთო კანონით აკრძალული იყო ღვინის სმა⁴⁶.

საკვიროა შეენიშნოთ, რომ „დავთრის“ შედგენის დროს გლეხების უდიდესი უმრავლესობა ქრისტიანები იყვნენ, ხოლო ფეოდალები — მაჰმადიანები. მხოლოდ აქა-იქ გვხვდებიან ოსმალოს სამსახურში მყოფი ქრისტიანი ფეოდალები.

ახალციხის საფაშოში მოსახლეობის თანდათანობით გამაჰმადიანების შედეგად მევენახეობა-მეღვინეობა დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა.

2. მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა

სამცხე-საათაბაგოში ბალები, ისევე როგორც ვენახები, უმთაბრესად გაშენებული იყო მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების გასწვრივ მდებარე მთის კალთებსა და ტერასებზე, სადაც უფრო მეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობები იყო და ამასთანავე მორწყვაც უკეთესად შეიძლებოდა.

ხეხილის ბალები ზღვის დონიდან განლაგებული იყო 800—1200 მეტრის სიმაღლეზე და უფრო მაღლა ხეხილი ნაკლებად ხარობდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 711 სოფლიდან მეხილეობას მხოლოდ 132 სოფელი მისდევდა.

გურჯისტანის კანონთა წიგნში არაფერია ნათქვამი, თუ რამდენს შეადგენდა ხეხილზე შეწერილი გადასახადი.

ოსმალეთში ხილზე შეწერილ გადასახადს სხვადასხვა წესით იღებდნენ: ხეხილით დაკავებული ფართობის, ხეხილის ძირებისა და მოსავლის რაოდენობის მიხედვით.

ასე მაგალითად, 1487 წ. ხუდავენდიგარის (ანატოლია) კანუნნამეში ჩაწერილია: „ვენახიდან და ბაღიდან უშრის ალება საღვთო კანონს შეესაბამება. რადგან უშრის გადახდა (ნატურით) რაიასათვის დიდ დაბრკოლებას ქმნიდა და რომ მოსპობილიყო ეს უხერხულება უშრი (ნატურით) შეეცვლილ იქნა ფულით. ბალებიდან გადასახადის ალება, ისევე როგორც მეზობელ ოლქებში, დაიწყეს ღონუშების (მიწის ფართობის — მ. ს.) ოდენობის მიხედვით, ყოველი ღონუშიდან

⁴⁶ ღვინოსთან დაკავშირებით სულთან სელიმ I კანონთა წიგნში ჩაწერილია: თუ რომელიმე ღვინოს დაღვეს, მაშინ მოსამართლემ უნდა დასაჯოს იგი და ყოველი ორი ჯოხის დარტყმის ნაცვლად უნდა აიღოს 1 ახჩა ჯარიმა.

თუ შესლიმანი ღვინოს ყიდის ან წურავს (ყურბენს), მაშინ იგი უნდა დაიქაფოს. ყოველი ორი ჯოხის დარტყმისთვის უნდა აიღოს 1 ახჩა ჯარიმა. თუ ვინმე ღვინის სმის, დროს დათვრება, უნდა დაიქაფოს. ყოველი სამი ჯოხის დარტყმისთვის აიღონ 1 ახჩა ჯარიმა (Книга законов султана Селима I, с. 35).

ზოგიერთ ოლქში აღებდნენ 10 ახჩას, სხვაგან — 5 ახჩას, ზოგში კი — 3 ახჩას. დავთრებში აგრეთვე ჩაიწერა, რომ ბალებიდან და ვენახებიდან აღებულ იქნება გარკვეული გადასახადი (ქესიმი), რომელიც შეეფარდება შეათედს⁴⁷.

1570 წ. ალექსო კანუნ-ნამეში ნათქვამია: „ზეთისხილის, კაკლის, ლედვისა და სხვა ხეხილიდან, თუ ისინი ჯერ კიდევ ნაყოფს არ იძლევიან, აღება ხარაჯა, 100 ხეზე 40 ახჩა. ყოველი კაკლის ხიდან, რომელიც ნაყოფს იძლევა, შეწერილია ხარაჯა 2 ახჩა, ლედვის ოთხ ხეზე — 1 ახჩა“⁴⁸.

ოსმალური კანონმდებლობებით ხილზე შეწერილი გადასახადი შეადგენდა მთელი მოსავლის 1/7-ს⁴⁹.

ამგვარად, ოსმალურ წყაროებში დაცული ცნობებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ახალციხის მხარეში გადასახადი ხილზე შეადგენდა მთელი ხილის მოსავლის ერთ მეშვიდედს.

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოში ოსმალური საგადასახადო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით წერდა: „ყოვლისა მოსაველსა ზედა და ხეხილითურთ შეიღისთავი“⁵⁰. ძველი დროიდან თუ ხეხილის ბალი ფეოდალის სრული საკუთრება იყო, მაშინ მისი შეხედულებებისამებრ მოსაველის წილი 1/2 ან 1/3 შეადგენდა, ხოლო თუ ხეხილის ბალი გლეხის ნაკვეთი იყო, მაშინ გლეხს უნდა გადაეხადა მოსავლის 1/3, 1/2 ან 1/7“⁵¹.

საფიქრებელია, რომ ზოგიერთ რაიონში გამონაკლისის სახით ხეხილზე გადასახადი მოსავლის 1/5 ან 1/6 შეადგენდა, საერთოდ კი — 1/7-ს, როგორც ეს თურქულ წყაროებსა და ვახუშტის თხზულებაშია ფიქსირებული.

„დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მეხილეობა დაწინაურებული იყო ახალციხის ლივაში. აქ 85 სოფელი მეხილეობას მისდევდა, შეწერილი ჰქონდა 13621 ახჩა გადასახადი და მეხილეობის მთელი პროდუქციის 67,7 % იძლეოდა. მეხილეობით განთქმული იყო აწყურის რაიონი, რომლის 20 სოფელს შეწერილი ჰქონდა 2106 ახჩა გადასახადი და მოჰყავდა სამცხე-საათაბაგოს ხილის მოსავლის 19,5 %.

მეხილეობას მისდევდა ახალციხის ლივას ასპინძის რაიონის 16

⁴⁷ Ö. L. Barkan, Kanunlar, გვ. 207.

⁴⁸ Ö. L. Barkan, Kanunlar, გვ. 173.

⁴⁹ Ö. L. Barkan, Kanunlar, გვ. 145.

⁵⁰ ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 726.

⁵¹ В. Н. Геевский, Очерк садоводства в Ахалцихском уезде..., с. 32.

სოფელი, ჩრდილის — 14, ჰაქრაქის — 12, მზვარეს — 10 და სხვა. „დავთრის“ მიხედვით ქვაბლიანში არ მისდევდნენ მეხილეობას.

მეხილეობით გამოირჩეოდა, აგრეთვე, ხერთვისის ლივას ხერთვისის რაიონი, რომლის 13 სოფლის გლეხობას მოჰყავდა ხეხილის მთელი პროდუქციის 10,3% (ცხრ. 14).

სხვა ლივებში მეხილეობას, კლიმატური პირობების გამო, აქა-იქ მისდევდნენ, ხოლო დიდი არტაანის ლივაში მეხილეობა, ისევე როგორც მევენახეობა, სრულად არ იყო. ევლია ჩელები არტაანის მხარის შესახებ წერდა: „მისი ჰავა ცივია, ბალ-ვენახი არ აქვს. არტაანის მცხოვრებლები... სტუმართმოყვარე ხალხია. უმრავლესობა ხვნათესვას ეწევა“⁵².

ამრიგად, „დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში ხილზე შეწერილი გადასახადი 20091 ახჩას შეადგენდა, ხოლო ხილის საშუალო წლიური მოსავლის ღირებულება $(20090 \times 7) = 140630$ ახჩას.

1592 წ. არზრუმის ვილაიეთის კანუნ-ნამეს მიხედვით „ერთი ბათმანი ახალი ხილი (გადამყიდველმა — მ. ს.) 6 ახჩად უნდა იყიდოს და გაყიდოს ერთი ახჩის მოგებით — 7 ახჩად“⁵³.

1592 წ. ახალციხის მეზობელ ვილაიეთში ერთი ბათმანი ახალი ხილი ღირდა 6 ახჩა. არზრუმის ვილაიეთში ერთი ბათმანი = 7,6 კგ,⁵⁴ ე. ი. ერთი — კგ ახალი ხილი ღირდა $(6 : 7,6) 0,7$ ახჩა.

ევლია ჩელები, რომელმაც არზრუმში XVII ს-ის 40-იან წლებში იმოგზაურა, წერს, რომ აქ „ხილი ორი დღის სავალით მოშორებული ადგილებიდან — ისპირიდან, თორთუმიდან და ერზიჯანიდან ჩამოაქვთ. ატამი, გარგარი და ყურძენი თითო ოყა (1200 გრ — მ. ს.) ერთ ახჩად იყიდება. ერთ ურემ ნესესა და საზამთროს ათ ახჩად იძლევიან“⁵⁵. ე. ი. 1 კგ ატამი, გარგარი და ყურძენი ცალ-ცალკე ღირდა $(1000:1200) 0,8$ ახჩა. ცხადია, სადაც ეს ხილი მოჰყავდათ, ფასი უფრო დაბალი იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალციხის საფაშოშიც (სამცხე-საათაბაგოში) ხილზე ფასი არ იქნებოდა მეტი, ვიდრე არზრუმის მხარეში. შესაძლებელია, ცოტათი უფრო ნაკლებიც ყოფილიყო.

ჩვენი ვარაუდით, იმ დროს სამცხე-საათაბაგოში 1 კგ ხილი საშუალოდ 0,5 ახჩა ღირდა.

როგორც ზემოთ გავარკვეეთ, სამცხე-საათაბაგოში ხეხილის წლიური პროდუქციის ღირებულება 140637 ახჩას შეადგენდა. თუ

⁵² ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 322, 323.

⁵³ ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, არზრუმის ვილაიეთის 1592 წ. კანუნ-ნამე, გვ. 79, 86.

⁵⁴ В. Хинц, Указ. соч., с. 31.

⁵⁵ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 204.

ბილი, კაკლის საშუალო წლიური შემოსავალი "გურქიტანის კულ-ეთოს დიდი დაფთრის" მიხედვით

ლივებისა და რაიონების დასახელება	ბ ი ლ ი						ქ ა მ ი			სულ		
	2	3	4	5	6	7	8	9	10		11	
	-ნებასა და რაიონების	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის	ინფრასტრუქტურის
1	18	10	2430	17010	6	1040	52	364	9100	20	2280	
2	22	14	2106	14742	15	1820	91	637	15925	20	12740	
3	51	9	1270	8890	18	1860	93	651	16275	20	13020	
4	7	-	-	-	1	200	10	70	1750	20	1400	
5	38	20	3930	27510	14	2260	113	791	19775	20	15820	
6	14	2	250	1750	3	700	35	245	6125	20	4900	
7	18	2	300	2100	-	-	-	-	-	-	-	
8	43	12	1710	11970	9	860	43	301	7525	20	6020	
9	35	16	1625	11375	5	320	16	117	2800	20	2240	
ჯამი	246	85	13621	95347	71	9060	453	3171	79276	20	63420	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
II. ხერთვისის ლევა											
1. ხერთვისის რაიონი	32	13	2075	14525	7	1160	58	406	10150	20	8120
2. ტყაინი-ჯავახეთის	35	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. ბუზბარეთის	8	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჯამი	75	13	2075	14525	7	1160	58	406	10150	20	8120
III. ახალქალაქის ლევა											
1. აკუმეტირის რაიონი	45	2	125	875	1	60	3	21	525	20	420
2. თმოგვის	10	5	745	5215	2	200	10	70	1750	20	1400
3. ნიალისურის "	19	2	179	1253	1	60	3	21	525	20	420
ჯამი	74	9	1049	7343	4	320	16	112	2800	20	2240
IV. ჩრდილის ლევა											
1. ქანზაზის რაიონი	27	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
2. კანარბელის	22	1	300	2100	—	—	—	—	—	—	—
3. შველციხის "	7	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ჯამი	56	1	300	2100	—	—	—	—	—	—	—

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
V. ფოცხოვის ლივა											
1. შუარეს რაიონი	35	3	170	1190	—	—	—	—	—	—	—
2. ჩრდილის "	24	4	550	3850	—	—	—	—	—	—	—
ჯამი	59	7	720	5040	—	—	—	—	—	—	—
VI. პეტრეს ლივა											
1. პეტრეს რაიონი	4	2	225	1575	—	—	—	—	—	—	—
ჯამი	4	2	225	1575	—	—	—	—	—	—	—
VII. ფანაკის ლივა											
1. ფანაკის რაიონი	32	5	960	6300	—	—	—	—	—	—	—
2. ქიანხისის	8	1	200	1400	—	—	—	—	—	—	—
3. ფანასკერტის "	23	9	1000	7000	1	160	8	56	1400	20	1120
ჯამი	63	15	2100	14700	1	160	8	56	1400	20	1120
VIII. დიდი არტაანის ლივა											
133	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ მოლიანად ჯამი	711	132	20090	140630	83	10700	555	3745	93625	20	74900

საშუალოდ 1 კგ ხილის ფასს 0,5 ახჩას ვიანგარიშებთ, მაშინ სამცხე-საათაბაგოში წელიწადში მოჰყავდათ დაახლოებით 300000 კგ ხილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „დაეთარში“ გვხვდება ხე-ხილის ბაღის ათობით ნაკვეთი, რომლებიც იჯარით იყო გაცემული და ვერ ხერხდება მათი მოსავლის რაოდენობის დადგენა, თუ მათ მოსავალსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ხეხილს საერთო წლიური მოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება.

სამცხე-საათაბაგოში მოჰყავდათ ვაშლი, მსხალი, ატამი, ქერამი, ბროწეული, ლეღვი, ბალი, ალუბალი, ქლიავე, ჭანჭური, კომში, თუთა, შინდი და სხვ.

სამცხე-საათაბაგოში მეხილეობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ევლია ჩელები: თორთუმის აღწერისას იგი აღნიშნავს: „ყოველ სახლს აქვს ბაღ-ვენახი, რადგანაც მშვენიერი ჰაერია, ხილი ბევრია: ყურძენი, მსხალი და ლალისფერი ატამი სანაქებოა. რადგანაც ქალაქი არზრუმიდან ორი დღის სავალზეა დაცილებული, ვაქრებს ხილი ყუთებით გააქვთ არზრუმში... ქალაქი თორთუმი სამოთხის ბაღივით შემკულია. მისი ხალხი სტუმართმოყვარე, გულკეთილია. მშვიდი, მართალი ადამიანები არიან“⁵⁶.

საყურადღებოა, რომ აქაური ხილი გადიოდა საქსპორტოდ.

ახალციხის მხარე განთქმული იყო თავისი საუცხოო ვაშლითა და მსხლით. მათი ნაყოფი გამოირჩეოდა გემოთი. ფერით, არომატით და სხვ. აქ ცნობილი იყო ვაშლის 35 და მსხლის კიდევ უფრო მეტი ჯიში, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მეხილეობის ამ დარგს ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა⁵⁷.

ახალციხიდან ვაშლი დ მსხალი არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, არამედ მის ფარგლებს იქითაც ვაჰქონდათ⁵⁸. ჩინებული ვაშლით ყოფილა განთქმული სოფელი წყორძა, რასაც ერთი ხალხური ლექსიც ადასტურებს:

„თუ გინდა ვაშლი წითელი,
ვალმა-ვამ-ლმა წყორძასა“⁵⁹.

კაკალი (ნიგოზი). სამცხე-საათაბაგოში კაკლის მოშენებას, როგორც ჩანს, ძველი დროიდან მისდევდნენ. ვ. გევესკის ახალციხის მაზრაში უნახავს ისეთი კაკლის ხეები, რომელთა სისქე ძირში ერთი საყენი (6 მეტრი) ყოფილა⁶⁰.

⁵⁶ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 204.

⁵⁷ В. Н. Геевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, Загурский, დასახ. ნაშრ.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, თბ., 1913, 1914, გვ. 299.

⁶⁰ В. Н. Геевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 31.

XIX ს-ის 80-იან წლებში კაკლის ხეები და ხესილის ბაღები ერთად იყო გაშენებული, მაგრამ გადასახადი კაკალზე ცალკე იყო შეწერილი⁶¹ კაკლის ხისა და მისი ნაყოფი სპეციფიკის გამო.

კაკალზე გადასახადი, ისევე როგორც ხილზე, მოსავალზე იყო დამოკიდებული და მის ერთ მეშვიდედს შეადგენდა. „დავთრის“ მიხედვით კაკალი სამცხე-საათაბაგოს 83 სოფელში იყო გაშენებული და მასზე გაწერილი წლიური გადასახადი 10700 ახჩას შეადგენდა, ე. ი. იმის ნახევარს, რაც მთლიანად ხეხილზე იყო შეწერილი.

კაკალი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ახალციხის ლივანში. ახალციხის ლივას 9 რაიონიდან მხოლოდ ერთ რაიონში (ოცხე) არ იყო გაშენებული კაკალი. ახალციხის ლივას 21 სოფელში იყო კაკალი, მისი საშუალო წლიური მოსავალი 79976 კგ შეადგენდა და მთელი საფაშოს მოსავლის 84,6 % უდრიდა. კაკლის მოსავლით გამოირჩეოდნენ აწყურისა და უდეს რაიონები. აწყურის რაიონის 14 სოფელში 19775 კგ კაკალი მოდიოდა, ხოლო უდეს 18 სოფელში — 16275 კგ. კაკლის კარგი მოსავალი იცოდა, აგრეთვე, ჩრდილსა (15325 კგ) და ქაჭრაქის (7525 კგ) რაიონებში.

ლივებს შორის კაკლის მოსავლით გამოირჩეოდა ხერთვისის ლივას ხერთვისის რაიონი, 10150 კგ, მთელი მოსავლის 10,8 %. მართალია, ახალქალაქის ლივას სამივე რაიონში იყო კაკლის ხეები, მაგრამ მათი მოსავალი მცირე იყო 2800 კგ. ასევე კაკლის მცირე მოსავალი მოდიოდა ფანაქის ლივას ფანასკერტის რაიონში — 1400 კგ (ცხრ. 14).

სრულებით არ იყო კაკლის ნარგავები ფოცხოვის, ჩრდილის და დიდი არტაანის ლივებში.

„დავთრის“ მიხედვით 1 ქილა (25 კგ) კაკალი ღირდა 20 ახჩა, ხოლო ერთი კგ — (20 : 25) 0,7 ახჩა.

სამცხე-საათაბაგოში სულ წელიწადში 93625 კგ კაკალი მოდიოდა და მისი ღირებულება 74900 ახჩას შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ „დავთრის“ მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობით ხილზე შეწერილი წლიური გადასახადი სოფ. წყრომაზე მოდიოდა — 1500 ახჩა. ერთ კომლზე ხილზე შეწერილი გადასახადი 38 ახჩას შეადგენდა. მეხილეობით გამოირჩეოდნენ სოფლები: ნორბეთი (გადასახადი 1000 ახჩა, ერთ კომლზე 19 ახჩა), კლდე (გადასახადი 850 ახჩა, ერთ კომლზე 29 ახჩა) და სხვა.

ასეთი დიდი რაოდენობით ხილზე გაწერილი გადასახადი იმაზე მეტყველებს, რომ გლეხებს ხილი ბაზარშიც გაჰქონდათ გასაყიდად. XVIII ს-ის მეორე ნახევარში მესხეთიდან იმდენად ბევრი ხილი ჩა-

⁶¹ В. Н. Геевский, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

მოქონდათ თბილისში, რომ ქალაქის მოურავს მასზე სპეციალური გადასახადიც დაუწესებია⁶².

ამასთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავაძის შენიშნავდა: „მესხეთი რომ საქართველოს ჩამოცილებული ჰქონდა და ოსმალეთს ეპყრა, მაშინაც. მე-18 საუკუნის დამლევისა ცი საპალნობით შემოქონდათ იქიდან ხილეულობა“⁶³.

ციტრუსები, ზეთისხილი. კლარჯეთში, კერძოდ ლიგანის ხეობაში, მეხილეობასთან ერთად მეციტრუსეობასაც მისდევდნენ. მოჰყავდათ ლიმონი და სხვა ციტრუსები. აქ ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, ზეთისხილს. გაშენებული იყო ზეთისხილის ბაღები. ვახუშტი ლიგანის ხეობის აღწერისას გადმოგვცემს: „ფრიად ნაყოფიერნი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით. ბროწეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით შემოკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველითვე“⁶⁴.

ოსმალთა ბატონობისაგან ამ მხარის განთავისუფლების შემდეგ აქ დიდი ყურადღება ექცეოდა ზეთისხილს. აქურ ზეთისხილზე, რომელიც მაღალი ხარისხისაა, დიდი მოთხოვნილება იყო. გ. გამხარაშვილის ცნობით აქ 15 ჯიშის (ხარისხის) ზეთისხილი მოჰყავდათ. იგი გასაყიდად გაჰქონდათ სამხრეთ რუსეთში, თბილისში, და ნაწილი საზღვარგარეთ⁶⁵.

ქოროხის აუზში ყოველწლიურად მოჰყავდათ 50000—60000 ფუთი ზეთიანი. აქედან ნახევარი გასაყიდად გაჰქონდათ⁶⁶.

„დავთარი“ არ იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას თუ რა ფართობი ეკავა ვენახებსა და ხეხილის ბაღებს. ჩვენი ვარაუდით, ეს ფართობი, სულ მცირე, ტოლი იყო 8—10 ათასი ჰექტარისა, ამას საფუძვლად უდევს სამცხეში ხეხილზე. კაკალსა და ვენახზე გადასახადების რაოდენობა. აქვე შედარებისათვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამჟამად საქართველოს სამხრეთ ეკონომიკურ რაიონში მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი 6111 ჰექტარს შეადგენს⁶⁷ და წინათ ტერასებზე გაშენებული ხეხილის ბაღები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღდგენილი.

⁶² საქართველოს მეხილეობა, 1965 წ. გვ. 135.

⁶³ ივ. ჭავჭავაძის შენიშნავდა, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. 1, თბ., 1964, გვ. 132.

⁶⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 680.

⁶⁵ Г. Гамхарашвили. Об Арвинских маслиновых садах, Русские субтропики, Батуми, 1915, № 8, с. 32.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ საქართველოს სამხრეთი ეკონომიკური რაიონი, გვ. 93.

3. მებოსტნეობა-მებაღეობა

სამცხე-საათაბაგოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მებოსტნეობა-მებაღეობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ძველ საქართველოში ადამიანი მცენარეულ საჭმელს ძალიან ეტანებოდა.... ქართველს გემრიელი და შნოიანი პურისჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა და მწვანილი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენიებას შეადგენდა“⁶⁸. „დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ მებოსტნეობა სამცხე-საათაბაგოში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. 711 სოფლიდან 685 სოფელი მებოსტნეობას მისდევდა და ამაზე შეწერილი ყოველწლიური გადასახადი საკმაოდ დიდ თანხას — 88760 ახჩას შეადგენდა.

„დავთარში“ არაა მითითებული, თუ რამდენ ახჩას შეადგენდა თითოეული კომლიდან თუ მიწის ფართობიდან ბოსტანზე შეწერილი გადასახადი.

ოსმალეთის პროვინციების რიგი კანუნ-ნამეების მიხედვით (ბასიანის, სოფიის, ბოსნიის და სხვ.) თითოეულ კომლზე (ხანე), ბაშთინადან (ჩიფთლიქი) ორ-ორი ახჩაა (resmi bostan) შეწერილი⁶⁹, ხოლო ბუღინის, ესტერგონის და ნოვიგრადის კანუნ-ნამეში კი ჩაწერილია, რომ მუსულმანებზე ბოსტანზე გადასახადი ორ-ორ ახჩას შეადგენდა⁷⁰.

ცნობილია, რომ ოსმალური კანონებით, ქრისტიანები გადასახადს უფრო მეტს იხდიდნენ, ვიდრე მაჰმადიანები, ამიტომ ვფიქრობთ. რომ ბოსტანზე შეწერილი გადასახადი — ორი ახჩა, საერთოდ, მაჰმადიანურ მოსახლეობაზე ვრცელდებოდა, ქრისტიანი გლეხები კი გაცილებით მეტს იხდიდნენ. ამას ადასტურებს „დავთრის“ მონაცემებიც.

როგორც ზემოთ გავარკვეეთ, სამცხე-საათაბაგოს გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანები იყვნენ. „დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ თითოეულ კომლზე ბოსტანზე შეწერილი გადასახადი საშუალოდ 6—8 ახჩას შეადგენდა. ცნობილი უნგრელი ისტორიკოსი კალდი ნადი თურქული საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე წერს, რომ უნგრეთში ბოსტანზე გადასახადი მიწის ფართობზე იყო შეწერილი და თითოეულ დონუმზე 4 ახჩას

⁶⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, თბ., 1935, გვ. 140.

⁶⁹ Ö. L. Barkan, Kanunlar, გვ. 252, 293, 237, H. Tuncer, Arazı Kanunları, გვ. 272.

⁷⁰ იქვე, გვ. 302.

მებოსტნეობა „გურჯისტანის“ ვილაჯების დიდი დაფთხის“ მიხედვით

ლივებისა და რაიონების დასახელება	სოფლთა რაოდენობა	სოფლები, რაიონები ბოსტანსა და მის მიდევდნენ	კომლთა რაოდენობა	რამდენი ვადა ხ ყო მათილი ხარები	წლიური ღირებუ- ლება ხებში	ბოსტნის ფართობი დონეში	კომლზე საშუალოდ რამდენი დონეში ყო	
	1	2	3	4	5	6	7	8
I. ახალციხის ლივა								
1. მზვარეს რაიონი	18	17	430	3014	21098	753	1,7	
2. ჩრდილის	22	19	391	2440	17080	610	1,5	
3. უღეს	51	46	703	5869	41083	1467	2	
4. ქვაბლიანის	7	7	74	1110	7770	278	3,7	
5. აწყურის	38	34	437	4139	28973	1035	2,3	
6. აღთუნკალას "	14	14	200	2820	19740	705	3,5	
7. ასპინძის	35	32	385	2770	19390	693	1,8	
9. ჭაქარაქის	43	40	489	3974	27818	994	2	
9. ოცხეს "	18	18	271	1711	11977	428	1,5	
ჯ ა მ ი	216	227	3380	27847	194929	6962	2	
II. ხერთვისის ლივა								
1. ხერთვისის რაიონი	32	27	541	3106	21742	777	1,4	
2. ტყინი-ჭავჭავეთის "	35	35	365	4635	32445	1158	3,1	
3. ბუზმარეთის "	8	8	68	756	5299	189	2,7	
ჯ ა მ ი	75	70	974	8497	59479	2124	2,1	
III. ახალქალაქის ლივა								
1. აყშეპირის რაიონი	45	45	605	5228	36596	1207	2,1	
2. თმოგვის	10	10	150	940	6580	235	1,5	
3. ნიალისურის "	19	19	286	2220	15540	555	1,9	
ჯ ა მ ი	75	74	1041	8388	58716	2097	2	

1	2	3	4	5	6	7	8	9
IV. ჩრდილის ლივა								
1. ჭანბაზის რაიონი	27	27	452	2884	20188	721	1,5	
2. ქანარბელის	27	22	444	2955	20685	739	1,6	
3. შველციხის	7	7	83	800	3600	200	2,4	
ჯ ა მ ი	56	56	979	6639	46473	1660	1,8	
V. ფოცხოვის ლივა								
1. შუვარეს რაიონი	35	35	439	5063	35441	1266	2,8	
2. ჩრდილას ..	24	24	363	4680	32760	1170	3,2	
ჯ ა მ ი	59	59	802	9743	68201	2436	3	
VI. პეტრეს ლივა								
1. პეტრეს რაიონი	4	4	25	500	3500	125	5	
VII. ფანაკის ლივა								
1. ფანაკის რაიონი	32	32	873	5090	35630	2515	2,9	
2. ქიამხისის	8	8	230	1367	9569	342	1,4	
3. ფანასკერტის	23	23	822	2323	16261	580	0,7	
ჯ ა მ ი	63	63	1925	8780	61460	2194	1,1	
VIII. არტაანის ლივა								
1. შუვარეს რაიონი	48	48	1969	6366	44562	1592	0,8	
2. ჩრდილის	25	24	738	4031	28217	1008	1,3	
3. ტყიანი ..	60	60	1400	7965	55755	1992	1,4	
ჯ ა მ ი	133	132	3507	18362	128534	4592	1,3	
სულ მოლიანად ჯ ა მ ი	711	685	12638	88760	621320	22190	1,7	

შეადგენდა⁷¹. ჩვენი ვარაუდით ახალციხის საფაშოშიც ამავე წესით და ოდენობით იღებდნენ ბოსტანზე გაწერილ გადასახადს.

სამცხე-საათაბაგოში ბოსტნეულ-ბალჩეულიდან მოჰყავდათ საზამთრო, ნესვი, ხახვი, კომბოსტო, ბაღრიჯანი, კიტრი, ბოლოკი, გოგრა, სტაფილო, კარხალი, ნიორი, ქინძი, კამა, ნიახური, ქონდარი, პიტნა, ტარხუნა და სხვ. აქ შესანიშნავი კომბოსტო მოდიოდა. იგი გამოირჩეოდა თავისი სიდიდითა და სრმაგრით, სულ პატარა თავი იწონიდა 15 გირვანქას (6 კგ), საშუალო 25 გირვანქას (10 კგ.), სოფ. წყორძაში ისეთი კომბოსტო მოუყვანიათ, რომ ორს ერთი კაცი ძლივს სწევდა. აქ ასევე საუკეთესო ხახვი მოჰყავდათ. იგი გამოირჩეოდა თავისი სიმკვრივით და დიდხანს ინახებოდა⁷².

მებოსტნეობა განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ახალციხის ლივაში, 245 სოფლიდან 227 სოფელში მებოსტნეობას მისდევდნენ და ამ სოფლებზე შეწერილი გადასახადი 27847 ახჩას შეადგენდა. საშუალოდ ერთ კომლს ორი დონუმი ბოსტანი ჰქონდა. მებოსტნეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქაბლიანის (ერთ კომლზე 3,7 დონუმი) და ალთუნყალას (ერთ კომლზე 3,5 დონუმი). რაიონები⁷³. მებოსტნეობას დიდი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, ფოცხოვის ლივაში. აქ 53 სოფელი მისდევდა მებოსტნეობას და საშუალოდ ერთ კომლს 3 დონუმი ბოსტანი ჰქონდა. ახალქალაქის ჩრდილის და ფანაკის ლივების ყველა სოფელში მისდევდნენ მებოსტნეობას. დიდი არტაანის ლივას 135 სოფლიდან მებოსტნეობით 134 სოფლის მოსახლეობა იყო დაკავებული.

მებოსტნეობისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები იყო ხერთვისის ლივაში, სადაც ერთ კომლზე საშუალოდ 2,1 დონუმი ბოსტანი მოდიოდა. ამ ლივიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტყიანი ჭაუხეთის რაიონი — ერთ კომლზე 3,1 დონუმი საბოსტნე მიწა მოდიოდა.

ახალციხის საფაშოს 10 რაიონში გლეხებს ორი და მეტი დონუმი საბოსტნე მიწა ჰქონდათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბოსტნეულის პროდუქტები არა მარტო საკუთარი მოთხოვნილების (ოჯახის) დასაკმაყოფილებლად მოჰყავდათ, არამედ ნაწილი ბაზარზედაც გაჰქონდათ გასაყიდად.

⁷¹ Д. К а л ь д и - Н а д ь, Формирование народонаселения и сельскохозяйственного производства в городе Топе в XVI в.. Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, т. III, М., 1974, с. 92

⁷² ვ. კ ა ტ ონ ა შ ვ ი ლ ი, ახალციხის მზრის ქართველების შესახებ. გაზ. „ივერია“, 1894, № 22.

⁷³ ერთი დონუმი უდრის 940 კგ მიწის ფართობს.

ამრიგად. „დაცორის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ ახალციხის საფაშოში ბოსტანს ეკავა 22190 დონუმი (2085 ჰა) მიწის ფართობი და ერთ კომლზე საშუალოდ შობილია 1,5—2 დონუმი (ცხრ. 15).

ბოსტნეულის მოსავლით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფელი კლდე. ეს სოფელი იხდიდა ბოსტანზე გადასახადს 700 ახჩას, ერთ კომლს საშუალოდ ჰქონდა 5 დონუმი საბოსტნე მიწა და გადასახადი შეადგენდა 30 ახჩას. სოფ. ოკამი იხდიდა 600 ახჩას, ერთ კომლს ჰქონდა 4 დონუმი მეტი საბატონე მიწა და იხდიდა 17 ახჩას. სოფ. ვარხანი იხდიდა 400 ახჩას, ერთი კომლი — 15 ახჩას და დაახლოებით 4 დონუმი საბოსტნე მიწა ჰქონდა და სხვ.

საფიქრებელია, რომ გლეხებს ბოსტნეული * გასაყიდად ჩაჰქონდათ ახალციხეში, აწყურში, ხერთვისში და სხვა. ამ ქალაქებში ოსმალთა გარნიზონები (იანიჩარები) იყო განლაგებული, რაც ცხადია, ზრდიდა მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

ამრიგად ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მეხილეობა საკმაოდ განვითარებული ყოფილა, აქედან წამყვანი ადგილი მევენახეობა-მებოსტნეობას ეკავა. ამის დამადასტურებელია ის, რომ შირაზე (ღვინოზე) შეწერილი გადასახადი დაახლოებით ექვსჯერ აღემატებოდა კაკალსა და ხეხილზე გაწერილ გადასახადს. მევენახეობა-მეხილეობის დარგში წამყვანი იყო ორი რაიონი: ხერთვისისა და აწყურის. აქედან ხერთვისის რაიონი უმთავრესად მევენახეობა-მეღვინეობის მთავარი ცენტრი იყო, ხოლო აწყურის — მეხილეობისა. ამ ორ რაიონზე შობილია სამცხე-საათაბაგოს მევენახეობა-მეღვინეობის 40%, კაკლის მოსავლის — 32% და ხეხილის — 30%. სხვა რაიონებიდან შეიძლება დავასახელოთ ჭაჭარაქის, ფანასკერტისა და სხვ.

მთავორიანობისა და კლიმატური პირობების გამო 711 სოფლიდან მევენახეობა-მეხილეობას დაახლოებით 160 სოფელი მისდევდა, ხოლო მათზე შეწერილი წლიური გადასახადი 206551 ახჩას შეადგენდა. ადგილობრივი ხილი, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი საუკეთესო ხარისხისა იყო და გასაყიდად გაჰქონდათ არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

სამცხე-საათაბაგოში ფართოდ იყო გავრცელებული მებალჩიეობა-მებოსტნეობა. მას მისდევდა საათაბაგოს სოფლების 96,6% და მებოსტნეობაზე შეწერილი წლიური გადასახადი 88760 ახჩას შეადგენდა.

ბალ-ვენახებს, ბოსტნებს გულმოდგინედ უვლიდენ, რწყავდნენ, სისტემატურად ნაკელით ანოყიერებდნენ, რის შედეგადაც უხვი და მაღალხარისხიანი მოსავალი მოდიოდა. სულ მევენახეობა-მეხილეობა-მებოსტნეობაზე შეწერილი გადასახადი 295308 ახჩას შეადგენდა, ხოლო მისი წლიური პროდუქციის ღირებულება — 3,5 მილიონზე მეტ ახჩას.

დ ა ს კ ვ ნ ა

XVI საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (სამცხე-საათაბაგოში) სოფლის მეურნეობა საკმაოდ დაწინაურებული იყო. მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა დაფუძნებული იყო საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებასა, დაკვირვებასა და დაუღალავ შრომაზე, შეხამებულ ადგილობრივ ბუნებრივ და გეოგრაფიულ პირობებთან.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მემინდვრეობა. აქედან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მარცვლეულის წარმოებას. სამცხე-საათაბაგოს ყველა სოფელში მოჰყავდათ ხორბლეული. „დავთრის“ ანალიზის შედეგად ჩვენ მიერ გამოანგარიშებულია, რომ სამცხე-საათაბაგოში 120-130 ათასი სახნავ-სათესი ჰექტარი მიწა იყო. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მეტად გულმოდგინედ უვლიდნენ. არსებობდა დიდი ტრადიცია რაციონალური საშუალებებისა, რაც ხელს უწყობდა მაღალ მოსავლიანობას.

სამცხე-საათაბაგოში „დავთრის“ მიხედვით ყოველწლიურად საშუალოდ მოჰყავდათ დაახლოებით 750000 ცენტნერი მარცვლეული. აქედან ხორბალი—36182715 კგ, ქერი—34010218 კგ. ფეტვი—1514370 კგ, ჰევი — 2885014 კგ. წელიწადში საშუალოდ გლეხს (კომლი) მოჰყავდა 60 ცენტნერი მარცვლეული, ერთ ჰექტარზე — 10 ცენტნერი. მარცვლეულის მოსავლიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მესხეთ-ჯავახეთი, რომელსაც საქართველოს პურის ბელელს უწოდებდნენ. აქ საშუალოდ ერთ ჰექტარზე 12-13 ცენტნერი მარცვლეული მოჰყავდათ. იყო ისეთი სოფლებიც, სადაც მარცვლეულის მაქსიმალური მოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენდა 20—25 ცენტნერს. საყურადღებოა, რომ სამცხე-საათაბაგო მარცვლეულის მოსავლიანობის მხრივ უტოლდებოდა იმდროინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნებს.

ასევე საკმაოდ გავრცელებული იყო პარკოსანი კულტურები. აქ მოჰყავდათ მუხუდო, ოსპი, ცერცი და სხვ. პარკოსან კულტურებს იყენებდნენ როგორც ადამიანის, ისე საქონლის საკვებად და ზივის

გასანოყიერებლად. სამცხე-საათაბაგოში ყოველწლიურად მოჰყავდათ 49726 კგ მუხუდო, 57503 კგ ოსპი და 48960 კგ ცერცივი. სულ პარკოსან კულტურათა წლიური მოსავალი შეადგენდა 156189 ტონოგრამს.

სამცხე-საათაბაგოში სელი მემინდვრეობის ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. იგი მოჰყავდათ 363 სოფელში და სელის საშუალო მოსავალი 323368 კგ შეადგენდა. „დავთრის“ ანალიზიდან ირკვევა, რომ სამცხე-საათაბაგოში მცირე რაოდენობით ბამბაც მოჰყავდათ. შავშეთის, ლივანას ხეობასა და აჭარის სოფლებში მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ.

მარცვლეულის დასაფქვავად დიდი რაოდენობით იყო მოწყობილი წყლის წისქვილები. სულ „დავთრის“ მიხედვით აღნუსხულია 719 წისქვილი, აქედან 100 წისქვილი დაქცეული იყო. 619 წისქვილიდან 134 მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა, 449 — 6 თვეს, ხოლო 36 წისქვილი — 3 თვეს. სელიდან ზეთის მისაღებად მოწყობილი იყო ზეთსახდელი ქარხნები. სულ „დავთრის“ მიხედვით აღნუსხულია 52 ზეთსახდელი ქარხანა, აქედან 15 გაპარტახებულია. ჩვენი გამოანგარიშებით, წელიწადში საშუალოდ 80000 კგ სელის ზეთს ამზადებდნენ. სელის ზეთს იყენებდნენ საკვებად. ხალხურ მედიცინაში, კრაქისთვის და სხვ. სელის ზეთის გამოხდის შედეგად მიღებულ ნარჩენებს იყენებდნენ საქონლის საკვებად.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით იყო სათიბები და საძოვრები. რაც დღეს უწყობდა ხელს მესაქონლეობის განვითარებას. ჩვენი გამოანგარიშებით, აქ სულ მცირე 150 ათასი ჰექტარი სათიბ-საძოვრები იყო. სამცხე-საათაბაგოში მეცხოველეობა საკმარისად განვითარებული და სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. განსაკუთრებით დაწინაურებული ყოფილა მეცხვარეობა. „დავთრის“ გატარებული 711 სოფლიდან მეცხვარეობას მისდევდა 633 სოფელი. სულ „დავთრის“ მიხედვით 292288 თავი ცხვარი იყო. საშუალოდ ერთ კომლზე 23 ცხვარი მოდიოდა. ყოველ სოფელში კი 300—400 ცხვარი იყო, მაგრამ იყო ისეთი სოფლებიც, სადაც ჰყავდათ 1000 და უფრო მეტიც.

მეღორეობასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. მეღორეობით დაკავებული იყო 684 სოფელი. სულ „დავთრის“ მიხედვით 80959 ღორი იყო. ყოველ სოფელზე საშუალოდ 100—150 ღორი მოდიოდა, მაგრამ იყო ისეთი სოფლები, სადაც 200, 300, 400 და უფრო მეტიც ჰყავდათ. საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 6—7 ღორი. ოსმალთა ბატონობის დროს, თანდათანობით მოსახლეობის გამაჰმადიანების შედეგად, მესაქონლეობის ეს დარგი დაქვეითდა და ახალციხის მხა-

რის განთავისუფლების დროისათვის (1828 წ.), ფაქტიურად, მთლიანად მოშლილი იყო.

„დავთარში“ არაა ცნობები მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შესახებ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამცხე-საათაბაგოში დიდად იყო განვითარებული მიწათმოქმედება და, კერძოდ, მარცვლეულის წარმოება, და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი გამწევ საქონელს ენიჭებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მესაქონლეობის ეს დარგიც საკმაოდ განვითარებული ყოფილა. ჩვენი ვარაუდით, საშუალოდ ერთ კომლს ჰყავდა 8—10 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და საათაბაგოში სულ 100—120 ათასი მსხვილფეხა საქონელი იყო.

სამცხე-საათაბაგოს ტბებსა და მდინარეებში, განსაკუთრებით მესხეთ-ჯავახეთში მრავლად იყო თევზი: კალმასი, ზუთხი, ორაგული, ლოქო, ხრამული და სხვ. თევზი აქ ისეთი დიდი რაოდენობით იყო, რომ თევზჭერას რეწვის ხასიათი ჰქონდა. „დავთარიდან“ ირკვევა, რომ მოსახლეობას, რომელიც მეთევზეობას მისდევდა, შეწერილი ჰქონდა გადასახადი „თევზის უში“. მეთევზეობა განსაკუთრებით ფართოდ იყო განვითარებული ტბებზე. ასე, მაგალითად, ჩილდირის ტბაზე თევზაობისათვის გაწერილი გადასახადი 30000 ახჩას შეადგენდა, ტბაწყურზე — 10000, ფარვანის ტბაზე — 10000, სალამოს ტბაზე — 10000 ახჩას და სხვ. სულ თევზჭერაზე შეწერილი გადასახადი „დავთარის“ მიხედვით 77583 ახჩას შეადგენდა. ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო. იგი დაახლოებით 3000 ახჩით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ღორზე შეწერილი გადასახადი.

სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მეფუტკრეობას. 711 სოფლიდან მეფუტკრეობას მისდევდა 702 სოფელი. მეფუტკრეობაზე გაწერილი გადასახადის ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ სამცხე-საათაბაგოში 45788 სკა იყო. საშუალოდ ერთ კომლზე 3—4 სკა მოდიოდა, ხოლო ერთ სოფელში 50—80 სკა იდგა. მაგრამ იყო ისეთი სოფლები, რომლებიც დიდად იყო დაწინაურებული მეფუტკრეობით. ასე, მაგალითად, სოფელ ანბარაკში 650 სკა იყო და ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 8—9 სკა, სოფელ ულაგეში — 325 სკა და ერთ კომლზე მოდიოდა 11 სკა და სხვ. თუ ერთ სკაზე საშუალოდ 15 კგ თაფლს ვიანგარიშებთ, მაშინ წელიწადში საშუალოდ 600—700 ათასი კგ თაფლს ამზადებდნენ. თაფლთან ერთად სკიდან იღებდნენ ცვილს. თუ ერთ სკაზე საშუალოდ 1—2 კგ ცვილს ვიანგარიშებთ, მაშინ გამოვა, რომ წელიწადში საშუალოდ ამზადებდნენ 50—60 ათას კგ ცვილს.

სამცხე-საათაბაგოში მევენახეობა-მეხილეობას ოდითგანვე მისდევდნენ. ბალ-ვენახები შეხამებული იყო რელიეფურ და კლიმატურ პირობებთან. ბალ-ვენახები უმთავრესად გაშენებული იყო მდი-

ნარეების გასწვრივ მთის ფერდობებსა და ტერასებზე, მათი უმრავ-
ლესობა ირწყვებოდა. ქვეყნის გეოგრაფიული-კლიმატური პირობე-
ბის გამო ვენახი და ხეხილი ყველგან არ ხარობდა, ამიტომ მევენა-
ხეობა-მელვინეობის მხოლოდ 156 სოფელი მისდევდა, ხოლო მეხი-
ლეობას — 132. ჩვენი გამოანგარიშებით, ვენახებსა და ხეხილის
ბალებს 8—10 ათასი ჰექტარი ეკავა. „დავთრის“ მიხედვით, აქაურ
გლეხებს 3.5 მლნ კგ ყურძენი მოჰყავდათ და 1478400 ლიტრ შირას
(ღვინის მასალას) ამზადებდნენ. ხილიდან გავრცელებული იყო ვაშ-
ლი, მსხალი, ალუბალი, ბალი, ატამი, ჭერამი, ბროწეული, ლეღვი,
ჭანჭური, კომში, თუთა და სხვა. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით
გამორჩეოდა ვაშლი და მსხალი თავისი გემოთი და სურნელებ-
ით. დიდი რაოდენობით იყო აქ კაკალი — წელიწადში 93625 კგ
მოდოდა. მევენახეობა-მეხილეობის დარგში წამყვანი იყო ორი
რაიონი: ხერთვისისა და აწყურის. აქედან ხერთვისის რაიონი უმთავ-
რესად ზიენახეობა-მელვინეობის მთავარი ცენტრი იყო, ხოლო აწყუ-
რის — მეხილეობისა. ამ ორ რაიონზე მოდიოდა მევენახეობა-მელვი-
ნეობის 40%, კაკლის მოსავლის — 32% და ხილის — 30%.

სამცხე-საათაბაგოში მებოსტნეობა-მებაღეობას დიდი ყურადღე-
ბა ექცეოდა. 711 სოფლიდან 690 სოფელი მებოსტნეობას მისდევდა
და მებოსტნეობით დაკავებული მიწის ფართობი „დავთრის“ მიხე-
დვით 2000 ჰექტარს შეადგენდა. საშუალოდ ერთ კომლს 1,5 — 2
დონუმი საბოსტნე მიწა ჰქონდა.

ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ სო-
ფლის მეურნეობა თანდათანობით დაცემა-დაქვეითების გზას და-
ადგა. XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად განთავი-
სუფლდა მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი და აქ თანდათანობით
დაიწყო სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება.

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В XVI ВЕКЕ

Резюме

В Юго-Западной Грузии (Самцхе-Саатабаго) в XVI веке многоотраслевое сельское хозяйство находилось на высоком уровне развития. Это было обусловлено неутомимым, интенсивным трудом местного населения, его многовековым опытом и умением максимально приспособляться к природным условиям.

В предлежащем труде исследовано развитие сельского хозяйства в Самцхе на основе изучения первоисточников, в особенности «Пространного реестра вилайета Гюрджистан» (XVI в.) и научной литературы. Проведено сравнение уровня развития сельского хозяйства Самцхе с другими регионами. В соответствующих таблицах отражено производство продуктов различных отраслей сельского хозяйства.

Ведущей отраслью сельского хозяйства было полеводство; особое внимание уделялось зерноводству. Во всех деревнях Самцхе выращивали зерновые культуры. В результате анализа «Дефтера» нами установлено количество посевной площади: 120—130 тысяч гектаров.

В среднем ежегодно собирали 750 тысяч центнеров зерновых, из них пшеницу — 36 182 715 кг, ячменя — 34 010 218 кг, проса — 1 514 370 кг, ржи — 2 885 014 кг. В среднем в год один дым производил 60 центнеров зерновых, на один га — 10 центнеров. Обильностью урожайности зерновых выделялась Месхет-Джаваheti, которую называли «житницей Грузии». Здесь в среднем с одного га получали 12—13 центнеров зерновых. Следует отметить, что по урожайности зерновых Самцхе приближается к передовым европейским странам того времени.

Высокая урожайность характерна и для бобовых культур. Здесь выращивали горох, чечвицу и др. Их использовали как пищевой продукт, корм для скота и средство удобрения почвы. Ежегодно выращивали 49 726 кг гороха, 48 960 кг чечвицы, 57 503 кг бобов, всего — 156 189 кг.

Из технических культур наиболее был распространен лен, имеющий широкое применение в различных отраслях хозяйства. Его возделывали в 363 деревнях и годовой урожай равнял-

ся 323 368 кг. Из анализа «Дефтера» можно сделать вывод, что в Самцхе разводили и хлопок, хотя в малом количестве. В деревнях же Шавшети, Аджары и ущелья Лиганы занимались шелководством.

Для помолы зерна имелось большое количество водяных мельниц, всего по данным «Реестра» — 719, из них 100 разрушены. Из 619 мельниц круглый год работали — 134, 6 месяцев — 449, 3 месяца — 36. Для получения масла из льна имелись маслобойни, всего насчитывалось 52, из них 16 — разрушены. По нашему подсчету ежегодно, в среднем, изготовляли 80 тысяч кг льняного масла, которое применялось в пищу, для изготовления лекарств и для светильников. Отходы предназначались в корм скоту.

Юго-Западная Грузия славилась своими альпийскими лугами и высококачественными пастбищами и сенокосами, что способствовало развитию скотоводства, одного из ведущих отраслей сельского хозяйства в Самцхе. Особо было развито овцеводство. Из 711 деревень, зарегистрированных в «Дефтере», овцеводством занимались 633. Всего насчитывалось 292 288 голов овец, в среднем, один дым имел 23, одна деревня же — 300, 400 овец, однако были и такие деревни, в которых имелось свыше тысячи овец.

Свиноводством также занимались весьма интенсивно. По «Дефтеру» насчитывалось 80 959 голов свиней. В среднем в одной деревне было 100—150, однако встречаются деревни, в которых имелось 200, 300, 400 и более голов свиней. В период османского господства, вследствие постепенного перехода местного населения в мусульманство, эта отрасль сельского хозяйства пришла в упадок и ко времени освобождения Ахалцихского края (1828 г.), фактически, была полностью уничтожена.

В «Дефтере» нет сведений о крупном рогатом скоте. Однако, если принять во внимание, что в Самцхе было высоко развито земледелие, в частности зерноводство, и для этого требовалось большое количество рабочего скота, нужно полагать, что и эта отрасль скотоводства была весьма развита. По нашему предположению, в среднем, один дым имел 8—10 голов крупно-рогатого скота, всего же имелось 100—120 тысяч голов.

В озерах и реках Самцхе, в особенности Джавахети, было много рыбы: форель, осетровые, сом, храмули и др. Количество рыбы было столь велико, что рыбная ловля имела характер промысла. Данные «Дефтера» свидетельствуют, что население, занятое рыбной ловлей, выплачивало налог «рыбный ушр». Рыбой славилась, в особенности, озера, налог на рыбную ловлю в Чилдырском озере составлял 30 тысяч акче, в Табацкурском, Парванском и др. — по десяти тысяч. Общая сумма этого налога равнялась 77 588 акче. Это весьма внушительная

сумма, которая примерно на три тысячи акче меньше налога, взимаемого за свиноводство.

В сельском хозяйстве большое внимание уделялось пчеловодству. Из 711 деревень им занимались в 702 деревнях. Исходя из количества налога, взимаемого за пчеловодство, мы установили, что в Самцхе-Саатабаго насчитывалось 45 788 ульев. В среднем один дым имел 3—4, одна деревня же — 50—80 ульев. Однако были и такие деревни, которые преуспевали в этом виде хозяйства, например, в деревне Анбараки имелось 650 ульев, на один дым — 8—9, в деревне Улавери — 325 ульев, на один дым — 11 ульев и др. Если допустить, что в среднем с одного улья получали 10 кг меда, то в среднем в году изготовляли свыше 500 тысяч кг меда. Вместе с медом добывали воск, примерно 1—2 кг с одного улья, всего в среднем в год получали 50—60 кг тысяч воска.

С древнейших времен в Самцхе-Саатабаго занимались виноградарством и фруктоводством. Сады и виноградники развивались, приспособляясь к рельефным и климатическим условиям. В основном сады-виноградники были разбиты на склонах и террасах вдоль течения рек, большинство садов и виноградников орошалось. Вследствие географическо-климатических условий, сады и виноградники можно было разбить лишь в некоторых областях, поэтому виноградарством-виноделением занимались всего в 156 деревнях, фруктоводством — в 132. По нашему подсчету, виноградники и фруктовые сады занимали площадь, равную 8—10 тысячам га. По «Дефтеру» местные крестьяне собирали 3,5 миллиона кг винограда в год, из которого изготовляли 1 478 400 литров шпры (вина). Из фруктов высокими вкусовыми качествами выделялись яблоки и груши.

В Самцхе имелось большое количество ореховых насаждений. В год собирали 93 625 кг орехов. В области виноградарства-фруктоводства ведущими были два района: Хертвийский и Ацкурский. Хертвийский был главным центром виноградарства-виноделия, Ацкурский же — фруктоводства. На эти два района приходилось 40% виноградарства-виноделия, 32% урожая орехов и 30% фруктов.

Должное внимание уделялось в Самцхе огородству-бахчеводству. Из 711 деревень 690 занимались этой отраслью сельского хозяйства, под огороды была отведена площадь, равная 2000 га. В среднем один дым имел 1,5-2 донума огородной земли.

После завоевания Турцией Самцхе-Саатабаго, постепенно сельское хозяйство пришло в упадок. В XIX веке, в результате русско-турецкой войны, после освобождения этой территории, здесь наблюдается рост сельского хозяйства, его постепенное развитие-восстановление.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თ ა ვ ი I. მარცვლული კულტურები	8
1. ხორბლეულის წარმოება	8
2. ხორბლეულის მოსავალი ერთ კომლსა და ერთ ჰექტარზე	34
თ ა ვ ი II პარკოსანი კულტურები	47
1. მუხედო	47
2. ოსპი	48
3. ცერცი	48
თ ა ვ ი III. სელი და ტექნიკური კულტურები	53
1. სელი	53
2. ბამბა-აბრეშუმი	57
თ ა ვ ი IV. წისკვილები, ზეთსახდელი ქარხნები, სამღებროები	58
1. წისკვილები	58
2. ზეთსახდელეები	63
3. სამღებროები	65
თ ა ვ ი V. სათიბები და საძოვრები	68
1. სათიბები	68
2. საძოვრები	72
თ ა ვ ი VI. მეცხოველეობა	82
1. მეცხეარეობა	83
2. მელორეობა	86
3. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	90
თ ა ვ ი VII. მეთევზეობა, მეფუტკრეობა	99
1. მეთევზეობა	99
2. მეფუტკრეობა	100
თ ა ვ ი VIII. მევენახეობა-მეხილეობა-მემტილეობა	107
1. მევენახეობა-მეღვინეობა	110
2. მეხილეობა	121
3. მებოსტნეობა-მებალჩეობა	130
დასკვნა	136
Сельское хозяйство Юго-Западной Грузии в XVI веке (Резюме)	140

Михаил Харитонович Сванидзе

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ
В XVI ВЕКЕ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

«МЕЦНПЕРЕБА»

1984

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგანილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი კ. კუციია
ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. ბერაძე

•

სბ 2574

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხანჭალაძე
მხატვარი მ. სამსონია
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი

გალეცა წარმოებას 31.10.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.12.1984;
ქალაქის ზომა 60X90/16; ქალაქი № 1 საბეჭდი; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენერა; პირობითი საბეჭდი თაბახი 9.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.3;

უე 04209;

ტირაჟი 1000;

შეკეთა № 4019;

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниперба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19